

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო კ რ ო შ ე ს ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2019, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2019, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2019, №5

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2019, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიბელი

1. ზოგადი დებულებანი	
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედება დროში	4
2. დაუსწრებელი გადაწყვეტილება	
მოპასუხის გამოუცხადებლობა	
მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა	10; 23
სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა	32
განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი	43
3. სასამართლო გადაწყვეტილება	
გადაწყვეტილების განმარტება	50
გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა	58
4. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა – გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება	
გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები	69
დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები	80
5. საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე	
საქმის წარმოების შეწყვეტა	87
სარჩელის განუხილველად დატოვება	97
6. აპელაციის დასაშვებობა	
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	123
7. საქმის წარმოების განახლება	
განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ	131; 139
განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ	158
განცხადების შეტანის ვადა	166

1. ზოგადი დებულებანი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედება დროში

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-748-748-2018

29 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ლ. გ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. შ-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2013 წლის 29 ივნისს რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მოპასუხისათვის ორივე არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით თითოეულისათვის ყოველთვიურად 250 ლარის გადახდა 2017 წლის 12 ოქტომბრიდან მათ სრულწლოვანების მიღწევამდე.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 29 ივნისიდან მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, თუმცა მეუღლეების ფაქტობრივი თანაცხოვრება შეწყდა და ოჯახის აღდგენა შეუძლებელია.

3. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ მხარეთა დაშორების შემდეგ ბავშვები ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ დედასთან, სადაც შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა შვილების სწორი ფსიქოსოციალური განვითარებისათვის. ამასთან, არასრულწლოვნებს ესაჭიროებოდათ კვება, ჩაცმა, სამედიცინო მომსახურება, რისი გადახდის ვალდებულებაც მოპასუხეს, როგორც მშობელს, თანაბრად ეკისრებოდა. იგი დასაქმებულია და აქვს ყოველთვიური შემოსავალი. ამასთან, მოსარჩელემ ოჯახური საჭიროებებიდან გა-

მომდინარე, აიღო საკრედიტო ვალდებულებები.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხემ სარჩელი ცნო განქორწინების, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში და თანხმობა განაცხადა არასრულწლოვანი შვილებისათვის ყოველთვიურად თითოეულისათვის 150 ლარის გადახდაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეწყდა მხარეთა რეგისტრირებული ქორწინება, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის (მოსარჩელის) საცხოვრებელი ადგილი და მათ სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა თითოეულისათვის 175 ლარის გადახდა 2017 წლის 12 ოქტომბრიდან ბავშვების სრულწლოვანების მიღწევამდე.

6. დასახელებული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო ნესით გაასაჩივრა ალიმენტის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად, თუმცა 2018 წლის 26 აპრილის განჩინებით იგი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

9. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ. საქმე განსახილველად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს, სადაც შევიდა 2018 წლის 16 თებერვალს.

10. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 187-ე, 209-ე, 435-ე, 372-ე და 374-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ 2018 წლის 7 მარტის საქართველოს კანონის შესაბამისად, სსსკ-ის 365-ე მუხლში შევიდა ცვლილება და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 2 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს“.

11. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განხილვის მომენტი სათავის აღარ იყო უფლებამოსილი, განეხილა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი, რადგან მისი ღირებულება არ აღემატებოდა 2000 ლარს.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მცირეწლოვანი შვილების სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის სახით თითოეული სათავის 175 ლარის გადახდა. სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის სულ 500 ლარის დაკისრება. ამდენად, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნაწილობრივ იქნა სარჩელი დაკმაყოფილებული, აპელანტმა სადავო გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხისათვის დამატებით 75-75 ლარის დაკისრების ნაწილში, რაც შეადგენდა 150 ლარს.

13. სააპელაციო პალატამ სსსკ-ს 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენდა 1800 ლარს, რაც არ აღემატებოდა სსსკ-ის 365-ე მუხლით დადგენილ ოდენობას, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობა.

კერძო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

15. კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ სსსკ-ის 365-ე მუხლში შესული ცვლილება ამოქმედდა მას შემდეგ, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

16. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილზე და მიიჩნია, რომ იგი ფართოდ უნდა განიმარტოს, შესაბამისად, სსსკ-ის 365-ე მუხლის ცვლილებამ არ უნდა მოახდინოს უარყოფითი გავლენა აპელანტის ინტერესებზე, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის მომენტი სათავის დასახელებული მუხლით გათვალისწინებული იყო შეზღუდვის სხვა ფარგლები.

17. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავა ეხება მცირეწლოვანი ბავშვების საუკეთესო ინტერესებს.

18. სსსკ-ის 374-ე მუხლზე მითითებით კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მისი სააპელაციო საჩივარი განსახილველად იყო მიღებული, რაც ნიშნავს, რომ მისი დასაშვებობის შემონიშნების ეტა-

პი და ამისათვის დადგენილი 10-დღიანი ვადა დასრულდა, ამდენად, სააპელაციო პალატა აღარ უნდა დაბრუნებოდა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობების შემოწმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

20. მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მხარეთა რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის (მოსარჩელის) საცხოვრებელი ადგილი და მათ სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა თითოეულისათვის 175 ლარის გადახდა 2017 წლის 12 ოქტომბრიდან ბავშვების სრულწლოვანების მიღწევამდე.

21. დასახელებული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, კერძოდ, ალიმენტის ოდენობის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

22. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ყოველთვიურად (250-250) 500 ლარის გადახდის დაკისრება. ამდენად, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აპელანტმა სადავო გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხისათვის დამატებით 75-75 ლარის დაკისრების ნაწილში, რაც შეადგენდა სულ 150 ლარს. ამდენად, უდავოა, რომ, სსსკ-ს 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენდა 1800 ლარს.

23. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე იმსჯელა 2018 წლის 28 თებერვალს, რა დროსაც მოქმედებდა სსსკ-ის 365-ე მუხლი შემდეგი რედაქციით: სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

24. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში ქონებრივ-სამართლებრივი ტიპის დავებზე შეტანილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა ხასიათდება გარკვეული სპეციფიურობით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო წარმოებაში მიიღებს და იმსჯელებს მხოლოდ ისეთ სააპელაციო საჩივრებზე, რომელთა ღირებულება 1000 ლარს სცილდება. 1000 ლარის ან მასზე ნაკლები ღირებულების მქონე სააპელაციო საჩივარი კი, არ დაიშვება და დარჩება განუხილველად.

25. სსსკ-ში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონით ზემოაღნიშნულ ნორმაში შევიდა ცვლილება და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 2 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადანყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს“.

26. წარმოდგენილი კერძო საჩივრით მხარე არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის დასაბუთებას მანამდე წარმოებაში მიღებული მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ იმ საფუძველზე, რომ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 2000 ლარს არ აღემატება.

27. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სსსკ-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების დროს.

28. ამრიგად, მითითებული ნორმა განსაზღვრავს სსსკ-ის მოქმედებას დროში და ამკვიდრებს პრინციპს, რომლის მიხედვით სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეების წარმოება სასამართლოში ხორციელდება იმ საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების თუ გადანყვეტილებათა აღსრულების დროს. იგივე პრინციპი დამკვიდრებულია სსსკ-ის გარდამავალი დებულებების 435-ე მუხლით. საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი მაგალითის მოყვანა: სარჩელი მიღებულია წარმოებაში მოსამართლის განჩინებით 10 მაისს. 15 მაისს მიღებულ იქნა ახალი კანონი, რომელიც განსხვავებულ პირობებს ითვალისწინებს სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის. ამ ახალ კანონს არ აქვს უკუქცევითი ძალა. ამიტომ, სარჩელი უნდა დარჩეს წარმოებაში მიღებულად, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონით იგი შეიძლება არ ყოფილიყო მიღებული წარმოებაში

(თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2005, გვ 65).

29. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის მსჯელობისას მოქმედებდა დანაწესი, რომლის მიხედვით ქონებრივ-სამართლებრივ დავებში სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის დავის საგნის ღირებულება უნდა ყოფილიყო 1000 ლარზე მეტი.

30. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოცემული სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენდა 1800 ლარს, რაც ქმნიდა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საფუძველს.

31. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ სსსკ-ის 365-ე მუხლში დასახელებული ცვლილების შეტანას უკვე წარმოებაში მიღებული სააპელაციო საჩივრის სამართლებრივ ბედზე ზეგავლენა აღარ უნდა მოეხდინა და სააპელაციო პალატას სსსკ-ის 365-ე მუხლში შესული ცვლილებისათვის უკუქცევითი ძალა არ უნდა მიენიჭებინა.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებელი განჩინება უნდა გაუქმდეს, წარმოდგენილი კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

მოპასუხის გამოუცხადებლობა

მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-2-2-2017

14 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის (შემდეგში: მეიჯარე, მერია, მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ 2012 წლის 17 დეკემბრის აუქციონის №23-ე ლოტზე (იხ. ხელშეკრულება №E-23-6295; შემდეგში: პირველი ხელშეკრულება) და №37-ე ლოტზე (იხ. ხელშეკრულება №E-37-5714; შემდეგში: მეორე ხელშეკრულება) გამარჯვებულად გამოცხადდა თ.გ. (შემდეგში: მოპასუხე ან მოიჯარე), რომელსაც პირველი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა უძრავი ქონება მდებარე, ქ. თბილისში, მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო მეორე ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა უძრავი ქონება მდებარე, ქ. თბილისში, მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

2. სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გამართული ელექტრონული აუქციონის პირობების შესაბამისად, სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვრა 1050 ლარით. უძრავი ქონების სარგებლობის (იჯარის) ვადა – 5 წელი; აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი „ბე“ ეთვლება ბოლო წლის საიჯარო ქირის გადახდაში. საიჯარო ქირის გადახდა უნდა განხორციელდებულყო 6 (ექვსი) თვეში ერთხელ, საანგარიშო თვის 5 რიცხვამდე. ორივე ხელშეკრულება ერთი და იმავე პირობებით გაფორმდა.

3. მოპასუხემ სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცე-

მის შესახებ გამართულ ორივე ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ბეს სახით წინასწარ 500-500 ლარი გადაიხადა.

4. მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება გათანაბრებულია ხელშეკრულებებთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს სარგებლობის პირობები (იხ. სარგებლობის პირობები).

4.1. აღნიშნული სარგებლობის პირობების 8.4. ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დანესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მესაკუთრის მიერ მიიჩნევა ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლად. ქონების მიმღებ პირს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ნებისმიერი სხვა ხარჯი;

4.2. გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობების დარღვევის შემთხვევაში ქონების მიმღებ პირს ეკისრება 10.1-10.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლო; 10.1. პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია ქირის 0.1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

4.3. ხელშეკრულების სარგებლობის პირობების 10.3. პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების (გარდა ქირის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა) დარღვევის შემთხვევაში, ქონების მიმღებ პირს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით;

4.4. სარგებლობის პირობების 13.3. პუნქტის თანახმად მესაკუთრის მიერ ელექტრონულად (მათ შორის ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვ.) ქონების მიმღები პირის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, მოთხოვნა და სხვა კორესპონდენცია ძალაშია ადრესატის შესაბამის მისამართზე (მათ შორის, ელექტრონულ ფოსტაზე) შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან.

5. მოპასუხეს იჯარით გადაცემული არც ერთი მიწის ნაკვეთით არ უსარგებლია. მას ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა არ გადაუხდია.

6. მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 19 სექტემბერს მოპასუხეს გაეგზავნა ელექტრონული შეტყობინებები და ეთხოვა, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში უბრუნე-ლეყო 2012 წლის 17 დეკემბრის ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირის დავალიანებისა და მისი გადახდის პირო-

ბების დარღვევის შედეგად დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა.

7. მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 10 იანვრის ბრძანებებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ამავე სააგენტოს 2012 წლის 17 დეკემბრის ორივე გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებული, ორივე მიწის ნაკვეთის მოიჯარისათვის ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე.

8. მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა შეწყდა 2014 წლის 10 იანვარს.

9. სარჩელის საფუძვლები

9.1. მოსარჩელემ 2015 წლის 21 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოპასუხისათვის მერიის სასარგებლოდ შემდეგი თანხების დაკისრება მოითხოვა:

9.1.1. 2012 წლის 17 დეკემბრის თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირა 1 156.44-1 156.44 ლარი;

9.1.2. 2012 წლის 17 დეკემბრის თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2015 წლის 17 აპრილის მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლო – 715-715 ლარი;

9.1.3. თითოეული ხელშეკრულებისათვის 2015 წლის 17 აპრილიდან დარიცხული საიჯარო ქირის (1156.44 ლარის) 0.1 %, რაც შეადგენს 1.05 ლარს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი საიჯარო ქირის გადახდამდე;

9.1.4. თითოეული ხელშეკრულებისათვის ერთჯერადი პირგასამტეხლო 100-100 ლარი.

9.2. მოსარჩელემ წინამდებარე გადაწყვეტილების 1-8 პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 317.1-ე, 361-ე, 417-ე, 418.2 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ მოპასუხე საიჯარო ქირას დადგენილ ვადაში არ იხდიდა, რის გამოც ის ვალდებულია გადაიხადოს როგორც საიჯარო ქირა, ასევე, ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო.

10. მოპასუხის შესაგებელი

10.1. მოპასუხემ წერილობითი შესაგებლით მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოთხოვნილ საიჯარო ქირასა და პირგასამტეხლოს ოდენობას არ ეთანხმება. მოსარჩელეს 2012 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებები ძალადაკარგულად უნდა გამოეცხადებინა 6 თვის ან ერთი წლის შემდეგ, ვინაიდან მოპასუხეს იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთით არ უსარგებლია და არც საიჯარო ქირის თანხა გადაუხდია. მოპასუხეს ერთი წლის განმავლობაში მოსარჩელის მხრიდან წერილობითი გაფ-

როხილება თანხის გადახდის თაობაზე არ მიუღია. გარდა ამისა, მოპასუხისათვის არ იყო ცნობილი 6 თვეში ერთხელ საიჯარო ქირის გადახდის თაობაზე. მოპასუხე არის მარტოხელა დედა, ზრდის არასრულწლოვან შვილს, ამასთან, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, მოპასუხე მიუთითებს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოზე და ითხოვს მის შემცირებას გონივრულ ოდენობამდე.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით მეიჯარის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოპასუხეს (მოიჯარეს) შემდეგი თანხების გადახდა დაეკისრა:

11.1.1. პირველი და მეორე ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საიჯარო ქირა 287.5-287.5 ლარი;

11.1.2. პირველი და მეორე ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს სახით, 2013 წლის 30 სექტემბრიდან 1 ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის გადახდამდე;

11.1.3. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 115-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე, 531-ე, 581-ე, მე-8, 417-ე-418-ე, 420-ე-423-ე მუხლებით და დაადგინა, რომ მხარეთა შორის არსებულ საიჯარო სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იყო განსაზღვრული ბეს სახით გადახდილი თანხის ბედი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, მოპასუხისათვის დასაკისრებელ საიჯარო ქირის ოდენობას ბეს სახით წინასწარ გადახდილი 500 ლარი უნდა გამოკლებოდა.

11.3. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული, რის გამოც მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო უნდა შემცირებულიყო გონივრულ ოდენობამდე. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის 2015 წლის 17 აპრილამდე დარიცხული პირგასამტეხლოს 715.05 ლარის და 2015 წლის 17 აპრილიდან საიჯარო ქირის დავალიანების საბოლოო აღსრულებამდე, საიჯარო ქირის 1050 ლარის 0.1% (რაც შეადგენს 1.05 ლარს) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაკისრების შესახებ და ასევე, ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს ერთჯერადად, ჯამში 200 ლარის დაკისრების თაობაზე, უსაფუძვლოდ მიიჩნია სასამართლომ. გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობების 10.1. პუნქტის შესაბა-

მისად, სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია ქირის 0.1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნევს როგორც 2015 წლის 17 აპრილამდე დარიცხულ პირგასამტეხლოს – 715.05 ლარს, ასევე, საიჯარო ქირის საბოლოო გადახდამდე გათვალისწინებულ 0,1%-ს. რის გამოც, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით უნდა დაეკისროს 1 (ერთი) ლარი 2013 წლის 30 სექტემბრიდან (საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის პერიოდიდან) გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქირაენობის ურთიერთობის შეწყვეტის დროდ მიჩნეულია 2013 წლის 30 სექტემბერი და არა 2015 წლის 17 აპრილი.

12. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. მოსარჩელემ (მეიჯარემ) სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე მითითებით მოითხოვა:

12.1.1 აპელანტის განმარტებით მოპასუხესთან საიჯარო ურთიერთობა შეწყდა 2014 წლის 10 იანვარს და არა – 2013 წლის სექტემბრის თვეში. საქმეში წარმოდგენილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 10 იანვრის №01-4/5 და №01/4-6 ბრძანებები, რომელთა თანახმადაც, ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 17 დეკემბრის №E-23-6259 და №E-37-5714 გადაწყვეტილებები. 2013 წლის 19 სექტემბრის ელექტრონული შეტყობინებებით მოიჯარეს (მოპასუხეს) ეცნობა, რომ მას მართებდა საიჯარო ქირისა და დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, რომლის განუხორციელებლობის შემთხვევაში გატარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, რაც გულისხმობს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლა, როგორც სამართლებრივი შედეგი დადგებოდა აღნიშნული ვადაგადაცილების შეუსრულებლობის შემდეგ და არა – აღნიშნული შეტყობინების გაგზავნისთანავე. საქმეში წარმოდგენილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოს №01-4/5 და №01/4-6 ბრძანებები, რომელთა თანახმადაც, მოპასუხესთან საიჯარო ურთიერთობები შეწყდა 2014 წლის 10 იანვარს. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს არ უნდა შეემცირობინა საიჯარო ქირა, რადგანაც მხარესთან საიჯარო ურთიერთობები 2014 წლის

10 იანვრამდე არსებობდა;

12.1.2 აპელანტი მიიჩნევს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ვინაიდან მეიჯარის 2012 წლის 17 დეკემბრის №E-23-6259 და №E-37-5714 გადაწყვეტილებების 8.5. პუნქტის თანახმად ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, სარგებლობის უფლების მიმღებ პირს არ უბრუნდება შემოტანილი თანხა და არ აუნაზღაურდება განეული ხარჯები. მოიჯარე კეთილსინდისიერად არ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებას, რის საფუძველზეც მას დაეკისრა თანხის გადახდა, როგორც საიჯარო ქირის, ასევე, პირგასამტეხლოს ნაწილში; მოიჯარის მიერ ბეს სახით გადახდილ თანხასთან დაკავშირებით, რომელსაც კავშირი არ აქვს მიმდინარე დავალიანებასთან, აპელანტის მტკიცებით, აღნიშნული უნდა ჩაითვალოს არა დავალიანების, არამედ ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. ბეს სახით გადახდილი თანხა წარმოადგენს ხელშემკვრელი მხარისათვის ხელშემკვრულების არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ მექანიზმს და მას კავშირი არ აქვს დაკისრებულ საიჯარო ქირასა და პირგასამტეხლოსთან;

12.1.3 აპელანტი უთითებს, რომ ვინაიდან მოიჯარეს №E-23-6259 გადაწყვეტილება მარეგისტრირებელ ორგანოში საერთოდ არ დაურეგისტრირებია, ხოლო №E-37-5714 გადაწყვეტილება დაარეგისტრირა 20 დღიანი ვადის დარღვევით, მოპასუხეს პირგასამტეხლოს სახით ეკისრება 200 ლარის გადახდა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება/დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მერიის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

13.1.1. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოპასუხის მიმართ გამოტანილი იქნა ნაწილობრივ დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

13.1.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება;

13.1.3. მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

13.1.4. მოიჯარეს (მოპასუხეს) მეიჯარის სასარგებლოდ, თითოეული ხელშემკვრულებიდან გამომდინარე დაეკისრა: საიჯარო ქირა 1156.44 ლარი, დარიცხული პირგასამტეხლო 357.5 ლარი, მზარდი პირგასამტეხლო 2015 წლის 17 აპრილიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის გადახდამდე 1156.44 ლარის 0.05%,

ერთჯერადი პირგასამტეხლო 10 ლარი;

13.1.5. მერიის სარჩელი, თითოეული ხელშეკრულების მიხედვით დარიცხული პირგასამტეხლოს 357.5-357.5 ლარის, მზარდი პირგასამტეხლოს 2015 წლის 17 აპრილიდან ყოველ ვადაგადაცხლებულ დღეზე საიჯარო ქირის გადახდამდე 1156.44 ლარის 0.05%-ის და ერთჯერადი პირგასამტეხლოს 90-90 ლარის დაკისრების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

13.2. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ)372-ე, 387-ე, 229.1, 230-ე, 70-ე-78-ე მუხლებით და დაადგინა, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვაზე, რომელიც დანიშნული იყო 2016 წლის 20 ოქტომბერს 14:00 საათზე, არ გამოცხადდა მონააღმდებე მხარე (მოპასუხე, მოიჯარე), რომელიც სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მხარემ სასამართლოს არ აცნობა გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მხარემ – აპელანტმა კი, მონააღმდებე მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება მოითხოვა.

13.3. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა 2014 წლის 10 იანვარს შეწყდა. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 10 იანვრის ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა გადაწყვეტილებები მოიჯარისათვის ელექტრონული აუქციონის წესით, უძრავი ქონების იჯარით გადაცემის თაობაზე და დაადგინა, რომ, ვინაიდან, მოიჯარეს არ გადაუხდია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა 1156.44-1156.44 ლარს შეადგენდა.

13.4. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 417-ე, 418-ე და 420-ე მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა – 2015 წლის 17 აპრილის მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლო – 715 ლარი, 2015 წლის 17 აპრილიდან დარიცხული საიჯარო ქირის (1156.44 ლარის) 0.1%, ასევე, ერთჯერადი პირგასამტეხლო 100 ლარი, ძირითად დავალიანებასთან მიმართებაში პირგასამტეხლოს შესაბამოდ მაღალი ოდენობაა.

13.5. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტის მოთხოვნა, თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში ცალ-ცალკე დარიცხული პირგასამტეხლოს – 357.5 ლარის, მზარდი პირგასამტეხლოს 2015 წლის 17 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებ

ბამდე ყოველდღიურად 1156.44 ლარის 0.05%-ის და ერთჯერადი პირგასამტეხლოს 90 ლარის დაკისრების ნაწილში, იურიდიულად გაუმართლებელია, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში დაკმაყოფილებას ექვემდებარება მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ნაწილი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მერიის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაკისრებოდა თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირა – 1156.44 ლარი, დარიცხული პირგასამტეხლო – 357.5 ლარი, მზარდი პირგასამტეხლო – 2015 წლის 17 აპრილიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის გადახდამდე 1156.44 ლარის 0.05%, ერთჯერადი პირგასამტეხლო – 10 ლარი.

14. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეიჯარემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

14.2. კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლო სამართლებრივად ვერ ასაბუთებს სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.

14.3. კასატორმა სსსკ-ის 384-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გაცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს ან/და საუარესოდ შეაბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება, თუ მეორე მხარეს სადავოდ არ გაუხდია აღნიშნული გადაწყვეტილება. აქელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ ძირითადი საიჯარო ქირისა და ერთჯერადი პირგასამტეხლოს ნაწილში, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა ემსჯელა მხოლოდ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ საკუთარი სურვილით, მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრის არარსებობის პირობებში მიიღო გადაწყვეტილება მზარდი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე საიჯარო ქირის 0,05%-მდე ნაცვლად 1 ლარისა. სააპელაციო სასამართლომ მზარდი პირგასამტეხლოს ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აქელანტის საუარესოდ შეაბრუნა, რაც საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევაა.

14.4. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ერთჯერადი პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენო-

ბით თითოეულ ხელშეკრულებაზე (ჯამში 200 ლარი) შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ და სამოტივაციო ნაწილში ვერ დაასაბუთა მისი შემცირების მართლზომიერება.

14.5. კასატორი აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლიდან გამომდინარე სასამართლოს ნებისმიერ შემთხვევაში არ შეუძლია პირგასამტეხლოს შემცირება. ეს უნდა მოხდეს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე და სასამართლომ უნდა მიუთითოს ასეთ გარემოებებზე და განმარტოს, თუ რატომ მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო უნდა შემცირდეს. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვ.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

15.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის (მეოჯარის) საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-

ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

17. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების მიზნით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გამოტანის დაუშვებლობის მართლობიერება, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

18. იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენენ და იძლევიან ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი მონესრიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდეგ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია.

19. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა როგორც საიჯარო ქირის, ასევე პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.1.1-9.1.4 ქვეპუნქტები). მეიჯარის საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დაუსწრებელი გადაწყვეტილების იმ ნაწილს შეეხება, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნილი და საქალაქო სასამართლოს მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა შემცირდა, იმ პირობებში, როცა მოიჯარეს ეს არ მოუთხოვია (იხ. ამ გადაწყვეტილების 14.3-14.4 ქვეპუნქტები).

19.1. საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დარიცხული პირგასამტეხლოს საიჯარო ქირის 0.1%-ის (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1.05 ლარი) დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოიჯარეს, მეიჯარის სასარგებლოდ, პირველი და მეორე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2013 წლის 30 სექტემბრიდან საიჯარო ქირის სრულ გადახდამდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 1 ლარის გადახდა დაეკისრა. ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწ-

ყვეტილება მოპასუხეს (მოიჯარეს) არ გაუსაჩივრებია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება ამ ნაწილში (საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 2.1 და 2.2 პუნქტები) კანონიერ ძალაში შევიდა. იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ ნაწილში მოიჯარეს სააპელაციო საჩივარი არ წარუდგენია, იგულისხმება, რომ ის აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილებას დაეთანხმა. შესაბამისად, მითითებულ ნაწილში მოიჯარის სასარგებლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ შეიცვლება, პირველ რიგში, ამ უკანასკნელის (მოპასუხის) სააპელაციო საჩივრის არარსებობის გამო, ხოლო, მეორე რიგში, აპელანტის საპროცესო-სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესების დაუშვებლობის გამო (ერთი აპელაციის ფარგლებში აპელანტის მდგომარეობის საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა). ამ მიმართებით, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, მის საზიანოდ არ შეიცვლება (შდრ. სუსგ №ას-1286-1224-2014, 19.02.15 წ.).

19.2. მოსარჩელემ (მეიჯარემ) სააპელაციო საჩივარი წარადგინა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასების ფარგლები აპელანტის მოთხოვნითაა შემოსაზღვრული (სსსკ-ის 384-ე, 377-ე მუხლები) და მას არ შეუძლია მხარის საუარესოდ შეაბრუნოს გადაწყვეტილება, იმ პირობებში, როცა მოპასუხე აღნიშნულს არ ითხოვს.

19.3. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას ერთჯერადი პირგასამტეხლოს 100-100 ლარის მოპასუხისათვის (მოიჯარისათვის) დაკისრების ნაწილში და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილშიც უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან სსსკ-ის 387-ე, 230-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ამ ნაწილში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარი ეთქვა, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზნიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო წარმოების ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით ისარგებლოს და პირგასამტეხლოს ოდენობა შეამციროს იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს (მოიჯარეს) არც სააპელაციო საჩივარი წარუდგენია და არც მის წინააღმდეგ მეიჯარის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განსახილველად დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა, არა-

საპატიო მიზეზით (სსსკ-ის 215.3-ე მუხლი). ამასთან, მოიჯარისათვის ორი ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებული ერთჯერადი პირგასამტეხლოს 100-100 ლარის დაკისრება, არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

19.4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიხედულებით, პირგასამტეხლოს შემცირებისას, გასათვალისწინებელია მხარეთა შორის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, დათქმული პირგასამტეხლო, როგორც ერთგვარი „სანქცია“, რომელიც უნდა ესადაგებოდეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს, პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და ფუნქციას (შდრ. სუსგ №ას-654-620-2015, 17.12.2015 წ.).

20. ზემოხსენებული მოტივაციით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება/ დაუსწრებელი გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მეიჯარის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოპასუხეს (მოიჯარეს), თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაეკისროს:

20.1. საიჯარო ქირა – 1156.44-1156.44 ლარი;

20.2. დარიცხული პირგასამტეხლო 357.5-357.5 ლარი;

20.3. მზარდი პირგასამტეხლოს სახით 1 (ერთი) ლარი 2013 წლის 30 სექტემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის სრულ გადახდამდე;

20.4. ერთჯერადი პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარი.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოპასუხეს დაეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რადგან მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახ-

დის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება/დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. თ. გ-ს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისროს:

4.1. 2012 წლის 17 დეკემბრის №E-23-6259 ხელშეკრულებიდან (№23 ლოტზე ჩატარებული აუქციონი) გამომდინარე საიჯარო ქირა – 1156.44 (ერთი ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი) ლარი;

4.1.1. დარიცხული პირგასამტეხლო 357.5 (სამას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი;

4.1.2. მზარდი პირგასამტეხლოს სახით 1 (ერთი) ლარი 2013 წლის 30 სექტემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის სრულ გადახდამდე;

4.1.3. ერთჯერადი პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარი;

4.2. 2012 წლის 17 დეკემბრის №E-37-5714 ხელშეკრულებიდან (№37 ლოტზე ჩატარებული აუქციონი) გამომდინარე საიჯარო ქირა 1156.44 (ერთი ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი) ლარი;

4.2.1. დარიცხული პირგასამტეხლო 357.5 (სამას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი;

4.2.2. მზარდი პირგასამტეხლოს სახით 1 (ერთი) ლარი 2013 წლის 30 სექტემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის სრულ გადახდამდე;

4.2.3. ერთჯერადი პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარი;

5. არ დაკმაყოფილდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი 4.1.1. და 4.2.1. ქვეპუნქტებში მითითებული თითოეული ხელშეკრულების მიხედვით დარიცხული პირგასამტეხლის 357.5-

357.5 (სამას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ნაწილში.

6. თ. გ-ს (პ/ნ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 650.14 ლარის გადახდა;

7. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

8. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1468-1388-2017

11 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: პროვიზიისა და პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „კ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინაალმდევე მხარე, კრედიტორი ან ექსპედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, მოვალე ან შემკვეთი) მიმართ ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 8 804,27 ლარისა და პირგასამტეხლოს – 388,87 ლარის, ხოლო 2015 წლის 5 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 4,40 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2014 წლის 1 ივლისიდან მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, კერძოდ, მხარეთა შორის გაფორმდა გენერალური ხელშეკრულება საექსპედიტორო მომსახურების შესახებ, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, შემკვეთის

დავალებით განეხორციელებინა ტვირთის გადაზიდვის ორგანიზება, რის სანაცვლოდაც მოპასუხე ვალდებული იყო, გადაეხადა ექსპედიტორისათვის შეთანხმებული საზღაური. ხელშეკრულება მოპასუხეს გაეგზავნა ელ-ფოსტის მეშვეობით რამდენჯერმე, თუმცა მას არ დაუბრუნებია ხელშეკრულების ხელმოწერილი ეგზემპლარი, მიუხედავად აღნიშნულისა, შემკვეთი დაეთანხმა შეთავაზებულ პირობებს, ვინაიდან არც შენიშვნები არ წარუდგენია მასზე და არც უარი არ უთქვამს, უფრო მეტიც, ის მუდმივად აძლევდა შემკვეთას ექსპედიტორს და ბოლო პერიოდამდე იხდიდა საზღაურს. ბოლო პერიოდში მოპასუხის მხრიდან ვალდებულება არაერთხელ დაირღვა და მისი დავალიანება მოსარჩელის წინაშე შეადგენს 8 804.27 ლარს. მოსარჩელე ითხოვს პირგასამტეხლოს – 388.87 ლარისა და 2015 წლის 5 აგვისტოდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 4.40 ლარის დაკისრებას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ძირითადად იმ საფუძველით მოითხოვა, რომ ექსპედიტორმა თავად დაარღვია ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების პირობა, რის გამოც შემკვეთს მიადგა ზიანი.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 ივლისის სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, შემკვეთს ექსპედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 1 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება – 8 804,27 ლარის, ასევე, პირგასამტეხლოს – 388,87 ლარისა და 2015 წლის 5 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 4,40 ლარის ანაზღაურება.

3.2. ამავე სასამართლოს 2016 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით მოვალის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შემკვეთმა, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

5. გასაჩივრებელი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოვალემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ შეცვლისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო პალატის შეფასების საგანს სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიოობა და ის გარემოება წარმოადგენს, არსებობდა თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. ამ თვალსაზრისით, კასატორი ძირითადად ორ პრეტენზიას გამოთქვამს: ა) მისი, როგორც მოპასუხის გამოუცხადებლობა სასამართლოს უნდა მიეჩნია საპატიოდ და ბ) სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის მიზნებისათვის კანონდარღვევად განიხილება სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი მოძიება ან მისი არასწორი გამოყენება ან/და განმარტება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. თავის მხრივ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ საკასაციო საჩივრის წარმატებას თავად კასატორის მიერ ზემოხსენებულ საფუძვლებზე მითითება და ამ გზით საკასაციო შედავებათა დასაბუთება განაპირობებს.

1.3. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს საკითხის შეფასებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 4 ივლისს, 10:30 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე მოპასუხეს უწყება გაეგზავნა მის მიერ შესაგებელში მითითებულ მისამართზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, 2016 წლის 15 ივნისს ჩაიბარა მენეჯერმა;

1.3.2. სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რაიმე განცხადება ან შუამდგომლობა მოპასუხის გამოუცხადებლობის საკითხთან დაკავშირებით, სასამართლოს არ გადასცემია;

1.3.3. მოპასუხის გამოუცხადებლობის მოტივით მოსარჩელემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნა და დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა ექსპედიტორის მოთხოვნა.

1.3.4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარში მოპასუხე აღნიშნავს, რომ შემკვეთმა შეიცვალა იურიდიული მისამართი და 2016 წლის 7 ივლისს დაგვემძილი ჰქონდა საპრეზენტაციო ღონისძიება. იგი ადასტურებს, რომ 2016 წლის 13 ივნისს უწყება გადაეცა კანონით დადგენილი წესით, თუმცა კომპანიის იურისტმა მისამართის, საპრეზენტაციო ღონისძიების ორგანიზებისა და სხვა მიზეზების გამო, არასწორად ჩაინიშნა სხდომის ჩატარების დრო – 17:20 საათი. შეცდომის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მოსარჩელის წარმომადგენელმა აცნობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე;

1.3.5. 2016 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებს, რის გამოც, ძალაში იქნა დატოვებული მოპასუხის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

1.3.6. დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში შემკვეთი ფაქტობრივად იმავე გარემოებებზე ამყარებს საკუთარ პოზიციას იმ დამატებით, რომ მხარემ სადავო გახადა სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა;

1.3.7. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე და არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ საფუძვლიანობას, პალატამ

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლზე მითითებით განმარტმა, რომ მოპასუხეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავო არ გაუხდია სარჩელის საფუძვლები და არ არსებობდა მისი პრეტენზიის შესწავლის წინაპირობა.

1.4. საკასაციო სასამართლო კასატორის პოზიციის სისწორის შეფასების მიზნით განმარტავს, რომ:

1.4.1. პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი, კერძოდ კი, სასამართლო ხდომალზე მოპასუხის გამოუცხადებლობისას მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სახეზე უნდა იყოს (სსსკ-ის 230-ე მუხლი) შემდეგი წინაპირობები: ა) მხარე დადგენილი წესით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და არასაპატიოდ არ უნდა გამოცხადდეს სხდომაზე; ბ) სარჩელში მითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვას. მითითებული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია.

1.4.2. რაც შეეხება მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლების თანახმად, იგი დაიშვება, თუ მხარე, რომელის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაამტკიცებს, რომ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადე-

ბისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

ე) არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მხარე ვერ გამოცხადდა სასამართლოში და ამავდროულად, ვერ შეძლო სასამართლოს წინასწარ ინფორმირება.

1.5. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სახეზეა საპატიო მიზეზი, რის გამოც მხარე დროულად ვერ გამოცხადდა სასამართლოში, ამ მხრივ კასატორის მიერ მითითებული გარემოებები (მაგალითად, მიმდინარეობდა რემონტი, არ არსებობდა პრეზუმფცია სარჩელის ცნობისა და სხვა), არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობა, შესაბამისად, მხარე ვერ ამტკიცებს დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას.

1.6. რაც შეეხება კასატორის მეორე ძირითად პრეტენზიას – მოთხოვნის იურიდიული მართებულობის თაობაზე, პალატა ნაწილობრივ იზიარებს მას (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის კონტექსტში) და აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში მიღებული გადანყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. სასამართლო უპირველესად ხაზს გაუსვამს იმ გარემოებას, რომ სარჩელის იურიდიული საფუძვლიანობის გამორკვევა სამართლის საკითხს წარმოადგენს და მიუხედავად მხარის მოთხოვნისა, სასამართლო ყოველთვის ვალდებულია ამ კუთხით წარმართოს შესაბამისი კვლევა, სწორედ ამ დასაბუთებით უარყოფს საკასაციო პალატა გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ ხსენებული საკითხის სააპელაციო წესით სადავოდ გახდომა, იმ პირობებში, რომ საჩივარში მხარე მას არ შედავებია, არღვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნებს.

1.7. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული, კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების (იხ. აღწერილობით ნაწილის 1.2. პუნქტი) სამართლის ნორმებთან სუბსუმირებით დგინდება, რომ მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დაიდო სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლით გათვალისწინებული სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება, რომელიც ფორმათავისუფალი გარიგებაა (იხ. სკ-ის 730.2 და 709-ე მუხლები), რამდენადაც მოსარჩელე თავადვე ადასტურებს, რომ მოპასუხემ კონტრაქტს ხელი არ მოაწერა, თუმცა ახორციელებდა შესაბამის მოქმედებებს.

ხელშეკრულების ფარგლებში ექსპედიტორმა განახორციელა გადაზიდვები, ხოლო, შემკვეთს არ გადაუხდია პროვიზია (სკ-ის მე-400 მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას), რომლის დავალიანებამაც შეადგინა 8 804,27 ლარი. ამ მოთხოვნის ნაწილში პალატა მიიჩნევს, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მასზე შეთანხმება კანონი იმპერატიულად უკავშირებს წერილობით ფორმას (შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას), წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმება პირგასამტეხლოს თაობაზე უცილოდ ბათილია და 61-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, შეთანხმებულად არ მიიჩნევა. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სარჩელში მითითებული, დადგენილად მიჩნეული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებდა სასამართლო მოთხოვნას.

1.8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების უცვლელად დატოვების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა: იმ პირობებში, როდესაც დადგენილია ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოზე მხარეთა ზეპირი შეთანხმება, არ არსებობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის

პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე. ამ მუხლში აღნიშნული ნესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯი შეადგენს 257,79 ლარს, გარდა ამისა, კრედიტორი მოითხოვდა იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებასაც, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილებულ იქნა. მოპასუხემ სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადაიხადა 560,50 და 700,56 ლარი. განსახილველი დავის საგნის ღირებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილისა და 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შეადგენს 14 011,14 ლარს ($8\ 804,27 + 388,87 + (4,40 \times 365 \times 3)$). საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე, საბოლოოდ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებულია 62%-ით, ხოლო უარყოფილია – 38%-ით, რის გამოც, პალატა მიიჩნევს, რომ მხარეებს მათ მიერ გაღებული ხარჯებიდან სწორედ ზემოხსენებული პროპორციით უნდა დაეკისროთ ერთმანეთის სასარგებლოდ ხარჯების ანაზღაურება, გარდა ამისა, მოსარჩელის შუამდგომლობის გათვალისწინებით, მოპასუხეს მის სასარგებლოდ ასევე უნდა დაეკისროს მოგებული თანხის 4%-ის გადახდა. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პროპორციულად გადახდილ ბაჟს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, იგი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ნ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და 2016 წლის 10 ოქტომბრის განჩინების უცვლელად დატოვების, ასევე, პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „კ-ის“ სარჩელი შპს „ნ-ის“ მიმართ პირგასამტეხლოს – 388,87 ლარის, ასევე, 2015 წლის 5 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 4,40 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს „ნ-ის“ (ს/კ №.....) შპს „კ-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ სარჩელზე გადახდილი ბაჟიდან დაეკისროს 159,8 ლარი, ასევე, იურიდიული მომსახურების ხარჯის სახით 352 ლარი.
5. შპს „კ-ს“ (ს/კ №...) შპს „ნ-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან დაეკისროს 479,2 ლარი.
6. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1033-953-2017

30 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა დ. ბ. ძემ (შემდეგში: მოსარჩელემ, აპელანტმა ან კასატორმა) საქართველოს სამოქალაქო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის (შემდეგში: მოპასუხის, ან მოწინააღმდეგე მხარის) წინააღმდეგ სახელფასო დავალიანების – 15 140 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

2. მოსარჩელის განმარტებით, იგი ქუთათელ-გაენათელი მეუფე კ-ეს 2004 წლის 30 აგვისტოს ბრძანებით შექმნილ რადიომაუნწყებლობა „კვალი ნათლის“ რედაქტორად დაინიშნა. ქალაქ ქუთაისის მერიამ, მოსარჩელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, 2007 წელს საბიუჯეტო თანხიდან დამატებით გამოყო რადიომაუნწყებლობის თანამშრომელთა სახელფასო თანხა – 8000 ლარი. მეუფემ უარი განაცხადა ამ თანხის მოსარჩელისათვის გადაცემაზე და თანამდებობიდან გაათავისუფლა. მოსარჩელის მტკიცებით, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, გათავისუფლების ბრძანება დღემდე არ ჩაჰბარებია. ამასთან, 2007 წლის იანვრიდან რადიოს ყველა თანამაშრომელი გათავისუფლდა, თავად კი, მეუფის №217 ბრძანებით, კორესპონდენტად დარჩა. შესაბამისად, ყველა სამუშაოს შესრულება მოსარჩელეს მოუწია. ამდენად, მოსარჩელის მტკიცებით, მას რადიოსათვის გამოყოფილი 8000 ლარი, როგორც რადიოს ერთადერთ თანამშრომელს, სრულად უნდა გადაეცეს. ვინაიდან არ არსებობს მისი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება, შემდგომი სახელფასო დავალიანება (კორესპონდენტის ხელფასი) უნდა აუნაზღაურდეს, 2007 წლის ნოემბრიდან სარჩელის აღძვრამდე (102 თვე), თვეში 70 ლარის ოდენობით, სულ – 7140 ლარი.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს ხელფასი არა 70, არამედ 50 ლარი ჰქონდა. ამასთან, მას გათავისუფლების №217 ბრძანება ჩაბარებული რომ არ ჰქონოდა, ცხადია, სასამართლოში ვერ წარმოადგენდა, ხოლო, თუ ის ამ ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვდა, ამის საფუძველზე თანხის დაკისრების მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4.1. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ 2007 წლის ოქტომბრის ჩათვლით დანიშვნის ბრძანებით განსაზღვრული ხელფასი მიიღო. ამასთან, მან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შეიტყო 2007 წლის ნოემბერში ზეპირსიტყვიერად, კერძოდ, მან 2011 წლის 16 ნოემბერს განცხადებით მიმართა მიტროპოლიტ მეუფეს, სადაც მიუთითა, რომ 2007 წლის ნოემბერში ეპარქიაში სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ განუცხადეს.

4.2. სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ მოსარჩელის თხოვნის საფუძველზე რადიოსათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8000 ლარი გამოიყო. არც ის დასტურდებოდა, რომ დაფინანსების შემთხვევაში, თანხა მოსარჩელეს ხელფასის სახით უნდა გადასცემოდა, რადგან არ იყო წარდგენილი მტკიცებულებები მოსარჩელის მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე.

4.3. სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა 2007 წლის ნოემბრიდან სარჩელის აღძვრამდე 70 ლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია 2007 წლის ნოემბრიდან დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა. ამასთან, დადასტურებული იყო, რომ მან ამ თარიღიდანვე იცოდა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

4.4. სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულადაც მიიჩნია, რამდენადაც კანონით გათვალისწინებული სახელმეკრულებო ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი მოსარჩელის მიერ უფლების დარღვევის შესახებ შეტყობიდან, 2007 წლის ნოემბრიდან, გასული იყო.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

5.1. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, თითქოს, მისთვის 2007 წლის ნოემბერში გახდა ცნობილი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ის მუშაობდა ნოემბრის ბოლომდე და, ხელფასის

მისაღებად ბულალტერიაში გამოცხადებისას, ბულალტრისგან გაიგო, რომ მეუფე მასზე განაწყენებული იყო კრიტიკული წერილის გამო, რის გამოც ხელფასიც არ გამოუწერეს. საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომ ის ნოემბრის ჩათვლით ასრულებდა თავის მოვალეობას, თუმცა ნოემბრის ხელფასი მასზე არ გაიცა.

5.2. ცალსახად დასტურდება ისიც, რომ ქ. ქუთაისის მერიამ საბიუჯეტო დაფინანსებაზე დამატებით 8000 ლარი მხოლოდ მოსარჩელის არაერთგზის მოთხოვნის საფუძველზე გამოყო, ყველა სამუშაო რადიომაუწყებლობაში 2007 წლის იანვრიდან დეკემბრამდე მარტო მოსარჩელემ შეასრულა, შესაბამისად, რადიომაუწყებლობისათვის გამოყოფილი თანხა მთელი წლის განმავლობაში მოსარჩელეს ეტაპობრივად უნდა მიეღო.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

6.1. სააპელაციო პალატის მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული სააპელაციო საჩივარი, ხოლო ამავე სასამართლოს 2017 წლის 14 აპრილის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2017 წლის 5 მაისს, 14:30 საათზე. მხარებს ეცნობათ სხდომის დღე და ადგილი. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა აპელანტი, თუმცა მან დატოვა სასამართლოს სხდომის დარბაზი. დარბაზის დატოვებამდე სააპელაციო სასამართლომ განუმარტა მხარეს აღნიშნული ქმედების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, რომ პროცესში მონაწილეობის მიუღებლობისას შესაძლოა, მიღებულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

6.2. სააპელაციო სასამართლომ აპელანტი, სსკ-ის 232-ე მუხლის შესაბამისად, გამოუცხადებელ მხარედ მიიჩნია, დაადგინა რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

7. ზემოხსენებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება. საჩივრის მიხედვით, მოსარჩელემ მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისთა-

ნავე მიმართა სასამართლოს სახაზინო ადვოკატის დანიშვნის თხოვნით. მოსამართლის თანაშემწემ მოსარჩელეს განუმარტა, რომ მისი შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე განიხილებოდა. მოსარჩელე იმ იმედით გამოცხადდა სხდომაზე, რომ მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილდებოდა და ორი ადვოკატით წარმოდგენილ მონინაალმდევე მხარეს თავადაც კვალიფიციური იურისტის მეშვეობით დაუპირისპირდებოდა. მისი მოლოდინი არ გამართლდა, შუამდგომლობა სახაზინო ადვოკატის დანიშვნის თაობაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა, მას არც საკუთარი ხარჯით ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა არ მიეცა, რითაც დაირღვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტებით, უკანონოა სააპელაციო სასამართლოს განჩინება მისთვის სახაზინო ადვოკატის დანიშვნის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ის, როგორც სოციალურად დაუცველი პირი, საჭიროებდა სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნას, რომელიც სათანადო წესით გასწევდა სხდომაზე მის წარმომადგენლობას. საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სასამართლოს სხდომა, ვინაიდან მას, პროფესიით ჟურნალისტს, არ შეეძლო კვალიფიციური სამართლებრივი წინააღმდეგობა გაენია მოპასუხისათვის, რომელიც პროფესიონალი ადვოკატებით იყო წარმოდგენილი.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა აპელანტის საჩივარი და ძალაში დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

8.1. სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება, მისთვის სახაზინო ადვოკატის დანიშვნის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, უკანონო იყო. პალატამ მიუთითა, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე და განმარტა, რომ მოცემული სამოქალაქო საქმე არ გამომდინარეობდა არცერთი იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელზეც კანონით უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარება. ამასთან, პალატის მოსაზრებით, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქმე სირთულით არ გამოირჩეოდა, რის გამოც აპელანტის მოთხოვნა, სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებით, კანონშესაბამისად არ დაკმაყოფილდა.

8.2. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორი ვერ მიუთითებდა და ვერ ადასტურებდა გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. შესაბამისად,

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 372-ე, 232-ე, 229-ე, 387.1, 241-ე მუხლებით და საჩივარი არ დააკმაყოფილა.

9. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების, საქმის არსებითად განხილვის მოთხოვნით. კასატორი უთითებს როგორც საჩივარში აღნიშნულ გარემოებებზე (იხ. პ.7), ასევე დამატებით განმარტავს შემდეგს:

9.1. საქმეში მხარე იყო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც წარმოადგენდა ადვოკატი. მიუხედავად იმისა, რომ მეუფეს მხარის სტატუსი არ გააჩნდა, იგი პირველი ინსტანციის სასამართლოში ესწრებოდა სხდომას და აქტიურად მონაწილეობდა პროცესის მიმდინარეობაში, სასამართლომ ვერ უზრუნველყო დარბაზში წესრიგის დაცვა. სააპელაციო სასამართლოში სწორედ ეს გახდა აპელანტის პროტესტის საფუძველი, რომ იმავე ვითარებაში პროცესის წარმართვა შეუძლებელი იყო, ამიტომ აპელანტმა ითხოვა სხდომის დახურვა ან სხვა რაიმე ფორმით მეუფის ზენოლისაგან გათავისუფლება და, როგორც პროცესის არამონაწილე პირის რამენაირად შეზღუდვა. ამის მიუხედავად, ზუსტად იგივე სიტუაცია შეიქმნა სააპელაციო სასამართლოში. მეუფე და სამღვდლო პირები შეურაცხყოფდნენ აპელანტს, რის გამოც მოსარჩელემ სასამართლოს მოახსენა, რომ, ვინაიდან სასამართლო ვერ უზრუნველყოფდა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას, აზრი არ ჰქონდა მხარის პროცესზე დარჩენას.

9.2. აპელანტს ეკონომიკურად უჭირს, დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, რის გამოც, როგორც წერილობით, ისე ზეპირად ოქმში დაფიქსირებით მოითხოვა სახაზინო ადვოკატის დანიშვნა, რაზეც უარი იმ მიზეზით მიიღო, რომ სოციალურად დაუცველთა ბაზაში მისი ქულები არ იყო საკმარისი სახაზინო ადვოკატის დასანიშნად. ამის გამო, აპელანტს, რომელსაც არ ჰქონდა იურიდიული განათლება, მოპასუხის ადვოკატებთან პირისპირ აღმოჩნდა. ამასთან, სასამართლომ თავის განჩინებაში საერთოდ არ იმსჯელა იმაზე, რომ აპელანტმა პროცესი საფუძვლიანი და სამართლიანი პროტესტის საფუძველზე დატოვა.

9.3. მოწინააღმდეგე მხარეს რამდენიმე ადვოკატი წარმოადგენდა, მათგან ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა და აპელანტს საუბრის საშუალებას არ აძლევდა, სააპელაციო სასამართლომ ისე დაუშვა საჩივრის განხილვაზე, რომ არც ჰქონდა პროცესში მონაწილეობის უფლება, რაც მინდობილობიდანაც ჩანს.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტმა დატოვა სასამართლო სხდომა, სასამართლოს მიერ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ განმარტების მიუხედავად. კასატორის მოსაზრებით, მის წინააღმდეგ არ უნდა გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლომ იგი დატოვა კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც რამდენიმე ადვოკატი იცავდა, შესაბამისად, იგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

12. კასატორის ზემოხსენებული პრეტენზიის მართებულობის შესამოწმებლად, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ გარემოებებზე: აპელანტმა 2017 წლის 10 აპრილს განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და იურიდიული დახმარებისათვის, სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნა მოითხოვა; 2017 წლის 5 მაისამდე (სასამართლო სხდომის დღემდე) სასამართლოს შუამდგომლობა არ განუხილავს და შესაბამისი განჩინება არ გამოუტანია; 2017 წლის 5 მაისის სხდომაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის თაობაზე, ასევე უარი უთხრა მას საქმის განხილვის იმ საფუძვლით გადადებაზე, რომ აპელანტს მისცემოდა შესაძლებლობა, თავისი ხარჯით დაექირავებინა ადვოკატი.

13. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობებისა და განცხადებების წარდგენისა და განხილვის წესს სსსკ-ის 215-ე მუხლი განსაზღვრავს, რომლის

დანანესიდან გამომდინარე, სასამართლოში წერილობითი ფორმით წარდგენილი შუამდგომლობა სასამართლოს შეუძლია, განხილოს როგორც სასამართლო სხდომამდე და გამოიტანოს განჩინება, ისე – სასამართლო სხდომაზევე გამოიტანოს განჩინება, რომელიც აისახება სხდომის ოქმში.

14. მართალია, საპროცესო კანონმდებლობა არ ავალდებულებს სასამართლოს შუამდგომლობის სხდომამდე განხილვას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის შუამდგომლობის სხდომამდე განხილვის მიზანშეწონილობა მისი შინაარსიდან გამომდინარეობდა. აპელანტი იურიდიული დახმარებისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნას განცხადებით ითხოვდა, რაც, პირველ რიგში, სწორედ ამ პროცესზე წარმომადგენლობას გულისხმობდა (და არა, მაგ. საპროცესო დოკუმენტების მომზადებას, რამდენადაც სააპელაციო საჩივარი უკვე წარდგენილი ჰქონდა). შესაბამისად, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნას გარკვეული პროცედურა და დრო დასჭირდებოდა, ამასთან, ამ უკანასკნელს სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა უნდა ჰქონოდა. შუამდგომლობის უარყოფის შემთხვევაში კი, აპელანტს გონივრული ვადა უნდა ჰქონოდა, თავად უზრუნველყო წარმომადგენლის მოძიება იურიდიული დახმარებისათვის, რათა ის სასამართლო პროცესზე ფაქტის წინაშე არ აღმოჩენილიყო და სათანადო იურიდიული დახმარების გარეშე არ დარჩენილიყო (რაც ასეც მოხდა). შესაბამისად, პალატას სწორედ სასამართლო სხდომამდე უნდა განეხილა აპელანტისათვის საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის საკითხი, მით უფრო, რომ შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინა სხდომამდე, თითქმის, ერთი თვით ადრე.

15. საკასაციო პალატის მოსაზრებით, თუ სააპელაციო სასამართლომ, გადატვირთულობის ან რაიმე სხვა ობიექტური გარემოების გამო, ვერ შეძლო სასამართლო სხდომამდე აპელანტის შუამდგომლობის განხილვა, მაშინ მას საქმის განხილვა უნდა გადაედო იმ ვარაუდით, რომ აპელანტს ადვოკატის აყვანის დრო ჰქონოდა და არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო მეორე მხარესთან შედარებით. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებიდან. ასეთ ვითარებაში დაუსწრებელი გადანაცვების მიღებით შეილახა მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება. მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს, რომ თითოეულ

მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს არსებითად არამომგებიან პოზიციაში ოპონენტთან შედარებით (*Niderost-Huber v. Switzerland*; *Kress v. France*; *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*). ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოახსონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ სწრაფ და ეფექტურ საქმისწარმოებას, გადაწყვეტილებების დაუსწრებლად გამოტანის შესაძლებლობის ჩათვლით (*Azdajic v. Slovenia*), თუმცა, არა – სხვა სამართლებრივი გარანტიების, განსაკუთრებით მხარის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების საზიანოდ.

16. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ აპელანტი სამართლებრივი დახმარების გარეშე აღმოჩნდა მონინალმდეგე მხარის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე ადვოკატით იყო წარმოდგენილი. უდავოა, სამართლებრივი დახმარების განევა უნდა განისაზღვროს თითოეული საქმის კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით კანონის შესაბამისად, თუმცა, რადგან პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, იმისათვის რომ პროცედურული სამართლიანობა და შესაძლებლობათა თანასწორობა უზრუნველყო, საქმის განხილვა სხვა დროისათვის უნდა გადაედო.

17. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც ერთი მხარე მოხალისე ადვოკატებით წარმოდგენილი ფიზიკური პირი, ხოლო მეორე მხარე გამოცდილი ადვოკატებით წარმოდგენილი საერთაშორისო მასშტაბის კომპანია იყო, მხარეთა თანასწორობის კუთხით აღნიშნა, რომ სამართლებრივი დახმარების დონეებს შორის არსებული უთანასწორობა, ისეთი ხარისხის იყო, რომ უთუოდ წარმოშობდა უსამართლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერც მოხალისე ადვოკატების არარეგულარული დახმარება და ვერც მოსამართლეთა მხრიდან მოსარჩელეთათვის, როგორც მოდავე მხარისათვის განეული ფართო ხელშეწყობა და შეღავათები, ვერ ჩაანაცვლებდა საქმეში კარგად გარკვეული და სამართლის მცოდნე გამოცდილი ადვოკატების კომპეტენტურ და განუწყვეტელ წარმომადგენლობას. საქმეთა სამართლიანი სასამართლო განხილვის კონცეფციისათვის ცენტრალური საკითხია ის, რომ მოდავე მხარეს გააჩნდეს სრული შესაძლებლობა, ეფაქტურად წარმოადგინოს თავისი საქმე სასამართლოს წინაშე და სარგებლობდეს მეორე მხარესთან მიმართებით თანაბარი შე-

საძლებლობებით (Steel and Morris v. the United Kingdom).

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მოსარჩელესთან მიმართებით არაპროპორციულად შეიზღუდა. ამის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს სხდომა სხვა დროისათვის უნდა გადაედო, შესაბამისად, იმავე სხდომაზე მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო.

19. სსსკ-ის 241-ე მუხლი (დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის) განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

20. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში (მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები) მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ნორმაში აღწერილ შემთხვევათაგან ერთ-ერთის არსებობისას, სასამართლო არაა უფლებამოსილი, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო, თუ ასეთი გადაწყვეტილება მაინც იქნება მიღებული, იგი უნდა გაუქმდეს. ამასთან, სსსკ-ის 241-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება, გაუქმდეს სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, როდესაც სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, დაუსწრებე-

ლი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სსსკ-ის 230-ე მუხლის შინაარსიდან, თუმცა ამის თაობაზე პირდაპირ არაა მითითებული სსსკ-ის 233-ე მუხლის ჩამონათვალში. იგივე უნდა ითქვას სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შემთხვევაზეც, ცხადია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის თავისებურებათა გათვალისწინებით. ზოგადად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ მიიჩნევა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა სამართლიანი პროცედურების დაცვით უნდა განხორციელდეს.

21. სასამართლოს ვალდებულება, შეჯიბრებითობის საფუძველზე განახორციელოს საქმისწარმოება, რათა უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ შეიღებოს რომელიმე მხარის უფლება, გულისხმობს თითოეული მხარის უფლებისა და ინტერესისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასაც. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ვალდებულება დაირღვა იმით, რომ პალატამ სასამართლო სხდომამდე არ განიხილა აპელანტის შუამდგომლობა, რის შედეგადაც მხარეს დროულად არ ეცნობა ფაქტი, რომ მას სამართლებრივი დახმარების გარეშე მოუწევდა პროცესზე საკუთარი სამართლებრივი პოზიციის დაცვა. ამასთან, არ გადადო სასამართლო პროცესი მაშინ, როდესაც აპელანტი ამის თაობაზე შუამდგომლობდა და არსებითად უთანასწორო პირობებში აღმოჩნდა მონინალმდეგე მხარესთან შედარებით. ამდენად, სასამართლომ მხარეთა თანასწორობის დაცვა ვერ უზრუნველყო. გამომდინარე აქედან, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით, მისი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება არასამართლიანად და დაუსაბუთებლად შეიზღუდა. მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მუხლსაც.

22. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახ-

მად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, არსებითად იმსჯელოს საქმის გარემოებების თაობაზე, ვიდრე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ასეთი გარემოებები კი, მოცემულ საქმეზე დადგენილი არაა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილავს.

23. კასატორის 30.10.2017 წლის განცხადებას ერთვოდა მტკიცებულებები – ყურნალისტური გამოძიების მასალა. პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 104-ე და 407-ე მუხლების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადანყვეტილების მხოლოდ იურიდიულ მხარეს ამოწმებს. კანონი კრძალავს საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითებასა და ახალი მტკიცებულებების წარდგენას, რამდენადაც ეს შეუთავსებელია საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებასთან. შესაბამისად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში 30.10.2017 წლის განცხადებაზე დართული ყურნალისტური გამოძიების მასალა.

24. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, მოცემულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას, უნდა გადანყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 412-ე მუხ-
ლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. დ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის დაუსწრებელი გადანყვე-

ტილება, ამავე სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება და-
უსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქ-
მე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. კასატორ დ. ბ-ქს დაუბრუნდეს 30.10.2017 წლის განცხადე-
ბაზე დართული ყურნალისტური გამოძიების მასალა;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-
რდება.

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-378-378-2018

31 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგო-
მარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ა., ნ. და რ. პ.-ებმა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღ-
ძრეს სასამართლოში ხ. ბ.-ას (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ 2013
წლის 1 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად
ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, მხარეთა შორის არსებობდა სარ-
გებლიანი სესხის ხელშეკრულება. აღნიშნულთან დაკავშირებით
გაფორმდა ხელშეკრულება, თუმცა მოსარჩელეებისათვის ცნობი-
ლი გახდა, რომ რეალურად გაფორმებულა მათი კუთვნილი უძრავი
ნივთის ნასყიდობა და არა, სესხისა და უზრუნველყოფის მიზნით,
იპოთეკის ხელშეკრულება.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სადავო გარი-

გება დაიდო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი:**

4. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა, რომ 2013 წლის 29 აპრილს მხარეებს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, სესხის თანხა განისაზღვრა 10000 აშშ დოლარით, პროცენტის ოდენობა თანხის 5% ყოველთვიურად, მოპასუხის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელეთა სახელზე რეგისტრირებული ქონება, 2014 წლის შეთანხმებით სესხის თანხა კი განისაზღვრა 12500 აშშ დოლარით, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილე-
ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა, მონინაალმდეგე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდა, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. ამავე სასამართლოს 2017 წლის 6 ივლისის განჩინებით მოსარჩელეთა საჩივარი დაკმაყოფილდა, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის განხილვა განახლდა.

სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში და მთავარი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 30 ნოემბერს, 13.50 საათზე.

9. მოსარჩელები სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებულ იქნენ კანონით დადგენილი წესით, ხელწერილითა და სატელეფონო შეტყობინებით ჩაბარების გზით, 2017 წლის 16 ნოემბერს.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ

გამოცხადდა მონინალმდეგე მხარის წარმომადგენელი. გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე რაიმე სახის შეტყობინება სასამართლოში არ შესულა. ერთ-ერთმა მოსარჩელემ წარადგინა განცხადება და აღნიშნა, რომ, ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერ ცხადდება სასამართლო სხდომაზე.

11. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 372-ე, 216-ე და 215-ე მუხლებით და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სამი მონინალმდეგე მხარეა, მათგან ორს ჰყავთ წარმომადგენელი. სასამართლოს სხდომის გადადების საფუძველად ერთ-ერთი მონინალმდეგე მხარის განცხადებაა წარმოდგენილი, რომელიც ზოგადად ოჯახურ პირობებზე მითითებით სასამართლო სხდომის კვლავ გადადებას ითხოვს. სააპელაციო პალატის განმარტებით, არ არსებობს ის შემთხვევა, რა დროსაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა გამოუცხადებლობას საპატიოდ მიიჩნევს და სასამართლო სხდომას გადადებს, რადგან მონინალმდეგე მხარეთა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის.

12. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს სხდომის გადადების შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნული სახის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მხარემ უნდა განახორციელოს საპატიო მიზეზის არსებობისას, სხვა შემთხვევაში გონივრულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა ემსახურება საქმის განხილვის გაჭიანურებას, გამოუცხადებლობა კი, – სასამართლოსადმი უპატივცემულობას.

13. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მონინალმდეგე მხარეთა სასამართლო მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიიჩნია.

14. ამავე კოდექსის 229-ე, 242-ე მუხლების, 387-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობის ავტორის – აპელანტის წარმომადგენლის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა სულ სხვა ხელშეკრულების თაობაზე, რაც არ იყო სარჩელით დავის საგანი, ის ხელშეკრულება, რაც სასამართლომ გააუქმა თავისი გადაწყვეტილებით საერთოდ არ დარეგისტრირებულა რეესტრში. სასამართლო გასცდა დავის ფარგლებს, მხარეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ უთხოვია, ასევე მიუთითა, რომ ის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა მხარეთა შორის და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ნამდვილია, მხარეთა ნამდვილი ნების გამომხატველია და მისი ბათილობის საფუძველი არ არსებობს.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილს, მონინალმდეგე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ერთხელ უკვე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

16. მითითებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა მონინალმდეგე მხარის საჩივრის საფუძველზე და საქმის განხილვა განახლდა. სასამართლოს სხდომა არაერთგზის გადაიდო მხარეთა მორიგების მიზეზით. მხარეთა მოსაზრებები მოსმენილი არ ყოფილა.

17. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მონინალმდეგე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ უნდა იქნეს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

18. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

19. კასატორმა მხარემ განმარტა, რომ მოსარჩელები არიან ნათესავები, – მუულები და მათი შვილი. საქმის განხილვის დღეს ორივე მუულები იყო ცუდად, ჰქონდათ სიცხე ვირუსული ავადმყოფობის გამო. წარმომადგენელს არ უცნობებია მათთვის სასამართლო სხდომაზე თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი.

20. კასატორებმა აღნიშნეს, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნათა დაცვით წინასწარ აცნობეს სასამართლოს მათი გამოუცხადებლობის თაობაზე განსაკუთრებული ობიექტური გარემოების გამო.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებლად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

22. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ იგი უნდა გაუქმდეს და საქმე განსახილველად

დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

23. სსსკ-ის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

24. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი თავისთავად დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას არ გამოიწვევს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია, სამართლებრივად შეაფასოს სარჩელში მითითებული, დადასტურებული ცნობილი გარემოებები და გამოარკვიოს, შეესაბამება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა კანონით ამ ტიპის ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების დანაწესს. თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

25. ანალოგიური პრინციპით სსსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნორმით კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე დადგენილ და გაზიარებულ იქნას სააპელაციო საჩივარში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებანი. თუ ისინი იურიდიულად ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება.

26. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარისათვის საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეტ-

ყოზინება; 2. მისი არასაპატიო გამოუცხადებლობა; 3. სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტების იურიდიული მართებულობა აპელანტის მოთხოვნასთან მიმართებით.

27. საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ დადგენილად ჩაითვლება აპელანტის მიერ დასახელებული მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებანი და არა მხარის მიერ ფაქტების სამართლებრივი შეფასება.

28. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს.

29. წინამდებარე სააპელაციო საჩივარში მოპასუხემ მიუთითა, რომ სასამართლომ, მართალია, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. სსსკ-ის 248-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნას და თავისი ინიციატივით მიაკუთვნა მხარეს ის, რასაც მხარე არ ითხოვდა, კერძოდ: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მითითებულია სასარჩელო მოთხოვნა – ბათილად იქნეს ცნობილი 2013 წლის 1 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებს შორის უძრავ ნივთზე. რაიონულმა სასამართლომ კი დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ სულ სხვა რამ გადაწყვიტა და სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაადგინა, რომ 2013 წლის 29 აპრილს მხარეებს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, სესხის თანხა განსაზღვრა 10000 აშშ დოლარით, პროცენტის ოდენობა – თანხის 5% ყოველთვიურად. მოპასუხის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელების სახელზე რეგისტრირებული ქონება, ხოლო სესხის თანხა განისაზღვრა 12500 აშშ დოლარით.

30. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტს წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში არ მიუთითებია ისეთ ფაქტებზე, რომლებიც შეიძლება სააპელაციო პალატის მხრიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფარგლებში დადგენილად ჩაითვალოს. მოპასუხის მიერ დასახელებული არგუმენტი, რომ რაიონული სასამართლო გასცდა მოსარჩელის მოთხოვნას, წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას. აპელანტის მოსაზრება კი სსსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს ვერ გამოიწვევს და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება.

31. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სასამართლო პროცესზე მონინალმდეგე მხარის – მოსარჩელეთა გამოუცხადებლობა წარმოადგენდა საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობას, ვინაიდან მოსარჩელეები პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოგებულ მხარეს წარმოადგენენ და საქმის განხილვის გაჭიანურება მათ ინტერესებს არ შეესაბამება.

32. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ, მოპასუხის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებანი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს არსებითად განსახილველად აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა., ნ. და რ. პ.-ების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სასამართლო გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-376-376-2018

4 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: დამსაქმებლის მიერ გამოცემული ბრძანებების
ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, გ. ჩ-ასა და რ. ჭ-იას სარჩელი, შპს „...“ მიმართ, მოპასუხის გენერალური დირექტორის 2012 წლის 27 ნოემბრის №... ბრძანების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 2012 წლის 27 ნოემბრისა და 2013 წლის 1 თებერვლის შრომითი კონტრაქტის 5.1 და 5.2 მუხლების, 2013 წლის 1 ივლისის №15-02/967 და 2013 წლის 1 მარტის №... ბრძანებების ბათილად ცნობის, გ. ჩ-იას შპს „...“ საფოსტო დეპარტამენტის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონული ფილიალის ხობის საფოსტო სერვისცენტრის უფროსის, ხოლო რ. ჭ-იას – შპს „...“ საფოსტო დეპარტამენტის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონული ფილიალის ხობის საფოსტო სერვისცენტრის უფროსის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და განთავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის – თითოეულისთვის 750 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩევეებმა.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით საპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის გენერალური დირექტორის 2012 წლის 27 ნოემბრის №... ბრძანების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები, 2012 წლის 27 ნოემბერსა და 2013 წლის 1 თებერვალს გ. ჩ-იასთან გაფორმებული შრო-

მითი კონტრაქტების 5.1 და 5.2 მუხლები და სამუშაოდან გ. ჩ-იას გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 1 მარტის №... ბრძანება, გ. ჩ-ია აღდგენილ იქნა შპს „.....“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) თანამდებობაზე, 2013 წლის 1 მარტიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის – 750 ლარის ანაზღაურება (საგადასახადო განაკვეთის გათვალისწინებით), ასევე, ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 27 ნოემბერსა და 2013 წლის 1 თებერვალს რ. ჭ-იასთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტის 5.1 და 5.2 მუხლები, რ. ჭ-იას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 1 ივლისის №... ბრძანება და რ. ჭ-ია აღდგენილ იქნა შპს „....“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) ტოლფას თანამდებობაზე, დამსაქმებელს რ. ჭ-იას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2013 წლის 1 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 750 ლარი (საგადასახადო განაკვეთის გათვალისწინებით).

3. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში 2017 წლის 5 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ შპს „....“ საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო.

4. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს „....“ და მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების განმარტება, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების მე-7 და მე-11 პუნქტებით დადგინდა, რომ გ. ჩ-ია აღდგეს შპს „....“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) თანამდებობაზე, ხოლო რ. ჭ-ია შპს „....“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) ტოლფას თანამდებობაზე. ვინაიდან, შპს „....“ ყველა სერვისცენტრში არსებობს მენეჯერის მხოლოდ ერთი სამტატო ერთეული და არ არის მენეჯერის ასისტენტის ან/და მოადგილის სამტატო ერთეული, ანუ ის თანამდებობები, რომლებიც ფუნქციურად მსგავსი იქნებოდა მენეჯერის თანამდებობის, ამასთან, გადანყვეტილების მე-7 და მე-11 პუნქტები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, შეუძლებელია ამ პუნქტების ერთდროულად შესრულება. ამდენად, განმარტებას ექვემდებარება ის, თუ რას ნიშნავს მენეჯერის თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა და რა კრიტერიუმები არსებობს გარკვეული თანამდებობის ტოლფას თანამდებობად მიჩნევისათვის. აღნიშნული განცხადება განხილულ იქნა ზემოთხსენებულ სასამართლოების მიერ, კერძოდ:

4.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 აპრი-

ლის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-11 პუნქტი: „რ. ჭ-ია აღდგენილ იქნეს შპს „...“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) ტოლფას თანამდებობაზე“ განიმარტა, შემდეგნაირად: „რ. ჭ-ია აღდგენილ იქნეს, შპს „...“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) ფუნქციებისა და იმავე სახელფასო განაკვეთის მქონე სხვა სამტატო ერთეულზე;

4.2. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ და მისი გაუქმება მოითხოვა;

4.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 ივლისის განჩინებით, კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდა ამავე სასამართლოს 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, შპს „...“ განცხადების ხელახლა განსახილველად;

4.4. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-11 პუნქტი: „რ. ჭ-ია აღდგენილ იქნეს შპს „...“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) ტოლფას თანამდებობაზე“ განიმარტა შემდეგნაირად: „რ. ჭ-ია აღდგენილ იქნეს, შპს „...“ ნებისმიერი საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) სამტატო ერთეულზე, სადაც დასაქმებულის, რ. ჭ-იას საცხოვრებელი ადგილიდან, სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე, საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებით მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არაუმეტეს 3 საათს დღეში.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „...“, მოითხოვა მისი გაუქმება და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტება.

5.1. კერძო საჩივარი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: სააპელაციო სასამართლოს განმარტება ეწინააღმდეგება შრომის კოდექსის დანაწესებს. აღნიშნული განმარტებისას, სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, თუმცა მხედველობის მიღმა დატოვა ხსენებული ნორმის დათქმა, რომ სამუშაო ადგილის შეცვლა არ უნდა იწვევდეს არათანაზომიერ დანახარჯებს. განმარტების ბუნდოვანებას მოწმობს ის გარემოებაც, რომ სასამართლოს არ შეუფასებია რ. ჭ-იას საცხოვრებელი ადგილის პრობლემა, დამსაქმებლისთვის ცნობილი არ არის

რ. ჭ-იას საცხოვრებელი ადგილი, რომელიც პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს და სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირს შეიძლება, ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ასევე, კომპანიისათვის შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რომელი სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს მონინალმდეგე მხარის საცხოვრებელი ადგილიდან იმ სამსახურამდე, რომელიც, სასამართლოს მოსაზრებით არის ტოლფასი, გარდა ამისა, განჩინებიდან გაურკვეველია, როგორ უნდა განსაზღვროს დამსაქმებელმა დრო პირის საცხოვრებელი ადგილიდან სამსახურამდე მანძილის დასაფარად. კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს განუმარტა, რომ ყველა სერვისცენტრში არსებობს მენეჯერის მხოლოდ ერთი ადგილი, არ არის მისი მოადგილის შტატი ან სხვა თანამდებობა, რომელიც ფუნქციურად მსგავსი იქნებოდა მენეჯერის თანამდებობისა. სააპელაციო სასამართლომ, იმ საკითხის გაუთვალისწინებლად, რომ არ არსებობს ვაკანტური თანამდებობა, ისე დაადგინა რ.ჭ-იას ნებისმიერ სერვისცენტრში აღდგენა, რომ არ გაითვალისწინა მესამე პირთა უფლებები, რადგანაც გადანყვეტილების აღსრულების მიზნით კომპანიას მოუწევს რომელიმე მენეჯერის გათავისუფლება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 10 ივლისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა სააპელაციო სასამართლოს, რომ კონკრეტული თანამდებობის არარსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს, ხოლო ამის შემდგომ დამსაქმებელი ვალდებულია მიუთითოს და დაამტკიცოს რომელი თანამდებობაა ტოლფასი. საშტატო ნუსხა სასამართლოსათვის მიწოდებულ იქნა კომპანიის მიერ, რის შემდეგაც მტკიცების ტვირთი გადავიდა მოსარჩელეზე. სააპელაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს მითითების გაუთვალისწინებლად გადაანანილა მტკიცების ტვირთი, რაც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებსა და მოქმედ სასამართლო პრაქტიკას. გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას – სასამართლომ შეცვალა სარეზოლუციო ნაწილი, რამდენადაც კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების მე-11 პუნქტის თანახმად, რ.ჭ-ია აღდგენილია შპს „...“ ხობის საფოსტო სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილების) მენეჯერის (უფროსის) ტოლფას თანამდებობაზე და არა მენეჯერის თანამდებობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ

შპს „...“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემო-
ებების გამო:

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმო-
ებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული
ნესების დაცვით. ამავ კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის
„ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს
გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს
სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო
ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების
შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი
და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

2. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს კა-
ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის
მიზნით მისი განმარტების საკითხი. ამ თვალსაზრით პალა-
ტა ყურადღებას რამდენიმე პრაქტიკულ და თეორიულ საკითხზე
გაამახვილებს:

2.1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-
ვის კონვენციის მე-6 მუხლით რეგლამენტირებულია საქმის სამარ-
თლიანი განხილვის უფლება, რომელიც სამართლის თეორიაში სა-
მართლიანი სასამართლოს უფლებითაც მოიხსენიება. აღნიშნული
ნორმა არ შემოიფარგლება უშუალოდ საქმის განხილვის პროცე-
სით, არამედ, თავის თავში მოიცავს, მათ შორის აღსრულების ეტაპ-
საც. უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის სასამართლოს
მხრიდან დადასტურება ამ უფლების რეალიზაციის წინაპირობაა,
თუმცა, რეალური დაცვა პირის ხელყოფილი ინტერესებისა, სწო-
რედ მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულე-
ბის გზით ხდება. გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში შე-
საძლებელია წარმოიშვას გარკვეული დამაბრკოლებელი გარემო-
ებები, თუმცა, დარღვეული უფლების ეფექტურად დაცვის მიზანს
ემსახურება ამ დაბრკოლებათა თავიდან არიდების მომწესრიგე-
ბელი საკანონმდებლო დანაწესები, რომელთა შორისაცაა სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი. მითითებული ნორმის
პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გადაწყვეტი-
ლების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა, ან აღმას-
რულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელ-
შეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნა-
წილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტი-
ლების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. უფლება-
დარღვეული პირის ინტერესების დაცვის მიზნით გადაწყვეტილე-
ბის განმარტების უმთავრესი პირობაა ის, რომ გადაწყვეტილების

სარეზოლუციო ნაწილით ერთმნიშვნელოვანად არ უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა აღსასრულებლად მიქცეული უფლების თაობაზე. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და, თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება, აღსრულდეს, თუმცა ეს საკანონმდებლო დათქმა არ უნდა განიმარტოს ვინრო პროცესუალური თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი ამკვიდრებს რა სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, იგი არა მხოლოდ საქმის სამართლიანი განხილვის, არამედ ამ განხილვის შედეგად მოპოვებული უფლების რეალიზაციასაც მოიცავს. ამავე კონვენციის მე-13 მუხლით რეგულირებულია ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება, რომელიც აღიარებულ ძირითად უფლებასთან, მათ შორის მე-6 მუხლთან შესაბამისად შემონმებას ექვემდებარება და თუკი გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე დაირღვა კრედიტორის ინტერესები, მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა გაუმართლებლად მიიჩნევა“ (იხ. სუსგ №ას-684-638-2017, 7 ივლისი, 2017 წელი).

2.2. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ შპს „...“ გენერალური დირექტორის ცალმხრივი ნება რ. ჭ-იასთან დადებული უვადო შრომითი ხელშეკრულების ვადიან შრომით ურთიერთობად ფორმირებისა, ასევე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე იყო უკანონო, რის გამოც, სასამართლომ იგი, როგორც მართლსაწინააღმდეგო, ბათილად აღიარა და განახორციელა პირის უფლებრივი რესტიტუცია, თუმცა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დადგინდა შემდეგი სახით: რ. ჭ-ია აღდგენილ იქნა შპს „...“ ხობის სერვისცენტრის (საფოსტო განყოფილების) მენეჯერის (უფროსის) ტოლფას თანამდებობაზე. სწორედ იმ მიზნით, რომ გადაწყვეტილების აღსრულების ხელშესაწყობად დადგენილიყო, თუ რა წარმოადგენდა მენეჯერის ტოლფას თანამდებობას, შპს „...“ მიმართა გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს და მოითხოვა საკითხის განმარტება.

2.3. საქმეში არსებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ივლისის განჩინებით არ იქნა გაზიარებული სააპელაციო პალატის შეფასება, რომ მენეჯერის ტოლფას თანამდებობას წარმოადგენდა მენეჯერის ფუნქციებისა და იმავე სახელფასო განაკვეთის მქონე სამტატო ერთეული, რადგანაც კონკრეტული სამტატო ერთეულის მითითების გა-

რეშე განმარტება კვლავ ბუნდოვანი იყო და არ იძლეოდა გადან-
ყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას. საქმის ხელახალი გან-
ხილვის შედეგად სააპელაციო პალატამ სადავო საკითხი კვლავ
ბუნდოვნად განმარტა, კერძოდ, მენეჯერის ტოლფას თანამდე-
ბობაზე პირის აღდგენის მიზნით აღნიშნა, რომ რ. ჭ-ია უნდა აღ-
მდგარიყო შპს „...“ ნებისმიერი საფოსტო სერვისცენტრის (საფოს-
ტო განყოფილება) მენეჯერის (უფროსის) სამტატო ერთეულზე,
სადაც დასაქმებულის, რ. ჭ-იას საცხოვრებელი ადგილიდან, სამუ-
შაოს შესრულების ახალ ადგილამდე, საზოგადოდ ხელმისაწვდო-
მი სატრანსპორტო საშუალებით მისვლა და დაბრუნება მოითხოვს
არაუმეტეს 3 საათს დღეში. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს
კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტებს და აღნიშნავს, რომ გა-
დანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების მიზნით სა-
აპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა შრომის კო-
დექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რადგანაც,
თავად მე-11 მუხლი არეგულირებს შრომითი ხელშეკრულების პი-
რობების შეცვლის საკითხს და იგი ვერ გამოდგება ტოლფასი თა-
ნამდებობის განსაზღვრის მექანიზმად.

2.4. როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით,
ისე – დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკით დადგენილია,
რომ ტოლფასი თანამდებობის დასახელების ვალდებულება ეკის-
რება დასაქმებულს, ანუ მას აქვს ვალდებულება, მიუთითოს ფუნ-
ქციურად, საკვალიფიკაციო მონაცემებითა და სამუშაოს ხასიათის
გათვალისწინებით რა თანამდებობა შეესაბამება მის მიერ ადრე
დაკავებულ სამტატო ერთეულს, ხოლო დამსაქმებელს, როგორც
ძლიერ მხარეს, რომელსაც ხელთ აქვს შრომის ორგანიზაციული პი-
რობების განმსაზღვრელი ყველა სახის მტკიცებულება, ეკისრება
დასაქმებულის პოზიციის გაქარწყლების ვალდებულება.

2.5. რა საკვირველია, საკასაციო სასამართლო მხარს უჭერს იმ
მოსაზრებას, რომ გადანყვეტილება უნდა აღსრულდეს. ამ მხრივ,
მიიჩნევს, რომ დამსაქმებლის მხრიდან მხოლოდ სიტყვიერი მითი-
თება, რომ გამოხატავს პატივისცემას სასამართლო ინსტიტუტის
მიმართ და გამოთქვამს მზადყოფნას, დაუყოვნებლივ აღასრულოს
გადაწყვეტილება, არ არის საკმარისი. იგი ვალდებულია მართლმსა-
ჯულების აქტით დადასტურებული საკუთარი არამართლზომიერი
ქმედების შედეგად პირის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით
გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ხელი შეუწყოს რესტიტუციას.

2.6. მხედველობაშია მისაღები, რომ მოსარჩელე თავად მოით-
ხოვდა არა კონკრეტულ, არამედ – ტოლფას თანამდებობაზე აღ-
დგენას და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლიდან
გამომდინარე, სასამართლო ვერ გასცდებოდა მხარის მოთხოვნას,

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაქმებულის არამართლზომიერად გათავისუფლების თანმდევი შედეგების მომწესრიგებელ ქმედით მექანიზმს ადგენს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი (სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით), რომელიც სასამართლო პრაქტიკაში განიმარტა იმგვარად, რომ მოსამართლე ვალდებულია შესაბამისი წინაპირობების არსებობისას თანმიმდევრობით შეამონმოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის კანონისმიერი რეგულაცია, რომელიც მათ შორის კომპენსაცია შეიძლება იყოს. თავად კომპენსაციის განსაზღვრის კრიტერიუმებს, მართალია, არ ადგენს ორგანული კანონი, თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ მისი განსაზღვრისას გაითვალისწინება მაგ: დამსაქმებლის სანარმოუნარიანობა; პირის მუშაობის ხანგრძლივობა დამსაქმებელთან; კომპენსაცია უდრის იმ თანხას, რომელიც უნდა მიიღოს პირმა, რომ არ გათავისუფლებულიყო; კომპენსაცია უდრის არანაკლებ 6 თვის ხელფასს; კომპენსაციის ოდენობა შეიძლება შემცირდეს, თუ დასაქმებულს ნვლილი მიუძღვის გათავისუფლებაში და სხვა.

3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც, ზემოთ ჩამოყალიბებული დასაბუთების შესაბამისად, უნდა დაადგინოს საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები და ამ ფაქტების შეჯერებით განსაზღვროს შპს „...“ განცხადების საფუძვლიანობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 დეკემბრის განჩინება და საქმე

ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადანყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წინის შეცვლა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1535-1455-2017

26 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: დამსაქმებლის ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის ბრძანების (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის – ნ. ნ-ისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ) ბათილად ცნობის, გათავისუფლებამდე არსებული შრომის სამართლებრივი პირობებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტად მოსარჩელის აღდგენის, 2015 წლის 18 მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის, ყოველთვიურად 720 ლარის, 2015 წლის გამოუყენებელი კუთვნილი შვებულების – 200 ლარისა და ზიანის – მიუღებელი შემოსავლის სახით 1 500 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის ბრძანება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის – ნ. ნ-ისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და აპელანტი აღდგენილ იქნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2015 წლის 18 მაისიდან ყოველთვიური ხელფასის სახით დაეკისრა იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 200 ლარის ანაზღაურება;

3. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2016 წლის 29 ივნისს საკასაციო სასამართლოს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინებით ნ. ნ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების შეცვლის წესის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა განმცხადებელმა;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ნ. ნ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება და საქმე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის შესახებ განცხადების ხელახლა განხილვის მიზნით, დაუბრუნდა იმავე სასამართლოს;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ნ. ნ-ის მოთხოვნა იმავე სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა;

7. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ნ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძ-

ვლები, საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას სამართლებრივი თვალსაზრისით (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები) ამოწმებს კერძო საჩივრის ფარგლებში, თავის მხრივ, კანონმდებლობა ადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელსაც განეკუთვნება შემდეგი: გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ: გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სწორედ ზემოხსენებული წინაპირობა, გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საკითხის მარეგულირებელი ნორმა – შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი (სსსკ-ის 393.2 მუხლის „გ“² ქვეპუნქტი).

2. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრის საკითხი. ამ მხრივ კი, საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და დაკავებული თანამდებობიდან ნ. ნ-ის გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის ბრძანება და ნ. ნ-ი აღდგენილ იქნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, მასვე აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური და მიეცა გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია;

2.2. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, თუმცა, იგი არ აღსრულებულა. ნ. ნ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრა იმ საფუძვლით, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134

ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოწყობის სისტემაში სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურს ამგვარი დასახელებით, ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული (ე.წ. ახალი) დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ²⁵“ ქვეპუნქტით სიღნაღის მუნიციპალიტეტში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურად შენარჩუნებულ იქნა იგივე ტერიტორიული სამსახური ახალი დასახელებით – წნორის ფილიალი, რომელიც ექვემდებარებოდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ამავე (ე.წ. ახალი) დებულების 31-ე მუხლით ასრულებდა იმავე ფუნქციებს, რასაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოწყობის სისტემაში სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახური, არ დადგენილა განსხვავებული კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ ტერიტორიულ ორგანოში პირის შტატიტ გათვალისწინებულ სამსახურში მიღებისათვის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში – წნორის ფილიალში – წნორის ფილიალში კვლავაც გათვალისწინებული იქნა მთავარი სპეციალისტის საშტატო თანამდებობა. განმცხადებელი ითხოვდა მოსარჩელის აღდგენას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის წნორის ფილიალში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კი ნ. ნ-ი აღდგენილია ამჟამად გაუქმებულ სტრუქტურულ ერთეულში – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტად. განმცხადებლის მითითებით, ორივე სტრუქტურული ერთეული ასრულებდა ერთსა და იმავე ფუნქციას და ფაქტიურად ისინი იდენტური სამსახურები იყო. ასევე ახალ სტრუქტურულ ქვედანაყოფსაც გააჩნდა იგივე თანამდებობა, რომელზეც დასაქმებული იყო ნ. ნ-ი;

2.3. 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ განცხადება ძირითადად იმ საფუძვლით არ დააკმაყოფილა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ახალი სასარჩელო წარმოების ფარგლებში შესაფასებელ საკითხს წარმოადგენდა და არ არსებობდა გადაწყვეტილების აღსრულების წესის ფარგლებში მისი დაკმაყოფილების წინაპირობები. საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინებით დააკმაყოფილა რა ნ. ნ-ის კერძო საჩივარი, არ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნა და ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცე-

დენტულ სამართალზე დაყრდნობით განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ექცეოდა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სახელმწიფოს მხრიდან აღუსრულებლობა, როგორც ხსენებული, ისე – ევროკონვენციის მე-13 მუხლის დარღვევად განიხილებოდა. გასაჩივრებული განჩინებით უარყოფილ იქნა სააპელაციო პალატის ის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სადავო საკითხი ახალი სარჩელის ფარგლებში უნდა შეფასებულიყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის კონტექსტში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხების დამოუკიდებელი სარჩელის პირობებში განხილვა-გადაწყვეტის შემთხვევაში, საგრძნობლად იზღუდება ეფექტიანი სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება, ვინაიდან მხარეს ისედაც დიდი დრო აქვს დახარჯული საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად (კერძოდ, სარჩელი გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 24 ივნისს, სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 29 ივნისს და იგი დღემდე არ აღსრულებულა, ამასთან, საქმე ეხება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას – შრომის თავისუფლებას, რომლის დარღვევის გამოც მიმართა მან სასამართლოს) და დამატებითი სარჩელის აღძვრა აზრს დაუკარგავს სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებულ გარანტიას;

2.4. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა განცხადების საფუძვლიანობაზე, თუმცა კვლავ არ დააკმაყოფილა იგი. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ განმცხადებელი მოითხოვს მის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობა დღეის მდგომარეობით გაუქმებულია. აღნიშნულ სამსახურში არსებობს მხოლოდ ორი სამტაქტო თანამდებობა, უფროსი ოპერატორი და ოპერატორი, რომელთა სამუშაოს აღწერილობა არ შეესაბამება ნ. ნ-ის მიერ მთავარი სპეციალისტის სამუშაოს ფუნქციებს. აქედან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება და ნ. ნ-ის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენა შეუძლებელია, ასევე, შეუძლებელია მისი, წნორის ფილიალში სხვა რომელიმე პოზიციაზე აღდგენა, რადგანაც ფილიალში არ ფიქსირდება მისი ტოლფასი სამუშაო (სამუშაო აღწერილობის თანახმად, უფ-

როსი ოპერატორისა და ოპერატორის ფუნქციები განსხვავებულია მთავარი სპეციალისტის ფუნქციებისგან, სხვა შტატი აღნიშნულ ფილიალში არ იძებნება). სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წნორის ფილიალსა თუ კახეთის რეგიონულ ოფისში (ეს უკანასკნელი სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა წნორის ფილიალის უფლებამონაცვლედ) მითითებული თანამდებობების ფუნქციების იდენტურობა რომც დადგინდეს, ნ. ნ-ის მიერ განხორციელებულ სამუშაო ფუნქციებთან, ნ. ნ-ის სამუშაოზე აღდგენა შეუძლებელია, ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არც წნორის ფილიალში და არც კახეთის რეგიონულ ოფისში ვაკანტური ადგილი არაა. აღნიშნული დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი არაერთი წერილით. ტოლფას თანამდებობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა ახალი მტკიცებულებები, რომლიდანაც გამოირკვა შემდეგი:

ა) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წნორის ფილიალს აქვს ორი საშტატო ერთეული – უფროსი ოპერატორი და ოპერატორი (სამსახურებრივი ბარათი);

ა.ა.) უფროსი ოპერატორის ფუნქციებს წარმოადგენს:

– სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის – ფილიალის ხელმძღვანელობა;

– სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, სა-რეგისტრაციო განაცხადების მიღება-გაცემა;

– მიღებული დოკუმენტაციის სკანირება; გარიგების მონაწილეთა მიერ, მათივე თანდასწრებით გარიგებაზე ხელმოწერის ფაქტის დადასტურება;

– სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, მენარმე და არამენარმე პირების თაობაზე განაცხადების მიღება-გაცემა;

– მიღებული დოკუმენტაციის სკანირება;

– კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

– ხელმძღვანელთა ცალკეული დავალებების შესრულება (2017 წლის 13 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ტერიტორიული სამსახურების ტიპური დებულება);

ა.ბ.) ოპერატორის ფუნქციებს წარმოადგენს:

– სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, სა-რეგისტრაციო განაცხადების მიღება-გაცემა; მიღებული დოკუმენტაციის სკანირება;

– გარიგების მონაწილეთა მიერ, მათივე თანდასწრებით გარიგებაზე ხელმოწერის ფაქტის დადასტურება;

– სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, მენარმე და არამენარმე პირების თაობაზე განაცხადების მიღება-გაცემა;

– მიღებული დოკუმენტაციის სკანირება;

– სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, ტექ. აღრიცხვის არქივის მიმართულებით განაცხადების მიღება-გაცემა;

– ხელმძღვანელთა ცალკეული დავალებების შესრულება (2017 წლის 13 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ტერიტორიული სამსახურების ტიპიური დებულება);

ბ) 2014 წლის 1 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, ნ. ნ-ის ფუნქციებს წარმოადგენდა:

– სამსახურის უფროსის არყოფნის დროს მისი ფუნქცია-მოვალეობების შესრულება, კოორდინაციის გაწევა და სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა;

– სამსახურის ფარგლებში ზედამხედველობის უზრუნველყოფა და თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე პასუხისმგებლობა;

– სამსახურის უფროსისთვის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ ანგარიშის წარდგენა;

– სააგენტოს თავმჯდომარის, კურატორი თავმჯდომარის მოადგილის, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსის, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის, შესაბამისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის უფროსისა და მოადგილის ცალკეულ დავალებათა შესრულება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 ივნისის მომართვაზე თანდართული დოკუმენტი – მთავარი სპეციალისტის – ნ. ნ-ის სამუშაო აღწერილობა);

გ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის – კახეთის რეგიონული ოფისი (სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის განჩინება);

დ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტატო ნუსხის შესაბამისად, კახეთის რეგიონულ ოფისში რეგისტრატორის თანამდებობა ვაკანტური არ არის (2017 წლის 20 ივნისის სამსახურებრივი ბარათი);

ე) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სისტემაში კადრების შერჩევის მიზნით გამოცხადებული იყო კონკურსი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურეთა 100 პოზიციაზე. აღნიშნულ ვაკანსიაზე სამსახურის ადგილმდებარეობაა თბილისი (2017 წლის 13 ივლისის სამსახურებრივი ბარათი);

ვ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ნ. ნ-ს გაეგზავნა შეთავაზება, დაინიშნოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალურ ოფისში შრომითი ხელშეკრულებით (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 2 ოქტომბრის წერილი);

ზ) 2017 წლის ბიუჯეტის თანახმად, რეგისტრატორის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 449 ლარს (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოქმედი საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი).

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ არსებობს ტოლფასი თანამდებობა. ამ პრეტენზიას მხარე ამყარებს საკონკურსო მოთხოვნებზე და განმარტავს, რომ რეორგანიზებულ სამსახურში არ დადგენილა განსხვავებული საკვალიფიკაციო კრიტერიუმები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ტოლფასი თანამდებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დასაქმებულს, (იხ. სუსგ №ას-902-864-2014, 30 მარტი, 2015 წელი), ამ მხრივ, კერძო საჩივრის ავტორი სასამართლოს არ სთავაზობს დასაბუთებულ პოზიციას, მხოლოდ ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სავალდებულოა, ვერ გახდება გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობა. საკასაციო პალატა, რასაკვირველია, წინამდებარე კერძო საჩივრის ფარგლებში არ არის უფლებამოსილი სსიპ-ის რეორგანიზაციის საკითხის კანონიერება შეამოწმოს, თუმცა, უდავოა რომ დამსაქმებელმა, რომლის მიერ გამოვლენილი ნების კანონიერებაზე მიმდინარეობდა დავა, მით უფრო, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა დამსაქმებლის მართლწინააღმდეგობრივი ქმედება და დასაქმებულის სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლება, უნდა აიღოს საკუთარ არაკანონზომიერ ქცევაზე პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს უფლებადარღვეული პირის ინტერესების დაცვა კვლავ შელახვისაგან. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის წინაპირობებს უნდა ემყარებოდეს და ვაკანტური თანამდებობის არარსებობით არ შეიძლება ერთი პირის უფლების დაცვის

ხარჯზე სხვა კეთილსინდისიერი, კონკურსის წესით დასაქმებული პირის უფლებები შეილახოს. ამ მხრივ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებულია, ხოლო კასატორის კრიტიკა – საფუძველს მოკლებული. პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მხარის არგუმენტს, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის გამო, მისი აღსრულების მიზნით, დასაქმებული შესაძლებელია, სააგენტოს ნებისმიერ, მათ შორის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში იქნას აღდგენილი იმავე, სხვა ან უფრო დაბალ თანამდებობაზე, რადგანაც უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საჩივრის ფარგლებში სასამართლო მსჯელობს განცხადების საფუძვლიანობაზე, რომელიც თავდაპირველად იქნა წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში და საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე განცხადების მოთხოვნისა და საფუძვლების ცვლილება არ შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს, უფრო მეტიც, სასამართლო არ იზიარებს დასაქმებულის არგუმენტს, რომ მისი ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით დამსაქმებელმა უნდა მოახერხოს შესაბამისი პოზიციის „გამოდებნა-მისადაგება“. საკასაციო პალატა კვლავ მიუბრუნდება დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას, რომლის შესაბამისადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სწორედ დასაქმებულია ვალდებული, დამტკიცოს გაუქმებულ და ახლადჩამოყალიბებულ საშტატო ნუსხაში თანამდებობათა ტოლფასოვნება, არსებითი მსგავსება. ამ მხრივ, კერძო საჩივარი შემოიფარგლება საქმის მასალებისა და გასაჩივრებული განჩინების კრიტიკით და არ შეიცავს სადავო საკითხის ირგვლივ საკმარის დასაბუთებას;

4. პალატა იზიარებს ნ. ნ-ის არგუმენტს, რომ საერთო ჯამში მიღებული განჩინება მაინც არ წარმოადგენს მისი, როგორც კრედიტორის უფლებების დაცვის საშუალებას და მათ შორის გადაწყვეტილების აღსრულებამდე განაცდურის დაკისრების ნაწილში ვერ უზრუნველყოფს მოპოვებული უფლების საკმარის რეალიზაციას. საკასაციო პალატა კვლავ მოიშველიებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა, როგორც ერთხელ უკვე განიმარტა, საკასაციო პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინებაში, წარმოადგენს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტიანი რეალიზაციის საშუალებას (იხ. ევროკონვენციის 6.1 მუხლი) და ემსახურება უფლებადარღვეული პირის ინტერესების დაცვას, რამეთუ დავის წარმატებით დასრულება, მისი საბოლოო შედეგის მიღწევის გარეშე ილუზორულს ხდის სამართლიანი

სასამართლოს კონცეფციას.

5. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ აღსრულების წესის დადგენის თვალსაზრისით, სავსებით მართებულად იხელმძღვანელა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით, თუმცა, გაურკვეველია აღსრულების წესთან მიმართებით მხოლოდ იმავე ან ტოლფას სამუშაოზე აღდგენა რატომ მიიჩნია საკმარისად და ამომწურავად არ შეაფასა ნორმით განსაზღვრული ყველა წინაპირობა. ამ ნაწილში განჩინება საერთოდ დაუსაბუთებელია და არ შეიცავს რაიმე ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, გარდა ამისა, პალატის მსჯელობა ხსენებულ ნაწილში მატერიალური სამართლის ნორმის არასწორ განმარტებას ემყარება:

5.1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შრომით დავებში დამსაქმებლის ნების კანონშეუსაბამობის დადგენისას მის მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი წარმოადგენს. მითითებული ნორმის თანახმად კი, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადანყევტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადანყევტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. ერთ-ერთ საქმეზე (იხ. სუსგ №ას-931-881-2015, 29 იანვარი, 2016 წელი) საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: „დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში [სშკ-ის 38.8] მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა, კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება. სშკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება (იხ. სუსგ №ას-951-901-

2015, 29.01.2016წ.).

6. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სააპელაციო პალატამ ნ. ნ-ის განცხადების ფარგლებში შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობები შეამონმა მხოლოდ ნაწილობრივ და არ დაუდგენია საკითხის გადაჭრისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს შემაჯამებელი აქტი გადანყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის განსაზღვრაზე, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი საფუძვლით (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა) პალატა აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ნ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ქალა – გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

გადაწყვეტილების კანონიერ ქალაში შესვლის შედეგები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1558-1478-2017

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემდგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: შენობის უმკვიდროდ ცნობა, საკუთრებაში უსას-
ყიდლოდ გადაცემა (ძირითადი სარჩელი), საცხოვრებელი სადგო-
მის თანამესაკუთრედ ცნობა (მესამე პირის დამოუკიდებელ სარ-
ჩელში)

აღწერილობითი ნაწილი: სასარჩელო მოთხოვნა:

1. გ. ზ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ზ. მ-ისა
და ა. ე-ას (შემდგომში – მოპასუხეები) მიმართ და მოითხოვა ნ. ს-
ისა და ტ. კ-ის სახელზე აღრიცხული საცხოვრებელი სადგომის
(დამხმარე შენობა-ნაგებობა ლიტერ „ბ“ ანუ №... 7.02 კვ.მ ფართის
შენობა) და ე. გ-ას სახელზე აღრიცხული (ლიტერ „გ“ – №... 6.09 კვ.მ
ფართის) შენობის უმკვიდროდ ცნობა და საკუთრებაში უსასყიდ-
ლოდ გადაცემა.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, სადავო მისამართზე მდებარე
სახლთმფლობელობა ირიცხებოდა რამდენიმე თანამესაკუთრის
სახელზე. აღნიშნული ქონება მოსარჩელის მამამ შეიძინა გასული
საუკუნის 60-იან წლებში. მოსარჩელე წლების მანძილზე ფლობს
საცხოვრებელ სადგომს და იხდის გადასახადებს.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხე სსიპ-მ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საქმეში

არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელე არის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსარგებლე პირი.

მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა:

4. გ. ტ-ი-ე-ემ (შემდგომში – მესამე პირი) დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა წარადგინა მოსარჩელის, მ. ზ-ისა და მოპასუხე სსიპ-ს მიმართ და მოითხოვა, ნ. ს-ის და ტ. კ-ის სახელზე აღრიცხული საცხოვრებელი სადგომი (დამხმარე შენობა ლიტერ „ბ“, №... 7.02 კვ.მ შენობა) და ე. გ-ას სახელზე აღრიცხული შენობა (ლიტერ „ვ“ №... შენობა, 6.09 კვ.მ) ცნობილ იქნეს უმკვიდროდ და საკუთრებაში გადაეცეს მესამე პირს უსასყიდლოდ. მანვე მოითხოვა მოსარჩელის სახელზე იმავე მისამართზე რეგისტრირებული უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობა.

5. მესამე პირის განმარტებით, მოსარჩელის სახელზე აღრიცხული ქონება ამ უკანასკნელმა მიიღო როგორც ხ. ზ-ის უფლებამონაცვლემ. სადავო უძრავი ნივთი შეიძინეს ხ. და ქ. ზ-ებმა. მესამე პირი ქ. ზ-ის შვილი და პირველი რიგის მემკვიდრეა. მან მიიღო დედის სამკვიდრო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო მესამე პირის დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას ეთქვა უარი, რაც მესამე პირმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით მესამე პირის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. ს-ის და ტ. კ-ის სახელზე აღრიცხული საცხოვრებელი სადგომი (დამხმარე შენობა-ნაგებობა ლიტერ „ბ“, №... 7.02 კვ.მ შენობა), ასევე, ე. გ-ას სახელზე აღრიცხული ლიტერ „ვ“, №... 6.09 კვ.მ შენობა ცნობილ იქნა უმკვიდროდ და მისი $\frac{5}{8}$ ნაწილი უსასყიდლოდ გადაეცა მოსარჩელეს, მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამავე ქონების $\frac{3}{8}$ ნაწილი კი უსასყიდლოდ გადაეცა მესამე პირს, მესამე პირი ცნობილ იქნა მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული იმავე მისამართზე მდებარე უძრავი ქონების $\frac{3}{8}$ ნაწილის მესაკუთრედ შემდეგ გარემოება-

თა გამო:

8. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცნობა-დახასიათებით დადგენილია, რომ სადავო საცხოვრებელი სადგომი ქ.თბილისში, ს-ის ქ. №...-ში საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ნ. ს-ის, ე. გ-ას, პ. ბ-ის და ტ. კ-ის სახელზე.

9. საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობების თანახმად, ნ. ს-ი გარდაცვლილია 2012 წლის 7 სექტემბერს, ტ. კ-ი – 2012 წლის 7 სექტემბერს, ე. გ-ა – 2012 წლის 7 სექტემბერს, პ. ბ-ი – 1958 წლის 29 ნოემბერს.

10. 1959 წლის 12 ივნისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, 1958 წლის 29 ნოემბერს გარდაცვლილი პ. ბ-ის მემკვიდრეს წარმოადგენს ა. ე-ა, რომელსაც, სადავო სამართალწარმოებიდან გამომდინარე, გზავნილები ბარდებოდა საჯარო შეტყობინების გზით.

11. ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ მოიძებნა ინფორმაცია ტ. კ-ის, ე. გ-ას და ნ. ს-ის სამკვიდრო ქონების თაობაზე.

12. ხ. ზ-ი და ქ. ტ-ი (ქორწინების შემდეგ ზ-ი) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1962 წლის 16 ოქტომბრიდან.

13. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდინან იმ ფაქტს, რომ ხ. ზ-ები წარმოადგენდნენ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოსარგებლეებს, ამასთან, უდავოა ის გარემოებაც, რომ მითითებულმა პირებმა სადავო ქონებაზე სარგებლობის უფლება მოიპოვეს რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში და ეკუთვნოდათ მათ თანასაკუთრების უფლებით (სამოქალაქო მოდექსის 1158-ე მუხლი).

14. გარდაცვალების მოწმობების თანახმად, ხ. ზ-ი გარდაიცვალა 1992 წლის 2 ივლისს, ქ. ზ-ი – 2011 წლის 3 ივნისს.

15. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1957 წლის 23 ივლისს დაბადებული მესამე პირი არის ქ. ტ-ის (შემდეგში ზ-ის) ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, ხოლო 1963 წლის 25 მარტს დაბადებული მოსარჩელე – ხ. ზ-ისა და ქ. ზ-ის (ტ-ის) საერთო შვილი.

16. მხარეები არ დავობენ, რომ ხ. ზ-ს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე – ქ. ზ-ი (მეუღლე) და მოსარჩელე (ვაჟიშვილი).

17. 2013 წლის 31 ივლისს მესამე პირის სახელზე გაცა სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც დგინდება, რომ მან მიიღო გარდაცვლილი დედის სამკვიდრო ქონება. უდავოა ის ფაქტიც, რომ ეს სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი დაუფლებით მიღებული აქვს მოსარ-

ჩელესაც. ამდენად, ქ. ზ-ის სამკვიდროზე თანაბარწილად დარჩა ორი მემკვიდრე – მოსარჩელე და მესამე პირი (სსკ-ის 1328-ე მუხლი და 1336-ე მუხლის პირველი ნაწილი).

18. სამოქალაქო რეესტრის მიერ გაცემული ცნობების თანახმად, 1975 წლის 17 იანვრიდან – მესამე პირი, ხოლო 1990 წლის 4 მაისიდან – მოსარჩელე რეგისტრირებულია სადავო მისამართზე. აქვე ირიცხებოდნენ ხ. და ქ. ზ-ები, რომლებიც იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს.

19. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მეუღლეები წარმოადგენდნენ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოსარგებლებს (კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო, მათი მემკვიდრეები – მოსარჩელე და მესამე პირი არიან მათი უფლებამონაცვლები, შესაბამისად, 5/8 და 3/8 ნაწილებში.

20. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მატერიალურ სამართალში ურთიერთობის მონაწილე კონტრაჰენტის ამა თუ იმ საფუძვლით ურთიერთობიდან გასვლა იწვევს ამ ურთიერთობაში უფლებამონაცვლის ჩართვას და მისთვის იმ უფლება-მოვალეობათა გადაცემას, რაც თავდაპირველ სამართალსუბიექტს გააჩნდა. ზოგადად, სამოქალაქო სამართალში ორი სახის უფლებამონაცვლეობა არსებობს: პირველი – უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა (მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) და მეორე – სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება (მოთხოვნის დათმობა). ორივე შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის ფარგლები იმისდა მიხედვით დგინდება, თუ რა სახის უფლებამონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, ამასთან, უფლებამონაცვლე უფლებებსა და მოვალეობებს იმ ფარგლებში იძენს, რა ფარგლებშიც იგი მის წინამორბედთან იყო. უფლებამონაცვლეობის ფარგლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ადრე არსებული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების ფარგლებში, მხოლოდ უფლებამონაცვლის ნებაზე ან მასა და მის წინამორბედს შორის შეთანხმებაზე არ არის დამოკიდებული, ვინაიდან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მესამე პირის ინტერესზე.

21. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო საცხოვრებელი სადგომის თავდაპირველი თანამოსარგებლის – ხ. ზ-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო სადავო უფლების 1/2 ნაწილზე, რომელიც თანაბარწილად მიიღეს მისმა პირველი რიგის მემკვიდ-

რეებმა – მეუღლემ და ვაჟმა (სსკ-ის 1421-ე მუხლი). შესაბამისად, მისი მეუღლე გარდაცვალების მომეტისთვის იყო სადავო უფლებების 3/4 წილის მესაკუთრე, ხოლო 1/4 ეკუთვნოდა მოსარჩელეს. თავის მხრივ, ქ. ზ-ის გარდაცვალების შემდეგ მისი წილი თანაბარწილად მიიღეს მოსარჩელემ და მესამე პირმა (თითოეულმა – 3/8). ამდენად, ამ უკანასკნელებზე გადავიდა ის უფლება-მოვალეობები, რაც სადავო საცხოვრებელ სადგომზე გააჩნდათ თავდაპირველ მოსარგებლებს შემდეგი წილობრივი მონაცემებით: მოსარჩელე – 5/8, მესამე პირი – 3/8.

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ამავე სასამართლოს 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინებისა და 2013 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 იანვრის განჩინების საფუძველზე დგინდება, რომ ზემოაღნიშნული მოსარგებლის უფლების რეალიზება სრულად მოახდინა მოსარჩელემ. მითითებული სასამართლო აქტების საფუძველზე, მოსარჩელე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა სადავო იმ შენობა-ნაგებობების მესაკუთრედ, რომლებზეც სარგებლობის უფლება გააჩნდათ მის გარდაცვლილ მშობლებს.

23. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებით დადგინდა, რომ მესამე პირის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზემოთ მითითებული სასამართლო აქტები იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა ნ. ს-ის, ტ. კ-ის და ე. გ-ას სახელზე აღრიცხული უძრავი ქონება და ამ ნაწილში საქმის წარმოება განახლდა.

24. საქმის მასალებითა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დგინდება, რომ განახლებული სამართალწარმოების ფარგლებში პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სარჩელი. მისი მოთხოვნები ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მას, როგორც თავდაპირველი მოსარგებლე ქ. ზ-ის (ტ-ის) მემკვიდრეს, მოსარჩელესთან ერთად, თანაბარწილად ეკუთვნოდა სადავო ქონების ის ნაწილი, რაც ამ უკანასკნელის სახელზე იყო რეგისტრირებული. რაც შეეხება №... და №... შენობა-ნაგებობებს, ამ ნაწილში იგი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მას ამ ნაგებობებზე სარგებლობის უფლება დათმობილი ჰქონდა მშობლებისაგან ჯერ კიდევ 1992 წელს, შესაბამისად, მიიჩნევდა, რომ ამ ნაგებობებზე მას სრულად და დამოუკიდებლად უნდა მოეხდინა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან

გამომდინარე, მოსარგებლის უფლების რეალიზება.

25. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მესამე პირმა ვერ წარადგინა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მას მშობლებისგან ჯერ კიდევ 1992 წელს გადაეცა №... და №... შენობა-ნაგებობებზე სარგებლობის უფლება, რის გამოც ამ ნაგებობებზე სრულად და დამოუკიდებლად უნდა მოეხდინა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოსარგებლის უფლების რეალიზება. ამდენად, ამ ნაგებობების ნაწილშიც მისი უფლება რეალიზებადია ქ. ზ-ისაგან მემკვიდრეობით მიღებულ 3/8 ნაწილში.

26. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილით, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მე-9 მუხლებით და საქმეში არსებული მასალებით დაადგინა, რომ №... და №... შენობა-ნაგებობების მესაკუთრეები – ნ. ს-ი, ტ. კ-ი და ე. გ-ა გარდაიცვალნენ 2012 წლის 7 სექტემბერს. მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული უძრავი ქონება ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეებს არ მიუღიათ და არც სამკვიდრო მონუმობის გასაცემად მიუმართავთ ნოტარიუსისათვის. ამდენად, არცერთ მემკვიდრეს სამკვიდრო არ მიუღია, რის გამოც ნ. ს-ის, ტ. კ-ისა და ე. გ-ას სახელზე აღრიცხული სადავო ქონება ცნობილ უნდა იქნეს უმკვიდროდ და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეთ მოსარჩელეს – 5/8 წილით, ხოლო მესამე პირს – 3/8 წილის ოდენობით.

27. სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამკვიდრო აქტივში შედის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სარგებლობის უფლება.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

28. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

29. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მონი-ნაალმდევე მხარეს შეცდომით მიაკუთვნა სადავო უძრავი ქონების ნაწილი, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადან-ყვეტილებით კასატორს საკუთრებაში გადაეცა და ამ ნაწილში გა-დანყვეტილების ბათილად ცნობის საკითხი არ დამდგარა. შესაბა-მისად, გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უსაფუძვლოა, რამდენადაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სადავო უძრავი ქონების (გარდა №... და №... შენობა-ნაგებობებისა) კასატორისათვის მიკუთვნების თაობაზე კანონიერ ძალაშია.

30. კასატორის განმარტებით, მონინალმდეგე მხარემ სააპელაციო სასამართლოს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მისთვის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით მხოლოდ №... და №... შენობა-ნაგებობების ნაწილში, რაც არაერთხელ დაზუსტდა ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა, აღნიშნულის დაკმაყოფილებაზე თავის დროზე თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით უარი თქვა.

31. კასატორმა მიიჩნია, რომ მის სახელზე რიცხული უძრავი ქონებიდან 3/8 ნაწილის მონინალმდეგე მხარისათვის მიკუთვნება წარმოადგენს უხემ კანონდარღვევას.

32. კასატორმა აღნიშნა, რომ როდესაც მონინალმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილება ბათილად ცნო სადავო შენობა-ნაგებობების (№..., №... შენობების) ნაწილში, საქმის ხელახალი განხილვისას გამოიკვეთა გარემოებები, რომელთა საფუძველზეც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა, კერძოდ, იმ საფუძველზე, რომ მან სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით, თუნდაც მონმეთა ჩვენებით, მკაფიოდ ვერ დაადასტურა, რომ სადავო შენობა-ნაგებობების კანონიერი მოსარგებლის სტატუსი გააჩნდა, ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის მემკვიდრეობა, სწორედ ის და არა მოსარჩელე დაეუფლა სადავო ფართს.

33. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ქ. ზ-ის მიერ მეუღლის სამკვიდროს მიღების ფაქტი. მხოლოდ მესამე პირის მიერ წარდგენილი სამკვიდრო მონმობა საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს შესაბამისი უფლებების წარმოშობისათვის.

34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 იანვრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით კი მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

35. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს მოსარჩელის სახელზე რიცხული სადავო სახლთმფლობელობის 3/8 წილის მესამე პირისათვის მიკუთვნების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

36. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავის სამართლებრივად სწორად კვალიფიცირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია საქმეზე არსებითი ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დადგენა და შეფასება.

37. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

38. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, გ. ზ-ის, ზ. მ-ის და მ. ზ-ის სახელზე ირიცხება უძრავი ქონება ქ. თბილისში, ს-იის ქ. №...ში.

39. თბილისის საქალაქო სასამართლო 2013 წლის 19 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და 9 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე მოსარჩელის სახელზე აღირიცხა ლიტერ „ე-ში“ მდებარე №... შენობაში განთავსებული 75.89 კვ.მ-ს 1/2 საცხოვრებელი ფართი, დამხმარე ნაგებობები – ლიტერ „ბ“, №... შენობაში 7.02 კვ.მ-ის 1/2 ნაწილი, ლიტერ „ს“, №- შენობა 10.41 კვ.მ 1/2 ნაწილი, ასევე, ლიტერ „ვ“ №... შენობა 6.09 კვ.მ 1/2 ნაწილი.

40. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის განცხადების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე საქმის წარმოება განახლდა და გაუქმდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გ. ზ-ს საკუთრებაში გადაეცა შენობა-ნაგებობა №... და №....

41. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცნობა-დახასიათებით დადგენილია, რომ სადავო საცხოვრებელი სადგომი ქ. თბილისში, ს-იის ქ. №...-ში საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ნ. ს-ის, ე. გ-ას, პ. ბ-ის და ტ. კ-ის სახელზე.

42. საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობების თანახმად, ნ. ს-ი გარდაცვლილია 2012 წლის 7 სექტემბერს, ტ. კ-ი – 2012 წლის 7 სექტემბერს, ე. გ-ა – 2012 წლის 7 სექტემბერს, პ. ბ-ი – 1958 წლის 29 ნოემბერს.

43. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ პირთა დანაშთი ქონება ცნობილ იქნა უმკვიდროდ და ამ ფაქტთან დაკავშირებით არც მხარეები არ დავობენ.

44. ასევე, უდავოდაა დადგენილი, რომ ხ. და ქ. ზ-ები წარმოადგენდნენ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ქ. თბილისში, ს-ის ქ. №...-ში მდებარე ფართი მოსარგებლეებს. მათ სადავო ქონებაზე სარგებლობის უფლება მოიპოვეს რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში.

45. ხ. ზ-ი გარდაიცვალა 1992 წლის 2 ივლისს, ქ. ზ-ი კი – 2011 წლის 3 ივნისს.

46. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1957 წლის 23 ივლისს დაბადებული მესამე პირი ქ. ტ-ის (შემდეგში ზ-ის) ქალიშვილია პირველი ქორწინებიდან, ხოლო 1963 წლის 25 მარტს დაბადებული მოსარჩელე – ხ. ზ-ისა და ქ. ზ-ის (ტ-ის) საერთო შვილი.

47. ხ. ზ-ს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე – ქ. ზ-ი (მეუღლე) და მოსარჩელე (ვაჟიშვილი).

48. 2013 წლის 31 ივლისს მესამე პირის სახელზე გაცაა სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც დგინდება, რომ მან მიიღო გარდაცვლილი დედის სამკვიდრო ქონება.

49. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო მოსარჩელემაც. ამდენად, ქ. ზ-ის სამკვიდროზე თანაბარწილად დარჩა ორი მემკვიდრე – მოსარჩელე და მესამე პირი.

50. სამოქალაქო რეესტრის მიერ გაცემული ცნობების თანახმად, 1975 წლის 17 იანვრიდან – მესამე პირი, ხოლო 1990 წლის 4 მაისიდან – მოსარჩელე რეგისტრირებულია სადავო მისამართზე. აქვე ირიცხებოდნენ ხ. და ქ. ზ-ები, რომლებიც იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს.

51. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარე მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად მიაკუთვნა მესამე პირს ქ. თბილისში, ს-ის ქ. №...-ში მდებარე სახლთმფლობელობის 3/8 ნაწილი, ვინაიდან მესამე პირის მოთხოვნით საქმის წარმოება განახლდა დასახელებულ მისამართზე მდებარე მხოლოდ №... და №... შენობა-ნაგებობების მიკუთვნებასთან დაკავშირებით.

52. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებულ მსჯელობას და განმარტავს, რომ მოცემული დავის ფარგლებში სა-

სამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხარეთათვის ქ. თბილისში, ს-ის ქ.№...-ში მდებარე სახლთმფლობელობის მხოლოდ ნაწილის, კერძოდ, №... და №... შენობა-ნაგებობების მიკუთვნების თაობაზე, ვინაიდან სადავო უმკვიდრო ქონების დანარჩენ ნაწილთან დაკავშირებით უკვე არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული ზემოთ დასახელებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

53. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება მესამე პირის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და საქმის წარმოების მხოლოდ №... და №... შენობა-ნაგებობების ნაწილში განახლების შესახებ, მესამე პირს არ გაუსაჩივრებია და ამავე სახით შესულია კანონიერ ძალაში.

54. სსსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

55. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდება ისეთი საკითხი, რომელზეც უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტი.

56. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით უკვე მოწესრიგდა სადავო უძრავი ნივთის ძირითადი ნაწილის კუთვნილების საკითხი და საქმის წარმოება განახლდა მხოლოდ კონკრეტულ დასახელებულ ფართზე. სააპელაციო პალატამ კი გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შეაფასა და სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტის საფუძველზე მესამე პირს მიაკუთვნა პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დარეგულირებული ფართის ნაწილიც – ქ. თბილისში, ს-ის ქ.№...-ში მდებარე მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული მთლიანი ქონების 3/8.

57. სსსკ-ის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

58. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა იმ მოცულობით, რაც მისი განხილვის სფეროს აღემატებოდა, შესაბამისად, დაუშვა იმგვარი საპ-

როცესო დარღვევა, რომელსაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა შედეგად.

59. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

60. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა გამოკვლევისა და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საჭიროება არ დასტურდება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლება-მოსილია, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

61. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი უნდა გაუქმდეს და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით უარი ეთქვას მესამე პირის მოთხოვნას ქ. თბილისში, ს-იის ქ. №...-ში მდებარე მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული ქონების 3/8-ის მიკუთვნებაზე. დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

62. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მესამე პირს არ გააჩნდა სადავო ქონებაზე უფლება, რადგან მან ვერ დაადასტურა დედის სამკვიდროს მიღების ფაქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მესამე პირმა დედის სამკვიდროს მიღება დაადასტურა სამკვიდრო მონუმობის წარდგენით, რაც სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი გარემოებაა, რომელზეც კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ზ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი, რომლითაც გ. ტ-ი-ე-ე ცნობილ იქნა გ. ზ-ის სახელზე რეგისტრირებული ქ. თბილისში, ს-იის ქ. №...-ში მდებარე ს/კ №... უძრავი ქონების 3/8 ნაწილის მესაკუთრედ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. გ. ტ-ი-ე-ის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა ზ-ის სახელზე რეგისტრირებული ქ. თბილისში, ს-ის ქ. №...-ში მდებარე ს/კ №... უძრავი ქონების 3/8 ნაწილის შესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-495-495-2018

3 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. ლ-მა (შემდგომში – „მოსარჩელე“, „აპელანტი“ ან „კერძო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ ს-ს (შემდგომში – „მოპასუხე“) მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, დისციპლინური ღონისძიების სახით დაკავებული თანხის დაკისრების, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის, კომპენსაციისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ მოითხოვა ასევე მოცემულ საქმეზე მის სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისაღები შემადგამებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგის 2017 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ს-ს 2015 წლის 4 დეკემბრის №4-880/კ ბრძანების I პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის ანაზღაურება ხელფასის 1400 (დარიცხული) ლარის გათვალისწინებით, 10 თვის განმავლობაში მისაღები ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2015 წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება 1400 ლარის (დარიცხული) ოდენობით; მოსარჩელის სარჩელი დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ასევე, სსიპ ს-სათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; მოსარჩელე აღდგენილ იქნა სსიპ ს-ს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით განაცდურის ანაზღაურება 2016 წლის 7 იანვრიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე თვეში 1200 ლარის (დაუბეგრავი) ოდენობით; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ს-ს დირექტორის 2015 წლის 26 მარტის №04-8/დ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დისციპლინური ღონისძიების სახით დაკავებული თანხის – ერთი თვის შრომის ანაზღაურების 10%-ის – 140 ლარის (დაუბეგრავი) ანაზღაურება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა იძულებით განაცდურის სახით სამი თვის ხელფასის – 3600 ლარის (დაუბეგრავი) ანაზღაურების ნაწილში.

6. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხი კანონმდებელმა დაუკავშირა სასამართლოს უფლებამოსილებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სახის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ავტომატურ რეჟიმში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა დაუშვებელია და სასამართლოს ამ უფლებამოსილების გამოყენება ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით, როცა ასეთის აუცილებლობას შუამდგომლობის ავტორი დასაბუთებულად წარმოაჩენს და შეძლებს იმგვარი გარემოებების დადასტურებას, რომლებიც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის მართებულობას და აუცილებლობას უპირობოდ წარმოაჩენს. სააპელაციო პალატის თვალსაზრისით, მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, დამაჯერებლად უნდა ასაბუთებდეს და ადასტურებდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცილებლობას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ის გარემოება, რომ კანონი დასაშვებად მიიჩნევს გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას, არ არის აბსოლუტური და მისი გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც სასამართლო მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მივა დასკვნამდე, რომ გამოიყენოს საგამონაკლისო ნორმა.

7. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ ზემოთ მითითებული გარემოებების, სამსახურის სპეციფიკურობისა და მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის გათვალისწინებით, დასაბუთებულად მიიჩნია სამი თვის ხელფასის ანაზღაურების ნაწილში.

8. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და მოსარჩელის სამსახურში აღ-

დგენის ნაწილში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

9. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

9.1. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებლობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს სამუშაო და მიიღოს გასამრჯელო. შრომის უფლება განეკუთვნება იმ უფლებათა კატეგორიას, რომელიც უზრუნველყოფს პირის ღირსეულ ცხოვრებას;

9.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების გამოყენებისას კანონმდებელი არ ითვალისწინებს შუამდგომლობის ავტორის მტკიცების საჭიროებას მასზე, თუ რა გარემოება შეიძლება შექმნას მომავალში გადაწყვეტილების აღსრულებამ ან რა ზიანი შეიძლება მიადგეს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების დაუყოვნებლივ. ამგვარი მტკიცება საჭიროა მხოლოდ იმავ შემთხვევაში, იმავ ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას;

9.3. სააპელაციო სასამართლო არ ასაბუთებს, თუ რატომ განაცხადა უარი სამსახურში აღდგენის ნაწილში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე და რა მსჯელობით მივიდა უარის თქმის გადაწყვეტილებამდე.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინებით მოსარჩელის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

13. განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრით სადავოდ არის გამხდარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში.

14. საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირვე-

ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის განმარტების აუცილებლობა.

15. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებად მიიჩნევა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული გასაჩივრების ყველა მექანიზმის ამოწურვით ან ამ მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობის გაშვებით/უარის თქმით, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების აღსრულება. ეს ნარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ზოგად წესს. აღნიშნული ზოგადი წესიდან გამონაკლისია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება შედის ძალაში, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს უფლება აქვთ ის ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრონ და მიაღწიონ გადაწყვეტილების შეცვლას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი განსაზღვრავს სწორედ იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემაც, მხარეთა თხოვნით, შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

16. ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესაძლებლობა კანონმდებელმა დაუკავშირა დავის ტიპს. ხსენებული საფუძვლებით გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო აფასებს, რამდენად ექცევა მის მიერ უკვე გადაწყვეტილი დავა კანონით განსაზღვრული სამართლებრივი კატეგორიის ქვეშ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ საჭიროებს დამატებით ფაქტების დადგენას, სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად არის დამოკიდებული სამართლებრივი ასპექტების შეფასებაზე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/5/675,681 საქმეზე „შპს სამაუნსებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-15).

17. ზემოთ ხსენებული საფუძვლებისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი გადაწყვეტილების აღსრულებას არ უკავშირებს კონკრეტული დავის ტიპს. მის საფუძველზე გადაწყვეტილება შეიძლება დაუყოვნებლივ აღსრულდეს „ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრუ-

ლება შეუძლებელი აღმოჩნდება“. ხსენებული სამართლებრივი დასკვნის გასაკეთებლად სასამართლოს უცილობლად ესაჭიროება დამატებითი ფაქტების გამოკვლევა, მან უნდა განსაზღვროს, რა ზიანი შეიძლება მიადგეს გადამხდევინებელს გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებით. იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს ზიანის მიყენების ალბათობა, მან უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამ ზიანის დადგომას განაპირობებს, შეუძლებელია მოსალოდნელი ზიანის დადგომის ფაქტის დადგენა მხოლოდ სამართლებრივი ანალიზის შედეგად. ასევე, იმისათვის, რათა სასამართლომ დაასკვნას, რომ გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულებადი გახდეს, მას სჭირდება დაადგინოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სამომავლოდ გადაწყვეტილების აღსრულებადობას განაპირობებს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/5/675,681 საქმეზე „შპს სამაუნციბლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-16).

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობა ემსახურება დავის მონაწილე მხარის დარღვეული უფლებების სწრაფ აღდგენას. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების რისკებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება დაზარალებული მხარის კანონიერი უფლებების დაცვას.

19. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებელი უშვებს რა გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევას მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ითვალისწინებს იმ რისკსაც, რომ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს და გაუქმდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ (იხ. სუსგ №ას-543-518-2016, 2016 წლის 15 ივლისი; №ას-734-702-2014, 2014 წლის 25 ივლისი).

20. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს სწორედ უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

21. დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე აღდგენილ იქნა სსიპ ს-ს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ამასთან, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება არ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული.

22. სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, დამაჯერებლად უნდა ასაბუთებდეს და ადასტურებდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცილებლობას, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის სისტემური ანალიზიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლის მიერ 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებად მიქცევის შესაძლებლობა ემყარება არა მხარის დასაბუთებულობის ხარისხს, არამედ გამომდინარეობს თავად დავის კატეგორიიდან.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში დაუსაბუთებელია, რაც წარდგენილი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და ამ ნაწილში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება ლ-ის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში;
3. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, ლ-ი აღდგენილ იქნა სსიპ ს-ს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№სს-1014-934-2017

4 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. ი. დ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის მონინაალმდეგე მხარე, მარწმუნებელი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ს-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინაალმდეგე მხარე, კასატორი, რწმუნებული ან მოვალე) მიმართ მოპასუხისათვის 118 000 აშშ დოლარისა და დავალების გარეშე პირგასამტეხლოზე უარის თქმით მიყენებული ზიანის – 704 370 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2006 წლის 20 აპრილს, მოსარჩელესა და ნ. დ-ს (შემდგომში – მსესხებელი) შორის, დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მსესხებელმა ოთხი თვის ვადით მოსარჩელისაგან ისესხა 265 000 აშშ დოლარი, სარგებლის გარეშე. 2006 წლის 4 ივნისს, მოსარჩელე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და იხდიდა სასჯელს. 2007 წლის 21 თებერვალს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მან მიმართა მსესხებელს განცხადებით, რითაც სთხოვდა, რომ, თუ მისი ნდობით აღჭურვილი პირის – მოპასუხის მეშვეობით, გადაუხდიდა 2007 წლის 28 თებერვლამდე სესხის ნახევარს მაინც, ხოლო დანარჩენ ნახევარს ნაწილ-ნაწილ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს არ მოსთხოვდა. მოპასუხემ მსესხებლისაგან 2008 წლის 28 ოქტომბერს მიიღო 60 000 აშშ დოლარი, დანარჩენს ართმევდა ეტაპობრივად, 2009 წლის 6 თებერ-

ვლის ხელწერილით კი, დაადასტურა მთლიანი თანხის – 265 000 აშშ დოლარის მიღება და უარი განაცხადა 265 000 აშშ დოლარის პირგასამტეხლოზე, რისი უფლებაც მოსარჩელეს არ მიუცია. მას არ ჰქონდა უფლება პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო თანხის 0,3%-ზე ეთქვა უარი, რომელიც 2009 წლის 6 თებერვლისათვის უკვე შეადგენდა 704 370 აშშ დოლარს. 2013 წლის 20 აგვისტოს კრედიტორი გათავისუფლდა პატიმრობიდან და მოვალისაგან მოითხოვა მიღებული თანხის გადაცემა. რწმუნებულმა დაანგარიშებით განაცხადა, რომ 14 000 აშშ დოლარი არ მიუღია მსესხებლისაგან და ვერ მისცემდა. აღნიშნული თანხა მოვალეს დაეკისრა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, თუმცა შემდეგ უარი განაცხადა 132 500 აშშ დოლარის მიღებაზეც. მსესხებელმა კი, კრედიტორს განუცხადა, რომ სრულად აქვს გადახდილი ვალი – 265 000 აშშ დოლარი და გადასცა ხელწერილი, სადაც რწმუნებული ადასტურებს თანხის სრულად მიღებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხე ამტკიცებს, რომ 265 000 აშშ დოლარი ვერ მიიღო სრულად მსესხებლისგან, არამედ მიიღო მხოლოდ 118 000 აშშ დოლარი, მაგრამ ხელი მოაწერა 265 000 აშშ დოლარის მიღებაზე.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი მოქმედებდა მოსარჩელისგან მიღებული მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. მოპასუხე არ წარმოადგენს 2006 წლის 20 აპრილის სესხის ხელშეკრულების მხარეს. მარწმუნებლისგან მას მიღებული ჰქონდა დავალება, უარი ეთქვა ყველა დაგროვებულ პროცენტზე. აღნიშნულის შესაბამისად, მსესხებელს დაუწერა ხელწერილი, რომლითაც უარს ამბობდა სესხის მთლიან თანხაზე – 265 000 აშშ დოლარზე დარიცხულ პროცენტზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს 2006 წლის 20 აპრილის სესხის ხელშეკრულებიდან მისაღები აქვს 14 000 აშშ დოლარი და, შესაბამისად, მოპასუხის დავალიანებაც სწორედ ამ თანხას შეადგენს, რაც ამავე გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ. მოპასუხე მოქმედებდა მარწმუნებლის მიერ მიცემული მინდობილობის ფარგლებში და გაუგებარია, რა საფუძველით ითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკ-

მაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კრედიტორმა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოვალეს დაეკისრა 41 500 აშშ დოლარის გადახდა აპელანტის სასარგებლოდ, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოვალემ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საკასაციო განხილვის პროცესუალური ფარგლები:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, განსახილველი სარჩელის მოთხოვნა შედგება დავალების ფარგლებში რწმუნებულის მიერ მარწმუნებლის სახელით მიღებული შესრულების გადაცემისა (სკ-ის 715-ე მუხლი) და დავალების ხელშეკრულებით რწმუნებულის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევით გამონეული ზიანის (სკ-ის 719-ე, 394-ე (1), 408-ე (1) მუხლები) ანაზღაურებისაგან. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დავალების ფარგლებში რწმუნებულის მიერ მიღებული შესრულების მარწმუნებლისათვის გადაცემის ნაწილში სარჩელი დააკმაყოფილა, ხოლო ზიანის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს განუცხადა უარი. ეს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ მოვალემ და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, კრედიტორს კი, სარჩელის უარყოფა სადავო არ გაუხდია, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე გასაჩივრებუ-

ლი გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესულია კანონიერ ძალაში და ეს საკითხი წინამდებარე განჩინების შეფასების საგანი ვეღარ გახდება.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.2.1. ვიდრე გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისა და მათი სამართლებრივი კვალიფიკაციის სისწორეს შეამოწმებდეს, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას მხარის მიერ სადავოდ გამხდარი საპროცესო აქტის კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით, კერძოდ: სასამართლო, უპირველესად ამონმებს, სახეზე ხომ არ არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში.

1.2.2. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებულ ნაწილში ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც იგი იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1.2.3. საკასაციო პალატის ხსენებულ დასკვნას საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრებები: საქმის მასალებით დასტურდება, რომ ამავე მხარებს შორის (იგულისხმება წინამდებარე დავის მოსარჩელე და მოპასუხე) მოსარჩელესა და მსესხებელს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში მოპასუხის, როგორც ი.დ-ის რწმუნებულის მიერ მიღებული შესრულების დაბრუნებაზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 მარტის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მარწმუნებლის სარჩელი. მარწმუნებლის მიერ თავდაპირველად აღძრული სარჩელი ემყარებოდა შემდეგ ფაქტებს:

ა) 2006 წლის 20 აპრილს ი. დ-სა და ნ. დ-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ნ. დ-ს სესხად გადაეცა 265 000 აშშ დოლარი, 4 თვის ვადით. 2006 წლის 4 ივნისს ი. დ-ი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში და იგი სასჯელისგან გათავისუფლდა 2013 წლის 20 აგვისტოს. ი. დ-მა

სასჯელალსრულების დაწესებულებიდან წერილით მიმართა ნ. დ-ს და მოსთხოვა სესხად გადაცემული თანხის გადახდა, რომელიც სჭირდებოდა მას საპროცესო გარიგებისათვის. მოსარჩელემ ნ. დ-ს მოსთხოვა სესხის თანხის ნაწილის გადახდა თავისი ახლობლისათვის – ი. ს-ისათვის, ხოლო დარჩენილი თანხა კი გადახდილიყო ნაწილ-ნაწილ. მოსარჩელის ნდობით აღჭურვილი პირის – ი. ს-ის ინფორმაციით, ნ. დ-მა თანხის გადახდა დაიწყო 2009 წლიდან. 2009 წლის 6 თებერვალს ნ. დ-სა და ი. ს-ს შორის გაფორმდა ხელწერილი, რომლითაც ი. ს-მა დაადასტურა სესხის დარჩენილი თანხის – 114 000 აშშ დოლარის მიღება. ამავე ხელწერილის თანახმად, ი. ს-მა უარი განაცხადა სესხის თანხის გადახდის ვადაგადაცილებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებაზე. 2013 წლის 20 აგვისტოს მოსარჩელემ, სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ, ი. ს-ისაგან მიიღო სესხის თანხის ნაწილი – 30 000 აშშ დოლარი. 2014 წლის 14 ნოემბერს მოსარჩელემ წერილობით მიმართა ი. ს-ს თანხის გადახდის შესახებ, რაზეც 2014 წლის 26 დეკემბერს, ი. ს-მა წერილობითვე უპასუხა, რომ მას სრულად არ მიუღია ნ. დ-ისგან სესხად გადაცემული თანხა და დარჩენილა 14 000 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან მის ნდობით აღჭურვილ პირს – ი. ს-ს ხელწერილით აქვს აღიარებული სესხის სრულად გადახდის ფაქტი, იგი აღარ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ნ. დ-ს, თუმცა მას დარჩენილი 14 000 აშშ დოლარი აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული არ აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ითხოვა მოპასუხე ი. ს-ისთვის 14 000 აშშ დოლარის დაკისრება, ვინაიდან მოპასუხემ, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელმა, არ შეასრულა მას და მოსარჩელეს შორის არსებული დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და არ გადასცა სესხის დარჩენილი თანხა მოსარჩელეს.

ბ) კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილადაა მიჩნეული, რომ:

– 2006 წლის 20 აპრილს ი. დ-სა და ნ. დ-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ნ. დ-ს სესხად გადაეცა 265 000 აშშ დოლარი, 4 თვის ვადით;

– 2006 წლის 4 ივნისს მოსარჩელე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში და იგი სასჯელისგან გათავისუფლდა 2013 წლის 20 აგვისტოს;

– ნ. დ-ის მიერ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულდებოდა ი. დ-ის მინდობილი პირის – ი. ს-ის მიმართ;

– ი. ს-სა და ნ. დ-ს შორის 2009 წლის 6 თებერვალს გაფორმდა

ხელწერილი, რომლითაც ი. ს-მა დაადასტურა სესხის დარჩენილი თანხის – 114 000 აშშ დოლარის მიღება;

– ი. დ-ს 2006 წლის 20 აპრილის სესხის ხელშეკრულების ფარგლებში არ მიუღია სესხი – 14 000 აშშ დოლარი;

– ი. ს-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია და მისი დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 14 000 აშშ დოლარს.

გ) გასაჩივრებულ ნაწილში განსახილველი სარჩელის მოთხოვნას კვლავ დავალების ხელშეკრულების ფარგლებში რწმუნებულის მიერ მიღებული შესრულება წარმოადგენს, ხოლო საფუძველი იგივე სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რასაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ემყარება (შეად: ამ განჩინების აღწერილობითი ნაწილის 1.1. პუნქტი), განსხვავება მხოლოდ მოთხოვნის ოდენობაში.

1.2.4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ვერ შეაფერხებს წინამდებარე სარჩელის განხილვას. ამ დასკვნას სასამართლომ საფუძვლად დაუდო მხოლოდ ის გარემოება, რომ თავდაპირველად აღძრული სარჩელის შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 14 000 აშშ დოლარის დაკისრება. სარჩელში არსად მითითებულია, რომ მოპასუხეს 265 000 დოლარიდან მხოლოდ 14 000 დოლარი აქვს გადასახდელი, ხოლო დანარჩენი გადაიხადა. სააპელაციო პალატის დასკვნით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფორმატში დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ი. დ-ს 2006 წლის 20 აპრილის სესხის ხელშეკრულების ფარგლებში არ აქვს მიღებული 14 000 აშშ დოლარი, სარჩელში დასახელებული გარემოებების კონტექსტში განხილვას ექვემდებარებოდა და მიუთითებდა, რომ თანხის ნაწილობრივ მოთხოვნა უფლებას არ ართმევდა მხარეს, სხვა სარჩელით მოეთხოვა დანარჩენი ნაწილის დაკმაყოფილებაც, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, თუ მოსარჩელისათვის ახალი ფაქტობრივი გარემოება გახდა ცნობილი, რაც განაპირობებს ახალი სარჩელის აღძვრას (იხ. სააპელაციო საჩივარში აპელანტის მითითება: მას შემდეგ, რაც ი. ს-ს ჩაბარდა გადაწყვეტილება 14 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, მან უარი განაცხადა 118 000 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ნ. დ-ს აღნიშნული თანხა მისთვის არ გადაუცია). უპირველესად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს და მათ მიეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-

დაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას, იგივე მხარეები მონაწილეობენ, გარდა ამისა, გადაწყვეტილების სუბიექტური კანონიერი ძალიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (იხ. სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, ასევე, 266-ე მუხლი). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ როგორც განხილული, ისე – განსახილველი სარჩელის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი წარმოადგენს, ხოლო მის საგანს – ნორმის აბსტრაქტული შემადგენლობა, რომელიც ორივე შემთხვევაში იდენტურია. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელემ შეცვალა თანხის ოდენობა, არ შეიძლება ახალი სარჩელის აღძვრას დაედოს წინაპირობად, უფრო მეტიც, თუკი მხარისათვის მართლაც გახდა ცნობილი გარემოებები, რომლებიც მოთხოვნის გაზრდის საფუძველს იძლევა, მას არა ახალი სარჩელის აღძვრის, არამედ, საქმის წარმოების განახლების უფლება აქვს (იხ. სსსკ-ის 265-ე და 421-ე მუხლები).

1.2.5. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედს მართლმსაჯულების განხორციელების სტაბილურობა წარმოადგენს, რაც სასამართლო გადაწყვეტილების ე.წ. მუდმივობის პრინციპით ხასიათდება. აღნიშნული პრინციპი გარანტირებულია არაერთ შიდასახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო სამართლის დანაწესში, რომელთაგან ერთ-ერთს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი წარმოადგენს. განსახილველი ნორმა გარკვეული „ინკვიზიციურობით“ ხასიათდება და მიუხედავად იმისა, შუამდგომლობს თუ არა მხარე საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე, სასამართლოს ავალდებულებს, გამოიკვლიოს, სახეზე ხომ არ არსებობს ნორმით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობა. მოხმობილი ნორმის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს ნორმის გამოყენების განმაპირობებელი გარემოებები, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, თუ რას წარმოადგენს ნორმის მიზნებისათვის სარჩელის/დავის „საგანი“ და „საფუძველი“:

ა) სარჩელის/დავის საგანი არის მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარისადმი, რომელიც

უნდა განიხილოს სასამართლომ და რომლის მიმართაც უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება), უფრო კონკრეტულად „საგანი“ არის მოთხოვნის შინაარსი და არა მისი მატერიალური ობიექტი;

ბ) რაც შეეხება „საფუძველს“, ეს არის გარემოებები, რომელზეც მხარე ამყარებს საკუთარ მოთხოვნებს და რომელთა დადასტურებაც სწორედ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება მიზნად.

1.2.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის დასკვნით, ვინაიდან განსახილველი სარჩელის საგანი და საფუძველი იდენტურია იმ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საგნისა და საფუძვლისა, რომელიც გაუქმებული არ არის და მიღებულია ამავე მხარეებს შორის, არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებულ ნაწილში ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ამასთანავე, რადგანაც განსახილველი სარჩელი, მისი დაუშვებლობის მიუხედავად, სასამართლოს წარმოებაშია, პალატა ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

2. გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება:

2.1. საქმის მასალებით დასტურდება, რომ, ი. დ-ის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 აპრილის განჩინებით გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც ი. ს-ს (პ/№4...) აეკრძალა ქ. თბილისში, ბაგების სატყეო ტერიტორიასა (ნაკვეთი 139/0... სკ №01.20.01.139.0...) და ქ. ყვარელში, წ-ოს ქ. №4-ში მდებარე უძრავი ნივთების (ს/კ №57.06.57.0...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. კანონის ხსენებული დანაწესიდან გამომდინარე, ვინაიდან წინამდებარე დავაზე შეწყდა საქმისწარმოება, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს პირველი ინსტაციის სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებაც.

3. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვამდე მხარეებმა სხვადასხვა დროს მომართეს სასამართლოს, წარმოადგინეს ახალი მტკიცებულებები და იშუამდგომლეს მათი საქმისათვის დართვის თაობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს წარმოდგენილი მტკიცებულებების მიღების წინაპირობა, რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ იმ მტკიცებულებებსა და მხარეთა ახსნა-განმარტებებს მისცეს შეფასება, რომლებიც საქმის ქვედა ინსტანციებშია წარდგენილი, ამ მტკიცებულებათა მიღებას მით უფრო გამოორიცხავს ის გარემოება, რომ წინამდებარე განჩინებით საქმისწარმოება შეწყდა, შესაბამისად, პალატა ასკვნის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებს საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა და, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, უბრუნებს მხარეებს.

4. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე გამოვლინდა სარჩელის მიღებაზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ არსებობს საკასაციო სამართალწარმოების გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საფუძველი, ამასთანავე, ვინაიდან დავა პრაქტიკულად მოპასუხის სასარგებლოდ დასრულდა (სსსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ამავე პრეტენზიას ველარ წაუყენებს მოპასუხეს), პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ი. ს-ის მიერ განეული ხარჯები მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ი.დ-ს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 187-ე, 199¹-ე, 272-ე, 273-ე, 372-ე, 399-ე, 407-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტი-

ლება და შეწყდეს საქმის წარმოება ი. დ-ის სარჩელზე ი. ს-ის მიმართ, დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე.

3. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც ი. ს-ს (პ/№4..) აეკრძალა ქ.თბილისში, ბაგების სატყეო ტერიტორიასა (ნაკვეთი 139/0.., სკ №01.20.01.139.0..) და ქ. ყვარელში, წ-ოს ქ№4-ში მდებარე უძრავი ნივთების (ს/კ №57.06.57.0...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

5. ი. დ-ს (პ/№1..) ი. ს-ის (პ/№4..) სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 4 960 ლარის ანაზღაურება.

6. ი. დ-ს დაუბრუნდეს საკასაციო პასუხზე დართული მტკიცებულებები 7 (შვიდი) ფურცლად და 29.01.2018წ. №ა-387-18 განცხადებაზე დართული – 24 (ოცდაოთხი) ფურცლად, ხოლო, ი. ს-ს – 17.01.2018წ. №ა-217-18 განცხადებაზე დართული მტკიცებულება 1 (ერთი) ფურცლად და 25.01.2018წ. №ა-342 განცხადებაზე დართული – 1 (ერთი) ფურცლად.

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის განუხილველად დატოვება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-486-454-2017

31 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმე-
ბის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ო-ას“ (შემდეგში: მოსარჩე-
ლე, ბმა, ამხანაგობა, მეორე აპელანტი) 2009 წლის 11 ივლისის №2/
10 კრების ოქმის მიხედვით (დამონმების თარიღი: 17.07.2009), კრე-
ბას ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 2/3-ზე მეტი, მიღებულ იქნა
გადანყვეტილება ქ. თბილისში, რ-ის გამზ. №23-ში მდებარე 10.31
კვ.მ. სათავსოს მ. გ-ის (შემდეგში: პირველი მოპასუხე, პირველი
აპელანტი ან კასატორი, ამხანაგობის ყოფილი თავმჯდომარე) სა-
კუთრებაში გადაცემის შესახებ. საჯარო რეესტრის ამონაწერით
დადგენილია, რომ მითითებული სათავსო, საკადასტრო კოდით
№0., რეესტრირებულია პირველი მოპასუხის საკუთრებად. უფ-
ლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ზემოხსენე-
ბული ამხანაგობის კრების ოქმი №2/10 (დამონმების თარიღი:
17.07.2009).

2. ამხანაგობის 2009 წლის 11 ივლისის №2/14 კრების ოქმის მი-
ხედვით (დამონმების თარიღი: 26.08.2009), კრებას ესწრებოდა ამ-
ხანაგობის წევრთა 2/3-ზე მეტი, მიღებულ იქნა გადანყვეტილება
ქ. თბილისში, რ-ის გამზ. №23-ში მდებარე 74.52 კვ.მ. სხვენის ვ. მ-
ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე, პირველი აპელანტი ან კასატორი)
საკუთრებაში გადაცემის შესახებ. საჯარო რეესტრის ამონაწერით
დადგენილია, რომ დასახელებული სხვენი, საკადასტრო კოდით
№0., რეესტრირებულია მეორე მოპასუხის საკუთრებად, ხოლო
უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია: ამხანაგობის კრების
ოქმი №2/14 (დამონმების თარიღი: 26.06.2009).

3. ბმა-ას 2009 წლის 16 აპრილის №2/6 კრების ოქმის მიხედვით
(დამონმების თარიღი: 26.06.2009), კრებას ესწრებოდა ამხანაგო-

ბის წევრთა 2/3- ზე მეტი, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ქ. თბილისში, რ-ის გამზ. №23-ში მდებარე 63.85 კვ.მ. სხვენის ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული პირველი მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული სხვენი საკადასტრო კოდით №0., რეგისტრირებულია პირველი მოპასუხის საკუთრებად. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ამხანაგობის 2009 წლის 7 ივლისის კრების ოქმი №2/6, დამონმების თარიღი 07.07.2009.

4. ამხანაგობის 2012 წლის 29 დეკემბრის №2/27 კრების ოქმით დადგენილია, რომ ამხანაგობის თავმჯდომარედ პირველი მოპასუხის ნაცვლად არჩეული იქნა ნ. შ-ე (შემდეგში: ამხანაგობის ამჟამინდელი თავმჯდომარე ან წარმომადგენელი).

5. ამხანაგობის 2013 წლის 6 მარტის №2/28 კრების ოქმის მიხედვით, მიღებულია გადაწყვეტილება, ამხანაგობის წევრთა თანხმობის გარეშე, პირველი და მეორე მოპასუხეებისათვის, უკანონოდ გადაცემული ფართების დაბრუნებისა და კვლავ ამხანაგობის საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ. კრების ოქმი ხელმოწერილია ამხანაგობის 21 წევრის მიერ.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 თებერვლის №3/4015-2013 გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები, რომლებითაც გაუქმდა პირველი მოპასუხის საკუთრების უფლება ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებულ სხვენზე და აღნიშნული სხვენი კვლავ პირველი მოპასუხის საკუთრებად დარეგისტრირდა.

7. 2007 წლის 21 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილია, რომ პირველმა მოპასუხემ რ. გ-ისგან შეიძინა ქ. თბილისში, რ-ის გამზ. №23-ში მდებარე უძრავი ქონება საერთო ფართობით 40 კვ.მ. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე პირველი მოპასუხის საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქ. თბილისში, რ-ის გამზ. №23-ში მდებარე 43.37 კვ.მ. ფართი და 22 კვ.მ ანტრესოლი საკადასტრო კოდით №0. .

8. დადგენილია, რომ ქ. თბილისში, რ-ის გამზ. №23-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დაზიანდა 2012 წლის აპრილის თვეში ხანძრის შედეგად და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდს (შემდეგში: განვითარების ფონდი ან მესამე პირი) და უძრავი ქონების მესაკუთრეებს შორის დაიდო ხელშეკრულებები, ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის დემონტაჟისა და ახალი შენობის აშენების შემდეგ, შესაბამისი ფართის გადაცემის შესახებ, ხოლო მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ახალი დამა-

ტებითი ფართი, რომელიც იქნებოდა იზოლირებული, საკუთრებაში გადაეცემოდა ფონდს, სარეაბილიტაციო – სამშენებლო ხარჯების სანაცვლოდ.

9. სარჩელის საფუძვლები

9.1. ამხანაგობამ (მისმა თავმჯდომარემ – ნ. შ-ემ, როგორც წარმომადგენელმა) 2015 წლის 1 აპრილს სარჩელი აღძრა პირველი და მეორე მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა ამხანაგობის კრების ოქმების: 1) 2009 წლის 11 ივლისის № 2/10 ოქმის; 2) 2009 წლის 11 ივლისის № 2/14 ოქმის და 3) 2009 წლის 16 აპრილის №2/6 ოქმის ბათილად ცნობა (იხ. ამ განჩინების 1-3 პუნქტები), იმ დასაბუთებით, რომ ამხანაგობის წევრები არ ყოფილან მიწვეული საერთო კრებაზე და სხვა წევრთა საერთო საკუთრებაში არსებული ფარტები საკუთარ თავზე დაირეგისტრირეს მოპასუხეებმა; სადავო ოქმები შედგენილია კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით და მათი ბათილად ცნობისადმი მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ კვლავ ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში აღირიცხოს სადავო ფართები.

10. მოპასუხეთა შესაგებელი

10.1. მოპასუხეებმა არ ცნეს მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი იმ მოტივაციით, რომ კრებები მოწვეული იყო და ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დაცვით; კრების მოწვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები განადგურდა სადავო ფართების მისამართზე გაჩენილი ხანძრის დროს. მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი დავისადმი ვერ დასტურდება, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

11. მესამე პირის პოზიცია

11.1. განვითარების ფონდის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების შესაბამისად მოხდა ხელშეკრულების გაფორმება და ვალდებულების აღება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან. პირველი მოპასუხე პრეტენზიას აცხადებდა ბინის და სხვენის ნაცვლად სამი ბინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. სადავო კრების ოქმების ბათილად ცნობის შემთხვევაში სადავო ფართები აღირიცხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა და მათ შორის განვითარების ფონდის თანასაკუთრებად.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

12.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ამხანაგობის 2009 წლის 11 ივლისის №2/10 ოქმის და № 2/14 ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში,

ხოლო კრების 2009 წლის 16 აპრილის №2/6 ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი უარყოფილ იქნა.

12.2. სასამართლომ მოწმეთა განმარტებების მოსმენისა და განალიზების შედეგად შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

12.2.1. მოწმე ჯ. ვ-ის განმარტებით, იგი ამხანაგობის წევრია, 2009 წლის სადავო კრებებზე მიწვეული არ ყოფილა, კრების მოწვევის შესახებ განცხადება არ გამოქვეყნებულა, ის კრებებს არ დასწრებია. სხვენი არავის სარგებლობაში არ ყოფილა და მას არავინ იყენებდა; ანალოგიური განმარტება მისცა სასამართლოს მოწმე ლ. გ-ემაც (სხდომის ოქმი: 06.04.2016);

12.2.2. მოწმე ვ. ო-ას განმარტებით, იგი ამხანაგობის წევრია, 2009 წლის სადავო კრებებზე მიწვეული არ ყოფილა და არ დასწრებია მათ, მხოლოდ ერთხელ, ტელეფონზე დაუკავშირდა მ. გ-ი და უთხრა, რომ სურდა სხვენის საკუთრებაში გადაცემა და თუ იქნებოდა ამაზე თანახმა. სხვენის მფლობელობის შესახებ დასახელებული მოწმე ინფორმაციას არ ფლობს (სხდომის ოქმი: 06.04.2016);

12.2.3. მოწმე ა. რ-ოს განმარტებით, იგი ამხანაგობის წევრია, სხვენის გადაცემის შესახებ გაიგო ბოლო დროს, 2009 წლის კრებების მოწვევის, ჩატარებისა და დასწრების შესახებ არ ახსოვს; თუ კრება მიიღებს გადაწყვეტილებას სადავო ფართების გადაცემის შესახებ, მას რაიმე საწინააღმდეგო არ ექნება (სხდომის ოქმი: 06.04.2016);

12.2.4. მოწმე ნ. მ-ის განმარტებით, იგი ამხანაგობის წევრია, მას დაურეკეს კრების შესახებ, მაგრამ კრებას არ დასწრებია, აღნიშნულ მისამართზე ხშირად დადის, არ ცხოვრობს, გამოქვეყნებული რომ ყოფილიყო ეზოში რაიმე განცხადება, ნახავდა; სხვენები თუ არსებობდა და თუ სარგებლობდა ვინმე – არ იცის; შემდეგ მოწმემ მიუთითა, რომ, როგორც გაიხსენა, ესწრებოდა ერთ-ერთ კრებას მ. გ-ისათვის ფართის გადაცემის შესახებ, მაგრამ რაიმე დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია (სხდომის ოქმი: 06.04.2016);

12.2.5. მოწმე დ. ვ-ის განმარტებით, იგი ამხანაგობის წევრია, ამხანაგობის კრებებზე მიწვეული არ ყოფილა და არ დასწრებია, კრების მოწვევის შესახებ ეზოში გამოქვეყნებული განცხადება არ უნახავს, არ ფლობს ინფორმაციას სხვენების ფლობის შესახებ (სხდომის ოქმი: 06.04.2016);

12.2.6. მოწმე მ. ნ-ას განმარტებით, ის ამხანაგობის წევრი არ არის, მისი მეუღლე არის ამხანაგობის წევრი და მეუღლის მიერ მინიჭებული მინდობილობით მონაწილეობდა 2009 წლის 16 აპრილის კრებაზე, რომელზეც მდივანი იყო. სადავო კრებები ჩატარდა, მაგრამ ვინ და რამდენი წევრი ესწრებოდა, არ ახსოვს. ამხანაგო-

ბის წევრებს არ იცნობდა, რადგან მითითებულ მისამართზე ახალი გადასული იყო საცხოვრებლად და ამხანაგობის წევრთა 2/3 რამდენს შეადგენდა, არ იცოდა. პირველი მოპასუხე (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) ფლობდა სხვენს, რომელიც მას გადაეცა. სხვა პირი ფლობდა, თუ არა სხვენს, არ ახსოვს (სხდომის ოქმი: 06.04.2016).

12.3. მხარეთა განმარტებებითა და საქმეში წარდგენილი მასალებით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა შედგება 24 წევრისგან. სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა განმარტებებით არ დასტურდებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 16 აპრილის კრების (ოქმი №2/6) და იმავე წლის 11 ივლისის კრებების (ოქმი №2/10 და ოქმი №2/14) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდეგში: ამხანაგობის კანონი) დადგენილი წესით მოწვევისა და ჩატარების ფაქტი. ასევე არ დასტურდებოდა, ამხანაგობის კანონის ძალაში შესვლის დროს არსებული მდგომარეობით, მოპასუხეთა საკუთრებაში გადაცემული ფართების ფლობის ფაქტი. დაკითხულ მოწმეთაგან მხოლოდ მ. წ-ამ (რომელიც არ არის ამხანაგობის წევრი) აღნიშნა, რომ ესწრებოდა ყველა კრებას, მაგრამ ვერ მიუთითა ამხანაგობის წევრებიდან ვინ და რამდენი წევრი ესწრებოდა კრებებს და რომ კრებების მოწვევის შესახებ კანონით დადგენილი წესით იყვნენ გაფრთხილებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები.

12.4. გადაწყვეტილების სამართლებრივი მოტივაციისას საქალაქო სასამართლომ მიუთითა ამხანაგობის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.). იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) მფლობელობის, ამ კანონის ძალაში შესვლის დროს, არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი. მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრმა უნდა წარადგინოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის

წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმი და ნახაზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამეურნეო სათავის ადგილმდებარეობის დადგენა.

12.5. ამხანაგობის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მესაკუთრის წილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ვესტიბიულები, სადარბაზოები, დერეფნები, კიბის უჯრედები, სარდაფები, სხვენები, საქვაბეები, ტექნიკური სართულები, სახურავები, ლიფტები, სხვადასხვა დანიშნულების შენობები, არხები, ნაგავგამტარები, ბუნკერები და ა.შ., რომლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში.

12.6. დასახელებული კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებას ინვესტორს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც. თუ თავმჯდომარე არ არის, ან იგი თავისი მოვალეობის სანადალმდე გოდ თავს არიდებს კრების მოწვევას, კრება შეიძლება მოინიშნოს ნებისმიერმა მესაკუთრემ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კრების მოწვევის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით. კრებას უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე, თუ კრება სხვა რამეს არ გადაწყვეტს.

12.7. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების მოწვევასა და ჩატარებაზე ამხანაგობის შესახებ სპეციალური კანონით დადგენილი წესი ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები არ მიიღებენ წესდებებს, ან თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მოცემულ შემთხვევაში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას წესდება არ აქვს და, შესაბამისად, მის მიმართ უნდა გავრცელდეს სპეციალური კანონი.

12.8. ამხანაგობის კანონის თანახმად, კრებას ინვესტორს ამხანაგობის თავმჯდომარე, კრების მოწვევისა და ჩატარების პროცესში სავალდებულოა ამხანაგობის წევრთა ინფორმირება განსახილველი საკითხების შესახებ. ინფორმირების მიზანია მხარეთა სათანადო მომზადება ამხანაგობის წინაშე დასმულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი ინფორმირება დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით. კრების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ წინასწარ ინფორმირება, ამხანაგობის წევრების კრებაზე მოწვევის, კრების ჩა-

ტარებისა და გადაწყვეტილების მიღებაში მათი მონაწილეობის მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მოპასუხეებს.

12.9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

12.10. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხებმა ვერ წარადგინეს იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო კრებები მოწვეული იყო და ჩატარდა კანონით დადგენილი წესით. სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მონმეთა განმარტებებით არ დასტურდებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 16 აპრილის კრების (ოქმი №2/6) და იმავე წლის 11 ივლისის კრებების (ოქმი №2/10 და ოქმი №2/14) სპეციალური კანონით დადგენილი წესით მოწვევის და ჩატარების ფაქტი; ასევე, არ დასტურდებოდა მოპასუხეთა საკუთრებაში გადაცემული ფართების ფლობის ფაქტი ამხანაგობის შესახებ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებული მდგომარეობით. დაკითხულ მონმეთაგან მხოლოდ მ. ნ-ამ (რომელიც არ არის ამხანაგობის წევრი) აღნიშნა, რომ ესწრებოდა ყველა კრებას, მაგრამ ვერ მიუთითა ამხანაგობის წევრებიდან ვინ და რამდენი წევრი ესწრებოდა კრებებს და რომ კრებების მოწვევის შესახებ კანონით დადგენილი წესით იყვნენ გაფრთხილებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები. კრების ოქმებში მითითებული არ არის კონკრეტულად ამხანაგობის რამდენი წევრი ესწრებოდა კრებებს.

12.11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ამხანაგობის კრების ოქმი, თავისი არსით, წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას, შესაბამისად სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნაზე, გარდა სპეციალური კანონის ნორმებისა, უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებიც. სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რო-

მელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვევტილებით მოხდეს.

12.12. ამხანაგობის კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საქმიანობას უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, თავმჯდომარე უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობისათვის, ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის მუშა-მოსამსახურეების დაქირავებას და მათთან ხელშეკრულებების დადებას. ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამართლებრივ ურთიერთობებში ამხანაგობას წარმოადგენს თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი.

12.13. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე კრების ოქმის ბათილად ცნობის იურიდიულ ინტერესად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ კრებები არ მოწვეულა, არ ჩატარებულა კანონის მოთხოვნათა დაცვით და სადავო კრების ოქმების საფუძველზე უკანონოდ განხორციელდა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული სხვენების და სარდაფის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემა, რითაც შეიზღუდა ნ. შ-ის, როგორც ამხანაგობის წევრის და ასევე ამხანაგობის სხვა წევრთა უფლებები, ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში სადავო სხვენები და სარდაფი კვლავ ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებად აღირიცხება.

12.14. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ამხანაგობის 2009 წლის 11 ივლისის №2/10 კრების ოქმის და №2/14 კრების ოქმის ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი, ვინაიდან, აღნიშნული კრების ოქმების საფუძველზე საჯარო რეესტრში მოპასუხეთა ინდივიდუალურ საკუთრებად დარეგისტრირდა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული სარდაფი და სხვენი, კრების ოქმები შედგენილია ამხანაგობის კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 11 ივლისის №2/10 კრების ოქმი და 11 ივლისის №2/14 კრების ოქმი. ამხანაგობის 2009 წლის 16 აპრილის №2/6 კრების ოქმთან დაკავშირებით (დამოწმების თარიღი: 26.06.2009), სასამართლომ განმარტა, რომ არ არსებობდა მისი ბა-

თილად ცნობის იურიდიული ინტერესი, რადგან მითითებული კრების ოქმის საფუძველზე საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული პირველი მოპასუხის საკუთრებად 63.85 კვ.მ. სხვენი (საკადასტრო კოდით №0.), სხვენზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენდა ამხანაგობის 2009 წლის 07 ივლისის კრების ოქმი (დამონმების თარიღი: 07.07.2009) და იმავე წლის 16 აპრილის №2/6 კრების ოქმის ბათილად ცნობას შედეგად ვერ მოჰყვებოდა 63.85 კვ.მ სხვენის ამხანაგობის საკუთრებად აღრიცხვა, რის გამოც სარჩელი მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

12.15. სსსკ-ის 1991-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. ვინაიდან, არ დაკმაყოფილდა სარჩელი ამხანაგობის 2009 წლის 16 აპრილის №2/6 კრების ოქმის (დამონმების თარიღი: 26.06.2009) ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, უნდა გაუქმებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ქ. თბილისში, რ-ის გამზ. №23-ში მდებარე 63.85 კვ.მ. სხვენზე (საკადასტრო კოდით №0-) ყადაღის დადების ნაწილში.

13. მოსარჩელისა და მოპასუხეების სააპელაციო საჩივრები

13.1. მოსარჩელემ (ამხანაგობამ) და მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

13.2. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, მისი სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

13.2.1. სასამართლომ მოსარჩელეს უკანონოდ უთხრა უარი სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას 2009 წლის 07 ივლისის №2/6 კრების ოქმის საქმეზე დართვაზე. ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი იყო სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და არა სასარჩელო მოთხოვნის შეცვლა;

13.2.2. არსებული სასარჩელო მოთხოვნით მოსარჩელე ითხოვდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის №2/6 კრების ოქმით პირველი მოპასუხისათვის (მ. გ-ისათვის) საკუთრებაში გადაცემული ქ.

თბილისში, რ-ის გამზ. № 23-ში მდებარე სხვენის – 63,85 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 0..) ამხანაგობისთვის დაბრუნებას და დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის №2/6 კრების ოქმით იმავე მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემული იმავე ქონების ამხანაგობისთვის დაბრუნებას ეხებოდა. შესაბამისად, გამოკვეთილი იყო ერთი და იგივე ამხანაგობის მიერ ერთსა და იმავე ფიზიკურ პირზე განკარგული/გადაცემული ერთი და იგივე უძრავი ქონების შესახებ, ერთი და იგივე ნუმერაციის კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო ერთადერთი ახსნა, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო სასარჩელო მოთხოვნის შეცვლა, მდგომარეობდა იმაში, რომ თავდაპირველად დაყენებულ სასარჩელო მოთხოვნაში კრების ოქმის შედგენის თარიღად მითითებული იყო 2009 წლის 16 აპრილი, ხოლო დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაში – 2009 წლის 07 ივლისი, რასაც შესაბამისი ახსნა ჰქონდა, კერძოდ, მოპასუხემ საჯარო რეესტრში ქ. თბილისში, შ. რ-ის გამზ. №23-ში მდებარე 63,85 კვ.მ სხვენის რეგისტრაციისთვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის №2/6 კრების ოქმი წარადგინა (შედგენის თარიღი: 16 აპრილი 2009 წელი), იმიტომ, რომ საჯარო რეესტრის მიერ დადგენილი ხარვეზის გამო №2/6 კრების ოქმის საფუძველზე მოპასუხემ ვერ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება, განმეორებით წარადგინა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კორექტირებული №2/6 კრების ოქმი (შედგენის თარიღი: 07 ივლისი 2009 წელი) იგივე სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი შინაარსით;

13.2.3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა კი არ შეცვალა, არამედ – დააზუსტა, ხოლო სასამართლოს მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესაძლებლობა რომ არ წაერთვა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მესამე სასარჩელო მოთხოვნაც №2/6 კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილებოდა, ისევე, როგორც დაკმაყოფილდა პირველი და მეორე სასარჩელო მოთხოვნები, ვინაიდან დავა ერთი და იმავე სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს.

13.3. მოპასუხეებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ამხანაგობის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მითითებით:

13.3.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოოდ საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა, კერძოდ, საქმეში არ მოიპოვება კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება იმისა, თუ რამ-

დენი წევრისაგან შედგებოდა ბმა-ის „ო-ა“ 2009 წლის 16 აპრილისა და 11 ივლისის კრებების ჩატარების დროს, კერძოდ, არ არის წარდგენილი აღნიშნული პერიოდის საჯარო რეესტრის ამონაწერები. სასამართლომ მხოლოდ მონმეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგინა სადავო პერიოდში ამხანაგობის წევრთა რაოდენობა ისე, რომ არ გამოიყენა ამხანაგობის შესახებ კანონით დადგენილი ნორმები.

13.3.2. სასამართლომ მონმეთა ჩვენებების საფუძველზე არასწორად მიიჩნია დადასტურებულად 2009 წლის 11 ივლისის კრების კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოწვევისა და ჩატარების ფაქტი. კანონი არ აწესებს ყველა წევრის მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას. მონმეებმა ნ. მ-მა და მ. წ-ამ დაადასტურეს, რომ პირველი მოპასუხისათვის ფართების გადაცემის შესახებ კრებას დაესწრნენ.

13.3.3. მონმეები ჯ. ვ-ი, ლ. გ-ე, ვ. ო-ა, ზ. გ-ი, თ. ს-ი, პ. მ-ი, ზ. ა-ი და სხვები სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ, მაშინ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მონმედ დაკითხულნი. აღნიშნული მონმეები მათი დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დროსაც სასამართლო სხდომის დარბაზში იმყოფებოდნენ და წინასწარ მოისმინეს, თუ რა ფაქტები უნდა დაედასტურებინათ. გადაწყვეტილება მითითებული მონმეების ჩვენებებს, ანუ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს ემყარება, რომლებსაც სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იურიდიული ძალა არ გააჩნია.

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ამხანაგობისა (მოსარჩელის) და მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი;

14.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამხანაგობის 2009 წლის 11 ივლისის №2/10 და №2/14 კრების ოქმების მართლზომიერება საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა.

14.1.1 ამხანაგობის შესახებ კანონის 27-ე მუხლის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებას იწვევს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული წესი ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები არ მიიღებენ წესდებას, ან თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. განსახილველ შემთხვევაში, სადავო არ იყო გარემოება, რომ ამხანაგობას წესდება არ გააჩნია, შესაბამისად, მის მიერ კრების მოწვევასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ამხანაგობის კანონით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება;

14.1.2. ამხანაგობის კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახ-

მად, კრების მონვევის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით. კრებას უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე, თუ კრება სხვა რამეს არ გადანყევტს. ამდენად, აღნიშნული ნორმების თანახმად, კრებას ინვევს ამხანაგობის თავმჯდომარე, კრების მონვევისა და ჩატარების პროცესში სავალდებულოა ამხანაგობის წევრთა ინფორმირება განსახილველი საკითხების შესახებ. ასეთი ინფორმირება დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით. ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრება გადანყევტილებათუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3.

14.1.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ საცილოდ გამხდარი კრების ოქმები არ შეიცავდა მითითებას ამხანაგობის კრებაზე დამსწრე პირთა ვინაობისა და რაოდენობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნებისათვის, კანონმდებლობა ადგენს დასაშვები მტკიცებულებების ნუსხას. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი (ნორმის დეფინიცია იხ. ამ განჩინების 12.9 ქვეპუნქტში) განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად, პროცესუალურ სტანდარტს და ადგენს ვალდებულ პირს, რომელმაც მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი სათანადო გარემოებებზე მითითებითა და დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაადასტუროს. განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების დადასტურება, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები წინასწარ წერილობით იყვნენ ინფორმირებულები კრების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ამასთან, კრებას ამხანაგობის წევრთა 2/3 მაინც ესწრებოდა, მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, თუმცა, მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს კანონით გათვალისწინებული დასაბუთებული მტკიცებულება;

14.1.4. მონმეების (ამხანაგობის წევრების – იხ. ამ განჩინების 14.2.1-14.2.5) ჩვენებებით დგინდებოდა, რომ ისინი სადავო კრებებზე მიწვეული არ ყოფილან, მიწვევის შესახებ განცხადებები არ გამოქვეყნებულა და კრებებს არ დასწრებიან. მხოლოდ ერთმა მონმემ (იხ. ამ განჩინების 14.2. 6 ქვეპუნქტი), რომელიც არ არის ამხანაგობის წევრი, აღნიშნა, რომ ესწრებოდა ყველა კრებას, როგორც მდივანი, მაგრამ ვერ მიუთითა იმ გარემოებაზე, თუ ვინ და რამდენი წევრი ესწრებოდა კრებებს.

14.1.5. სააპელაციო სასამართლომ დააკვნა, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ამხანაგობის 2009 წლის 11 ივლისის კრებების

(ოქმი №2/10 და ოქმი №2/14) მონვევის შესახებ მისი წევრებისათვის ცნობილი იყო, ასევე არ დგინდებოდა ის ფაქტიც, რომ სადავო კრებებს ამხანაგობის წევრთა 2/3 ესწრებოდა, რაც სპეციალური კანონის ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, აღნიშნული კრების ოქმების ბათილად ცნობის საკმარის წინაპირობას წარმოადგენდა.

14.2. სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით.

14.2.1. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ამხანაგობის სააპელაციო პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან, აპელანტის მტკიცებით, ამხანაგობის 2009 წლის 16 აპრილის №2/6 და იმავე წლის 07 ივლისის №2/6 კრების ოქმებს შორის განსხვავება მხოლოდ მათ თარიღშია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის აღნიშნული პრეტენზია და მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა წარმოადგენდა არა სარჩელის დაზუსტებას, არამედ – შეცვლას, რაც სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის თანხმობას საჭიროებდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ზემოაღნიშნული კრების ოქმებს შორის განსხვავება მხოლოდ მათი შედგენის თარიღში არ გამოიხატებოდა და საქმე ტექნიკურ ხარვეზს არ ეხებოდა. მართალია, ორივე შემთხვევაში კრებაზე განიხილებოდა ერთი და იგივე საკითხი, ერთი და იმავე პირის მიმართ, მაგრამ ოქმების მიხედვით, კრება ჩატარდა სხვადასხვა დროს და მათ სხვადასხვა პირი თავმჯდომარეობდა, კერძოდ, პირველ შემთხვევაში (16 აპრილს) ამხანაგობის კრებას თავმჯდომარეობდა პირველი მოპასუხე, ხოლო მეორე შემთხვევაში (07 ივლისს) – ნ. შ-ე. გარდა ამისა, მტკიცებულებები შეკრებილი და გამოკვლეული იქნა სწორედ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 16 აპრილის №2/6 ოქმთან მიმართებით, ასევე, მონმეებიც აღნიშნული კრების მონვევის ფაქტთან დაკავშირებით დაიკითხნენ, შესაბამისად, სააპელა-

ციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო მოსარჩელეს ამგვარი ფორმით მთავარ სხდომაზე მოთხოვნის დაზუსტების შესაძლებლობას მისცემდა, მოპასუხის თანხმობის გარეშე, ამით ამ უკანასკნელს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცების შესაძლებლობას წაართმევდა, რაც მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის უხეში დარღვევა იქნებოდა;

14.2.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის ბათილობასაც მხარე ითხოვდა, სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა. მოსარჩელემ „მესამე“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა 2009 წლის 16 აპრილის კრების ოქმი, ნაცვლად იმავე წლის 07 ივლისის კრების ოქმისა, რითაც მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი, ანუ სარჩელის საფუძველი შეცვალა, რაც სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოპასუხის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია.

14.3. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა აპელანტების (მოპასუხეების) მიერ სადავოდ გამხდარ რამდენიმე საპროცესო-სამართლებრივ საკითხზე და განმარტა, რომ სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ ნ. შ-ე ამხანაგობის თავმჯდომარეა. მისი უფლებამოსილების ვადა 2017 წლის 29 დეკემბრამდე იყო განსაზღვრული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მართალია, ამხანაგობის თავმჯდომარე სასამართლოში ამხანაგობის სახელით გამოდის, მაგრამ სპეციალური კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის საერთო ქონებას არ განკარგავს, არ იღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის კუთვნილი ქონების მფლობელობაში გადაცემის ან გამოთხოვის შესახებ. ამ შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კრების გადაწყვეტილების შესრულებას და იგი უფლებამოსილია, მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად ამხანაგობის წევრთა კრება მოინვიოს, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით სასამართლოში სარჩელი აღძრას. ამხანაგობის თავმჯდომარის მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ კრების გადაწყვეტილების არსებობის პირობებში იძენს (იხ. სუსგ №ას-1098-1029-2012, 03.12.2012წ.);

14.3.1. განსახილველ შემთხვევაში, ამხანაგობის სარჩელი მიმართული არ არის ამხანაგობის ინტერესების წინააღმდეგ და არ ემსახურება ამხანაგობის ამა თუ იმ წევრის ინტერესებს. ამხანაგობა სადავო კრების ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. უფრო მეტიც, მოცემულ შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციუ-

ლი კოლეგიის მიერ ბათილად იქნა ცნობილი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში სადავო ქონებაზე ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრების უფლება აღდგება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამხანაგობის წევრებს უფლება ექნებათ სადავო ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღონ.

14.4. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტების მტკიცება, რომ არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მოწმეთა ჩვენებები, ვინაიდან ისინი სხდომის დაწყებისთანავე არ გაუყვანიათ დარბაზიდან. ამ კონტექსტში სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოწმეებმა არ უნდა მოისმინონ მხარეთა ახსნა-განმარტებები და არ უნდა დაესწრონ მტკიცებულებათა შეფასების პროცესს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით არ გამოკვეთილა იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა, რომელსაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება შეიძლებოდა გამოენჯია;

14.4.1. სასამართლომ განმარტა, რომ მესამე პირთა წერილობითი ახსნა-განმარტებები არ წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას, ვინაიდან სსსკ-ის 127-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებაა მიჩნეული მტკიცებულებად, რაც შეეხება პროცესში არამონაწილე პირს, იგი შეიძლება სასამართლოს წინაშე მოწმედ დაიკითხოს, შესაბამისად, მათგან ჩამორთმეული წერილობითი განმარტება მოწმის ახსნა-განმარტებას ვერ ჩაანაცვლებს. საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს განცხადებებისა და შუამდგომლობების წარდგენის წესს, კერძოდ, სსსკ-ის 215-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვისას სასამართლოს შუამდგომლობა წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე. მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხა-

დებები ახალ მტკიცებულებათა წარდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარდგენა, აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით, ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს. ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონეწეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

14.4.2. სსსკ-ის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში, ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული.

14.5. ზემოხსენებული მოტივაციით არ დაკმაყოფილდა მხარეთა სააპელაციო პრეტენზიები და უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი

15.1. მოპასუხებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვეს მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მათ შესაგებელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიების იდენტურ გარემოებებზე მითითებით, კერძოდ:

15.1.1 არ იკვეთება მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რის გამოც სარჩელი დაუშვებელი იყო; სარჩელი აღძრულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

15.1.2 ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, მონ-

მეთა ჩვენებები;

15.1.3 მოპასუხეები ათეული წლებია ფლობენ სადავო ფართებს; დოკუმენტაცია 2012 წლის ხანძრის შედეგად განადგურდა; სადავო ფართების გადაცემით მხოლოდ დადასტურდა ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რაც რეალურად იყო ამხანაგობის კანონის ამოქმედების დროს.

16. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

16. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით, მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნტების შესაბამისად, არსებითად განხილვის მიზნით, ხოლო იმავე პალატის 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით გადაწყდა საქმის მოსმენა ზეპირი განხილვის წესით, მხარეთა მონაწილეობით.

16.1. საკასაციო სასამართლოში 2018 წლის 18 იანვრის სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა საკუთარი პოზიციები წარმოაჩინეს, კასატორმა კვლავ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ მოსარჩელეს განსახილველი დავისადმი არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

16.2. საკასაციო სასამართლოს შეკითხვის პასუხად, ამხანაგობის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი დასაბუთებულია, რადგან უკანონო კრების ოქმების საფუძველზე მოპასუხეთათვის გადაცემული უძრავი ქონების ამხანაგობის საკუთრებად დაბრუნების შემთხვევაში, გაიზრდება ამხანაგობის თანასაკუთრება და მესამე პირი – (განვითარების ფონდი) გააგრძელებს თავისი პროექტის მიხედვით მუშაობას.

16.3. მესამე პირმა დაადასტურა იგივე პოზიცია, რაც მას ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გამოთქვა, კერძოდ, იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაშია ამხანაგობასთან კონკრეტული პროექტის ფარგლებში (იხ. ამ განჩინების მე-11 პუნქტი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და როგორც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

17. საკასაციო სასამართლო განსახილველ შემთხვევაში ყურადღებას გაამახვილებს, რომ სარჩელი შეტანილია ამხანაგობის თავ-

მჯდომარის მიერ. იმ პროცესუალურ-სამართლებრივ საკითხზე, თუ რამდენად იყო ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილი, აღედრა სარჩელი ამხანაგობის სახელით, იმჯგელა სააპელაციო სასამართლომ და მიუთითა კიდევ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე, ამასთან, დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეზე ამხანაგობის სარჩელის დაკმაყოფილებით, ამ უკანასკნელის თანასაკუთრების უფლება აღდგება სადავო ქონებაზე, რაც ამხანაგობის წევრებს შესაძლებლობას მისცემს, განკარგონ სადავო ქონება (იხ. ამ განჩინების 14.3-14.3.1 ქვეპუნქტები);

17.1. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის აღძვრის საფუძველით მოპასუხეებმა სარჩელის განუზიღველად დატოვება მოითხოვეს სსსკ-ის 275-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც არ დაკმაყოფილდა საქალაქო სასამართლოს 06.04.2016 წ. საოქმო განჩინებით (იხ. სხდომის ოქმი 14:47:30-14:49:34) საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს არ ანიჭებს უფლებას, სასამართლოში წარმოადგინოს ამხანაგობის წევრები იმ დავასთან დაკავშირებულ საქმეში, რომელიც ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით მათთვის გადაცემულ ინდივიდუალურ ფართებს შეეხება. მართალია ქ. ბ-ში, რ.-ს ქ. №..-ის მდებარე უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და შენობა ნაგებობა 3792,2მ²) რეგისტრირებულია ბ.მ.ა. „ამხანაგობა ..-ს“ საკუთრებად, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამხანაგობის წევრებს ხსენებულ უძრავ ქონებაზე არ გააჩნიათ უფლებები. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმისდა მიუხედავად, რომ „ამხანაგობა ..-ს“ წევრები ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით გადაცემული ბინების მესაკუთრეებად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულნი არ არიან, მათ ამ კრების გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების მიმართ გააჩნიათ იურიდიული ინტერესი, რაც მათთვის განაწილებული ბინების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო, როგორც ლ. მ.-ის, ასევე, ბმა „ამხანაგობა ..-ს“ წევრების უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით კი, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მას, ამხანაგობის წევრების სასამართლოში წარმოდგენა შეუძლია საერთო საფუძველზე, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გაცემული მინდობილობის საფუძველზე (სსკ-ის 93-ე, 96-ე, 98-ე მუხლები)“ – იხ. სუსგ № ას-756-716-2015, 11.09.2015წ;

17.1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში სარჩელი წარადგინა არაუფლებამოსილმა პირმა – ნ. შემ, რომელიც ერთპიროვნულად მოქმედებდა, კერძოდ, მას არ გააჩნდა სარჩელის აღძვრის წინაპირობა, რადგან ამხანაგობას მისთვის კანონით დადგენილი წესით არ მიუნიჭებია უფლებამოსილება, აღძვრა სარჩელი ამხანაგობის სახელით, რაც სსსკ-ის 98.1-ე მუხლით დადგენილ სპეციალურ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამავე კონტექსტში საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, ყურადღება გაამახვილოს ამხანაგობის კანონის 26-ე მუხლის პირველ, მესამე, მეოთხე, მეშვიდე და მეცხრე პუნქტებზე „1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საქმიანობას უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე. ... 3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ხმების 2/3-ით, განსაზღვრული ვადით შეუძლიათ აირჩიონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე. თუ ამ კანონის მიღებიდან 3 თვის ვადაში არჩეული არ იქნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის ფუნქციებს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე, 6 თვის მონაცვლეობით ასრულებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები, რომელთა რიგითობაც წილის ყრის მეშვეობით განისაზღვრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებაზე. ... 4. თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ნებისმიერი წევრი ან მოწვეული მმართველი. ... 5. თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისივე დავალებით თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი. ... 7. თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ ამ კანონის მიღებიდან 3 თვის ვადაში არ იქნა მიღებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე, ვიდრე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები არ მიიღებენ წესდებას: ა) იწვევს და უძღვება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებას; ბ) უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების გადაწყვეტილებების შესრულებას; გ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით იღებს აუცილებელ ზომებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების სათანადო მოვლა-პატრონობის, ექსპლუატაციისა და განვითარების უზრუნველსაყოფად; დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით განსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხარჯებს მიმდინარე სამეურნეო წლისათვის; ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით განსაზღვრავს ბი-

ნათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა რეგულარული ხარჯებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარებასთან დაკავშირებული დამატებითი სადანახარჯო შენატანების ოდენობას ამ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად; ვ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების გასხვისებას, გაქირავებას, იჯარით გაცემას, დაგირავებას, აგრეთვე სერვიტუტისა თუ სხვაგვარი უფლებით სხვა პირებისათვის გადაცემას; ზ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სესხის აღებასა და გაცემას; თ) იღებს ზომებს, რომლებიც აუცილებელია რაიმე ვადის დასაცავად ან რომელიმე უარყოფითი სამართლებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად; ი) იღებს და იხდის განუული ხარჯებისა თუ ვალების დასაფარავ თანხას, თუ ეს მესაკუთრეთა საერთო საქმეებს შეეხება; კ) დებს ხელშეკრულებებს და წარადგენს საჭირო დოკუმენტაციას, თუ ეს დაკავშირებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობასთან, ექსპლუატაციასთან და განვითარებასთან და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ინტერესებთან; ლ) უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო პირობებისა და მოვალეობების შესრულებას; მ) გამოდის სასამართლოში ან სხვა ორგანოებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სახელით. ... 9. თავმჯდომარე უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობისათვის, ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის მუშა-მოსამსახურეების დაქირავებას და მათთან ხელშეკრულებების დადებას. 10. თავმჯდომარე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებებს“;

17.1.2. დასახლებული ნორმის მონესრიგების მიხედვით, ამხანაგობის თავმჯდომარეს ამხანაგობის სახელით სასამართლოში ან სხვა ორგანოებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უნდა მიენიჭოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98.1-ე მუხლით დადგენილი წესით. ამხანაგობის კანონი განსაზღვრავს მის წევრთა შიდა ურთიერთობებს, რომელთა შორისაა ამხანაგობის წევრთაგან თავმჯდომარის არჩევა (26-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრება გადანაცვებილებათუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (28-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებაზე გადანაცვებილებები მიიღება დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი (28-ე მუხლის მე-5 ნაწილი);

17.1.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება, ანუ მოსარჩელის ან მოპასუხის სახელით სასამართლოში თუ სხვა ორგანოში მონაწილეობა სცილდება ამხანაგობის შიდა ურთიერთობას და ამიტომ საჭიროებს მესამე პირთა წინაშე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას კანონით დადგენილი მინდობილობის საფუძველზე;

17.1.4 საკასაციო სასამართლო იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ამხანაგობის თავმჯდომარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ამხანაგობის წევრის უფლება, წარადგინოს სარჩელი, როდესაც სადავო მისი საკუთრების (მართლზომიერი მფლობელობის) უფლება, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლო უთითებს: „კ. სის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ უფლებების განსაზღვრას, რაც გააჩნდა დ. ე-ეს ამხანაგობის წევრობის დროს. თუკი დ. ე-ე, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე წარმოადგენდა სადავო ფართის მართლზომიერ მფლობელს, რომელსაც კანონის მიზნებიდან გამომდინარე შეეძლო მოეთხოვა საკუთრების უფლება, ამ შემთხვევაში მის მიერ საცხოვრებელი ფართის გასხვისებისას შემძენზე გადავიდოდა ყველა ის უფლება, რაც გააჩნდა წინამორბედს. ახალ შემძენზე გადადიოდა არა მარტო უფლებები, არამედ ვალდებულებებიც. კერძოდ, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური საკუთრების გასხვისების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობასთან დაკავშირებულ შეუსრულებელ ვალდებულებებზე პასუხს აგებს ახალი მესაკუთრე პერსონალურად და როგორც სოლიდარული მოვალე“ (იხ. სუსგ №ას-5120486-2013, 09.09.2013წ).

18. მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობა, რომლის შედეგად, მოსარჩელის მოსაზრებით, ამხანაგობა გაიუმჯობესებს მდგომარეობას იმით, რომ მოპასუხეთათვის უკანონოდ (კრების მოწვევისათვის ამხანაგობის კანონით დადგენილი წესის უგულებელყოფით) გადაცემული სადავო ფართები ამხანაგობას დაუბრუნდება თანასაკუთრებაში, რაც მის იურიდიულ ინტერესზე მიუთითებს;

18.1. საკასაციო სასამართლო, უწინარესად იმას აღნიშნავს, რომ ალიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნ-

და შეამონმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეები უთითებდნენ მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობაზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამოირიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017 წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.06.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.; №ას-437-409-2017, 29.09.2017წ.; №ას-623-582-2017, 20.12.2017წ.);

18.1.1. აღსანიშნავია, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაცია შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზით და დოქტრინაში განვითარებული შეხედულებით. სარჩელთა ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადანყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადანყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია;

18.1.2. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურსამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძ-

ლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

18.2. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადავო კრების ოქმების ბათილად ცნობა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კანონის ამოქმედებით, 2007 წლის 1 აგვისტოდან, ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალურ საკუთრებად რიცხული ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართები დარჩა იმავე სახით, როგორც ეს კანონის მიღებამდე იყო. სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ პირველმა მოპასუხემ, ჯერ კიდევ დასახელებული კანონის ამოქმედებამდე – 2007 წლის 21 ივნისს შეიძინა და საკუთრებად აღრიცხა ის ფართები, რომლებიც წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტშია მითითებული. მოპასუხეები სწორედ იმაზე აფუძნებენ განსახილველი აღიარებითი სარჩელის წარუმატებლობას, რომ არ იკვეთება მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რადგან ამხანაგობა პრეტენზიას აცხადებს მოპასუხეთა საკუთრებაში ფაქტობრივად არსებულ ფართებზე, რასაც ისინი ადრეც ამ სახით ფლობდნენ;

18.2.1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამხანაგობის კანონის ამოქმედების მიზანი იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციისა და განვითარების სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფა (იხ. კანონის მე-2 მუხლი), კანონის გარდამავალი დებულებებიც საერთო ქონების განსაზღვრისა და აღრიცხვის მონესრიგების ღონისძიებებს უკავშირდება (იხ. კანონის 30-ე მუხლი). ამავე სპეციალური კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს ბინათ-

მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალურ საკუთრებას: „1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.). 2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი. მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრმა უნდა წარმოადგინოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმი და ნახაზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამეურნეო სათავსის ადგილმდებარეობის დადგენა“;

18.2.2. ამდენად, ამხანაგობის კანონის ამოქმედების შემდეგ, სადავო კრების ოქმებით ამხანაგობამ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც დაადასტურა მოპასუხეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, რაც საფუძვლად დაედო საჯარო რეესტრში იმ ქონების რეგისტრაციასა და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვას, რომლებიც ისედაც მოპასუხეთა საკუთრებას წარმოადგენდა და რეგისტრაციის ფაქტით მესამე პირთათვის შეიქმნა დოკუმენტი ქონების მესაკუთრის შესახებ. აქედან გამომდინარე, სარჩელი დაუსაბუთებელია და საქმის წარმოების პირველივე ეტაპზე განუხილველად უნდა დარჩენილიყო, რადგან მოსარჩელეს არ აქვს აღძრული მიკუთვნებითი მოთხოვნა; თუმცა, მის მიერ მიკუთვნებითი მოთხოვნის – სადავო კრების ოქმებით მოპასუხეთათვის გადაცემული ქონების ამხანაგობის საკუთრებად დაბრუნება და ამხანაგობის საკუთრების უფლების რეგისტრაცია – აღძვრის შემთხვევაშიც, სარჩელი წარუმატებელი იქნებოდა მისი ფაქტობრივი უსაფუძვლობის გამო. მოპასუხეებს თავიანთ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით ესაჭიროებოდათ ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება, მათ ამ გადაწყვეტილებებით ამხანაგობის საერთო ქონების რაიმე ნაწილი არ მიუღიათ. საკასაციო სასამართლო იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ სარჩელი არ არის დასაბუთებული მოპასუხეთათვის ფართების კუთვნილების სადავოობის თვალსაზ-

რისითაც. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მონმეებიც კი არ ადასტურებენ, რომ სადავო კრების ოქმებით გადაცემული ფართების მფლობელები არ არიან მოპასუხეები, ეს ფართები ამხანაგობის სხვა წევრთა მფლობელობაშია ან ამხანაგობის საერთო ქონების ნაწილია. მონმეები ამაზე რომც უთითებდნენ, მარტოოდენ არც მათი განმარტება იქნებოდა საკმარისი და დასაბუთებული მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი ვარგისიანობის თვალსაზრისით;

18.2.3. ამდენად, იმ დაშვებითაც, რომ უფლებამოსილ პირს აღედრა სარჩელი ამხანაგობის სახელით და მოსარჩელეს მიკუთვნებითი მოთხოვნა დაეყენებინა, ამხანაგობის კანონის საფუძველზე მოპასუხეთა მიერ მოპოვებული საკუთრების უფლებას ვერ შეარყევდა მარტოოდენ ის გარემოება, რომ ამხანაგობის წევრთა შესაბამისი ოდენობა არ მონაწილეობდა იმ კრებებში, რომლებზედაც მიღებული იქნა გადაწყვეტილებები მოპასუხეთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართების საჯარო რეესტრში აღიკვეთის მიზნით წარსადგენად, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ფართების მოპასუხეთათვის კუთვნილება არაა შედავებული სარჩელში, შესაბამისად, არ წარდგენილა შესატყვისი მტკიცებულება.

18.3. საკასაციო სასამართლო, განსახილველი საკითხის სიცხადის მიზნით მოიშველიებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიაწინებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიაწინებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა არ მოჰყვება შედეგად.

18.4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par.

81); Boldea v. Romania, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის იმ პრეტენზიებზე, რომელთაც საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

18.5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

18.6. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმების გამო, საკასაციო სასამართლო აუქმებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც წინამდებარე განჩინების სარეზოლუციო ნაწილშია ასახული, ისევე, როგორც – მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე, 372-ე, 187.2, 408.1, 408.2 და 199¹-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. გ-ისა და ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება;
3. ბმა „ო-ას“ სარჩელი დარჩეს განუხილველად;
4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო მ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ უძრავ ქონებას, მდებარე: ქ. თბილისში, რ-ის გამზირი 23-ში მდებარე 63.85 კვ.მ. სხვენს ს/კ 0.. და ქ. თბილისში, რ-ის გამზირი 23-ში მდებარე 10.31 კვ.მ. სარდაფს, ს/კ 0...;
5. ბმა „ო-ას“ მ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. აპელაციის დასაშვებობა

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-510-510-2018

4 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „კ-ამ“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ღ-ს“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ 8000 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 18 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, სტუდიის მიერ სარეკლამო კლიპის გადაღება. მოპასუხე სთავაზობდა მოსარჩელისათვის სასურველ კონცეფციას, ახდენდა, დამკვეთთან კოორდინაციის შესაბამისად, მსახიობების დამტკიცებას, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღო სარეკლამო რგოლში და, მხოლოდ დამკვეთის წერილობითი დასტურის შესაბამისად, მსახიობების დამტკიცების შემდგომ უნდა გადაეღო კლიპი. კომპანია, რომლის პროდუქციის პოპულარიზაციისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული კლიპი, აერთიანებს სხვადასხვა სახის პროდუქციას, როგორცაა მურაბა, ჯემი, ტყემალი.

3. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხემ რამდენჯერმე გაუგზავნა მსახიობების ქასტინგების ვიდეოჩანაწერები, რომელიც განიხილა კომპანიის ადმინისტრაციამ, თუმცა წარმოდგენილი მსახიობები კლიპის არსში მითითებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ. კლიპის იდეის არსი მოიაზრებდა მის გამოშვებას წინასაახალწლო პერიოდამდე, თუმცა მსახიობების დამტკიცების საკითხი დროში გაინელა და კლიპის გადაღებამ აზრი დაკარგა. შესაბამის-

სად, მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულება ვერ შესრულდა, თუმცა მან ავანსის სახით გადახდილი თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ჯეროვნად, ხოლო მოპასუხემ ყოველგვარი ობიექტური განმარტების გარეშე არ მიიღო შესრულება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8000 ლარის ანაზრდაურება, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 369-ე, 259¹-ე მუხლებით და დაადგინა, რომ 2017 წლის 30 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა მოპასუხის წარმომადგენელი, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 15 დეკემბერს და მხარეებს განემარტათ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ.

8. 2017 წლის 15 დეკემბერს გადაწყვეტილების სარეზოლოციო ნაწილის გამოცხადებას არც ერთი მხარე არ დასწრებია.

9. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 24 დღეს, – 2018 წლის 9 იანვარს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, თუმცა გადაწყვეტილება ვერ ჩაბარდა მისი მოუშზადებლობის გამო.

10. მოცემულ შემთხვევაში მხარემ შეასრულა მისთვის დაკისრებული ვალდებულება გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოში გამოცხადების შესახებ, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 20-დან 30 დღის ვადაში, თუმცა გადაწყვეტილება მას ვერ ჩაბარდა მისი მოუშზადებლობის გამო. ამდენად, სსკ-ის 259¹-ე მუხლის შესაბამისად, მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება ვერ ჩაბარდა.

11. სასამართლოს მოხელის მიერ შედგენილი აქტის თანახმად,

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 დეკემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით – 2018 წლის 15 თებერვალს, რაც მოპასუხის წარმომადგენელს ეცნობა 2018 წლის 15 თებერვალს სატელეფონო შეტყობინებით.

12. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მხარეს, 259¹-ე მუხლის შესაბამისად, ვერ ჩაბარდა დასაბუთებული გადაწყვეტილება, ამ მომენტიდან ის თავისუფლდება სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებისაგან და მის მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარების მომენტიდან. ასეთ მომენტს კი, ადგენს ამავე კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება, ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

13. სსსკ-ის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, 2018 წლის 15 თებერვლის ტექნიკური საშუალებით, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინების გზით მხარეს ეცნობა დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების შესახებ და ამავე დღეს შეეძლო მისი ჩაბარება სასამართლოში.

14. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 16 თებერვლიდან და ამოიწურა 2018 წლის 1 მარტს, რომელიც არ იყო უქმე დღე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაბარდა დაგვიანებით – 2018 წლის 2 მარტს. შესაბამისად, მხარემ დაარღვია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა, რომლის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

კერძო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

16. კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა არასწორად დაიწყო 2018 წლის 15 თებერვლიდან – იმ მომენტიდან, როდესაც აპელანტს ეცნობა საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების შესახებ.

17. მხარემ განმარტა, რომ მან სსსკ-ის 259¹-ე მუხლის მოთხოვნა შეასრულა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 24 დღეს – 2018 წლის 9 იანვარსა

და მოგვიანებითაც, 26 იანვარს მიმართა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. საქმეში წარმოდგენილია სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტი იმის შესახებ, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით – 2018 წლის 15 თებერვალს. შესაბამისად, მოპასუხე გათავისუფლდა სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებისაგან და მის მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა უნდა დაწყებულიყო დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის გადაცემის მომენტიდან – 2018 წლის 19 თებერვლიდან.

18. კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის თანაშემწეს 2018 წლის 15 თებერვალს დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების შეტყობინებასთან ერთად უნდა განემარტა მოპასუხისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის მომდევნო დღიდან დაწყების თაობაზე, რაც არ მომხდარა.

19. მოპასუხის მითითებით, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის, აგრეთვე (საქმე №ას-1161-1106-2014 30.12.2014წ.) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

21. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერების საკითხი.

22. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის დასაშვებ პერიოდს განსაზღვრავს სსსკ-ის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხ-

ლების ან 259¹-ე მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. ამავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილით კი, თუ გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადანყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადანყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადანყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადანყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

23. მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ მხარისათვის, რომელიც ესწრებოდა გადანყვეტილების გამოცხადებას ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადანყვეტილების გამოცხადების თარიღი, კანონმდებელი განსაზღვრავს ვალდებულებას, გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადანყვეტილების ასლი.

24. აღნიშნული ვალდებულება ფაკულტატურია და, შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადანყვეტილების გასაჩივრების წესზე, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად „გადანყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია, გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადანყვეტილების ასლი“. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედებს დანაწესი, რომლის თანახმად „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადანყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“.

25. ამდენად, სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრების

მსურველი მხარის მიერ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 20-დან 30-ე დღემდე დასაბუთებული გადანყვეტილების ჩასაბარებლად სასამართლოში გამოუცხადებლობა წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ გადანყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღის (მიუხედავად იმისა, უქმე დღეა თუ არა აღნიშნული) მომდევნო დღიდან, რადგან სსსკ-ის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სუსგ 2015 წლის 12 იანვრის №ას-843-807-2014).

26. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუზღიათ ის ფაქტი, რომ მოპასუხეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას თარიღი კანონით დადგენილი წესით ეცნობა.

27. საქმის მასალებში წარმოდგენილია მოპასუხის წარმომადგენლის (შესაბამისი რწმუნებულება წარმოდგენილია) 2018 წლის 9 იანვრისა და 26 იანვრის (158) განცხადებები დასაბუთებული გადანყვეტილების ჩაბარების შესახებ, შესაბამისად, დასაბუთებულია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მოპასუხის წარმომადგენელი კანონით დადგენილ ვადაში მართლაც გამოცხადდა სასამართლოში და მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ ჩაიბარა დასაბუთებული გადანყვეტილების ასლი.

28. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქმეზე დართული 2018 წლის 15 თებერვალს სხდომის მდივნის მიერ შედგენილი აქტები, რომელთა თანახმად მოცემულ საქმეზე გადანყვეტილება მომზადდა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით – 2018 წლის 15 თებერვალს, რის თაობაზეც ეცნობა მოპასუხის წარმომადგენელს.

29. გასაჩივრებული დასაბუთებული გადანყვეტილების ასლი მოპასუხის წარმომადგენელმა ჩაიბარა 2018 წლის 19 თებერვალს.

30. „დიდი პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადანყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადანყვეტილების გასაჩივრების წესზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა ანესრიგებს

გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი აწესრიგებს იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასამართლოს მიერ პროცედურული წესის, განსაკუთრებით კი გასაჩივრების უფლების გამოყენების ვადების განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა ხელყოს სასამართლოსადმი წვდომის უფლება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1161-1106-2014).

31. საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20-30-ე დღეებში აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარის სასამართლოში გამოცხადება და დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ განცხადების წარდგენა ათავისუფლებს მას დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოსათვის კვლევ მიმართვის ვალდებულებისაგან, თუ გასაჩივრებული დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ არის და მხარემ მისგან დატოვილი მიზეზით ვერ შეძლო აღნიშნული საპროცესო აქტის მოპოვება. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ მხარემ სსსკ-ის 259¹-ე მუხლის მოთხოვნები შეასრულა. მითითებული მომენტიდან მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების ვალდებულება ეკისრება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და ამავე კოდექსის 369-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა დაიწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან.

32. ამდენად, სსსკ-ის 369-ე, 259¹-ე მუხლების მიხედვით, სააპელაციო პალატას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უნდა აეთვალა მოპასუხის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან – 2018 წლის 19 თებერვლიდან. აღნიშნული ვადა ამოიწურა 2018 წლის 5 მარტს, ხოლო მოპასუხემ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2018 წლის 2 მარტს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დაცვით.

33. შესაბამისად, საკასაციო პალატა ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა მოპასუხის სააპელაციო საჩივრის შეტანის საპროცესო ვადა და მისი სააპელაციო საჩივარი არასწორად დატოვა განუხილველად.

34. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გა-

საჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, წარმოდგენილი კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ლ-ს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. საქმის წარმოების განახლება

განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) კათილად ცნობის შესახებ

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ა-5075-ბ-10-2017

30 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სარჩელი შპს „რ-ის“ მიმართ 2005 წლის აპრილის სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 150 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით, შპს „რ-ს“ ზ. მ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე სესხის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის – 643 183 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა 436 558 აშშ დოლარია, ხოლო პროცენტი – 206 625 აშშ დოლარი, შპს „რ-ს“ ზ. მ-ის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის ასანაზღაურებლად 436 558 აშშ დოლარის წლიური 9%-ის – 39 290 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, ზ. მ-მა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო, შპს „რ-მა“ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „რ-

ს“ ზ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე სესხის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 793 183 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირითადად 586 558 აშშ დოლარია, ხოლო სარგებელი – 206 625 აშშ დოლარი, მოპასუხეს ასევე დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით 23 795,49 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო 2005 წლის აპრილის ზეპირი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადად – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის სახით 150 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, შპს „რ-მა“ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო, ზ. მ-მა – სესხის ძირითადად – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 150 000 აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ამავე განჩინებით შპს „რ-ის“ წარმომადგენელ ა. კ-ის შუამდგომლობა იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ზ. მ-ის წარმომადგენელ მ. გ-ას შუამდგომლობა 2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ივლისამდე გადასახდელი თანხის – 793 183 აშშ დოლარის წლიური 9%-ის – 327 188 აშშ დოლარის შპს „რ-ისათვის“ დაკისრების თაობაზე დარჩა განუხილველად, კასატორ ზ. მ-ს დაუბრუნდა 2017 წლის 9 ივნისის №ა-2427-17 განცხადებაზე დართული იურიდიული კომპანია „თ-ის“ 2017 წლის 9 ივნისის დასკვნა 23 (ოცდასამი) ფურცლად, შპს „რ-ის“ წარმომადგენელ ა. კ-ის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადებისა და შესაბამისი დასკვნის წარდგენისათვის საპროცესო ვადის განსაზღვრის თაობაზე არ დამაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „რ-მა“, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა განცხადების საფუძვლიანობა, საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „რ-ის“ მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს ზეპირი განხილვა, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „რ-ის“ განცხადება განხილულ უნდა იქნას მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი საკასაციო პალატის განჩინების ბათილად ცნობას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ საქმის განხილვის შედეგად მას გაუჩნდა ეჭვი კოლეგიური შემადგენლობის მიუკერძოებლობის თაობაზე, ამ ეჭვის ფაქტობრივ საფუძვლად იგი ძირითადად შემდეგ გარემოებებს მიუთითებს:

საქმის განმხილველი შემადგენლობის წევრის, მოსამართლე ზ. ძ-ის თანაშემწე ნ. კ-ე ქორწინებაში იმყოფება ზ. მ-ის წარმომადგენელ მ. გ-ასთან, შესაბამისად, მას უფლება არ ჰქონდა, მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა, ამასთან, მოსამართლის თანაშემწისა და მონაწილემდეგ მხარის წარმომადგენლის ხანგრძლივი თანაცხოვრება იწვევს შიშს, რომ არა მხოლოდ მოსამართლე ზ. ძ-ი, არამედ, საქმის განმხილველი სრული შემადგენლობა ობიექტური ნიშნით არის მიკერძოებული, რადგანაც ნ. კ-ეს ჰქონდა სამსახურებრივი წვდომა: ა) საქმის წარმოებასა და განხილვაზე; ბ) 2017 წლის 29 მაისს საქმის განხილვის დასრულების შედეგზე; გ) საქმის განმხილველი შემადგენლობის წევრთა მოსაზრებებზე, მსჯელობის მიმართულებებზე, შესაძლო ეჭვსა თუ მერყეობაზე, მათ შორის, საქმის განსაკუთრებული სირ-

თულიდან გამომდინარე, პალატის მიერ ერთი თვით სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების გათვალისწინებით. ამგვარი ქმედებით მოწინააღმდეგე მხარეს მიეცა აკრძალული წვდომა სათათბირო ოთახში მყოფი პალატის შიდა ინფორმაციაზე, რაც მან გამოიყენა კიდევაც და მიმართა უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, თ. თ-ას სამართლებრივი ექსპერტიზის ჩასატარებლად, აღსანიშნავია, რომ ნ. კ-ე მოსამართლე თ. თ-ას რეფერენტი იყო, ამასთან, თ. თ-ას საქმის განმხილველი კოლეგიური შემადგენლობის წევრებთან ერთად არაერთი საქმე აქვს გადაწყვეტილი, რის გამოც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მისი დასკვნის წარდგენით პრაქტიკულად სათათბიროდ აღმოჩნდა გასული მეოთხე წვერი, ხოლო დასკვნის გავლენა იკითხება თავად შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში. თავად მოსამართლე ზ. ძ-ს არ განუცხადებია საქმეზე თვითაცილება და/ან ნ. კ-ის ჩამოშორება საქმის განხილვისაგან, ამგვარი ქმედებით უკანონო უპირატესობა მიენიჭა მოწინააღმდეგე მხარეს, რაც მიღებული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო მხარის არგუმენტების შეფასების შედეგად აღნიშნავს, რომ სრულებით არ იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრის – თ. თ-ასთან მიმართებით გამოთქმულ პოზიციებს და განუმარტავს მხარეს, რომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას სასამართლოში წარდგენილი ნებისმიერი კორექსონდენცია გადაეცემა საქმის განმხილველ შემადგენლობას, ვინაიდან არც საპროცესო კანონმდებლობით და არც სასამართლოში დადგენილი წესების შესაბამისად, მოქალაქეთა მისაღებს, სადაც ხდება სასამართლოში კორექსონდენციის მიღება, არ გააჩნია უფლება, სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის მასალების მიღებაზე განაცხადოს უარი, ამ წესით შემოსული ექსპერტიზის დასკვნა, ბუნებრივია, გადაეცა საქმის განმხილველ შემადგენლობას, რის შესახებაც, თუნდაც ფორმალური თვალსაზრისით დოკუმენტის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ეცნობა განმცხადებელს, უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლომ 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით დოკუმენტის მიღებაზე განაცხადა უარი, რაც შეეხება იმ საკითხს, იხელმძღვანელა თუ არა სასამართლომ ამ დოკუმენტით და როგორც მხარე აღნიშნავს, „სათათბირო ოთახში აღმოჩნდა თუ არა ყოფილი მოსამართლე თ. თ-ა, რომელთან ერთადაც არაერთი საქმე აქვს განხილული ამავე შემადგენლობას“, პალატა განუმარტავს განმცხადებელს, რომ ამგვარი მოსაზრებები მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ არგუმენტაციას, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს ე.წ სასამართლოს

მეგობრის ინსტიტუტი. ამ პრაქტიკის საუკეთესო მაგალითია საქართველოს უზენაესი სასამართლო დიდი პალატის მიერ ერთ-ერთ საქმეზე მსგავსი ხასიათის დოკუმენტის მიღება (იხ. მაგ: სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი). რაც შეეხება განმცხადებლის ვარაუდს, რომ მიუხედავად ექსპერტის დასკვნის საქმეზე არ დართვისა, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა მასში გადმოცემული მოსაზრებებით და აღმოჩნდა იგი არათანაბარ მდგომარეობაში, დასაბუთების მინიმალურ სტანდარტსაც ვერ აკმაყოფილებს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო (შემდგომში – უზენაესი სასამართლო) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 90-ე მუხლის პირველი პუნქტითა და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტისა და 391¹-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, როგორც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამდგენი ინსტანცია, ვალდებულია, არა თუ ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა შემოწმოს მის მიერ უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკასთან, არამედ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად არ ეთანხმება ამ ინსტანციის სასამართლოს მანამდე არსებულ განმარტებას კონკრეტული სამართლის ნორმის თაობაზე, საქმეს გადასცემს დიდ პალატას სამართლის ნორმის განმარტების მიზნით. ამდენად, მხარისათვის, მით უფრო, როდესაც ის დავას აწარმოებს ადვოკატის მეშვეობით (სსსკ-ის 440-ე მუხლი), კარგად უნდა იყოს ცნობილი ის გარემოება, რომ სასამართლო ზედმინევენით იცნობს ერთგვაროვან პრაქტიკას და თავისუფლად იყენებს მას გადაწყვეტილების დასაბუთებისას, მიუხედავად იმისა, პრაქტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიღებულია უშუალოდ საქმის განმხილველი შემადგენლობის თუ მისთვის ე.წ ავტორიტეტული მოსამართლის მიერ, შესაბამისად, პალატა უარყოფს თ.თ-ას გავლენას საქმის განმხილველ შემადგენლობაზე და ამ საკითხს არ მიიჩნევს განჩინების ბათილობის წინაპირობად.

რაც შეეხება მოსამართლის თანაშემწის ფაქტორს (რომელიც

იმავედროულად განმცხადებლის მონინაალმდევე მხარის წარმომადგენლის მეუღლე, საქმის განხმილველი ერთ-ერთი მოსამართლის თანაშემწე და თ. თ-ას ყოფილი თანაშემწეა), საკასაციო პალატა განმცხადებლის მტკიცებას ამ მხრივაც არ იზიარებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-4 ნაწილის დებულება, რომელიც საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების დროისათვის ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველ ნაწილს წარმოადგენდა, ადგენს, რომ საქმეს განსახილველად, ერთპიროვნულად ამზადებს მომხსენებელი მოსამართლე, უფრო მეტიც, ამავე კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით შეიძლება, საქმის განსახილველად მომზადება დაევალოს მოსამართლის თანაშემწესაც, თუმცა, კანონის ხსენებული ჩანაწერი შეეხება უშუალოდ მომხსენებელი მოსამართლის თანაშემწეს, შესაბამისად, ნ. კ-ის შემხებლობა საქმის მასალებთან, რადგანაც იგი არა მომხსენებელი მოსამართლის, არამედ, ამავე შემადგენლობის წევრის თანაშემწეა, თეორიულადაც დაუშვებელია, უფრო მეტიც, პრაქტიკულად, კანონსანინაალმდეგო ქმედებას უტოლდება მხარის პოზიცია, როდესაც სასამართლოზე ზეგავლენის მომხდენად მიიჩნევს მოსამართლის თანაშემწეს ზემოხსენებული სუბიექტური ფაქტორების შედეგად, ისევე, როგორც მართლწინაალმდეგობრიობაზე მიუთითებს მისი მხრიდან ინფორმაციის მოპოვების მტკიცება (სსსკ-ის 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მსჯელობა, რომელიც მათ ჰქონდათ თათბირის დროს), თუმცა, ფაქტის აბსურდულობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მხარემ ამ მართლწინაალმდეგობრიობის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარუდგინა სასამართლოს.

მართალია განმცხადებელი ცდილობს, მოიშველიოს ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა და მოსამართლეებს ეთიკის წესების დარღვევაში დასდოს ბრალი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მის მიერ მოხმობილი პრეცედენტული საქმე, მათ შორის ფაქტობრივი ნაწილით წინამდებარე შემთხვევასთან ყველაზე ახლოს მდგომი საქმე – *Bellizzi v. Malta* არ ადგენს ევროკონვენციის 6.1. მუხლის დარღვევას, რაც კიდევ ერთხელ გამორიცხავს მხარის პოზიციის რეალობასთან ახლოს ყოფნას, უფრო მეტიც, საქმეზე: „ჭიჭინაძე საქართველოს წინაალმდეგ“ ევროსასამართლომ იმსჯელა საქმის წარმოების განახლების საკითხზე და განმარტა, რომ „კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება უნდა განიმარტოს კონვენციის პრეამბულის კონტექსტში, რომლის თანახმადაც კანონის უზენაესობა უნდა წარმოადგენდეს მაღალ ხელშემკვერელ მხარეთა საერთო მემკვიდრეობას. კანონის უზენაესობის ერთ-ერთ-

თი ფუნდამენტური ასპექტი არის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც სასამართლო თუ გადანყვეტს საკითხს, მისი განჩინება არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ (Brumărescu v. Romania [GC], no. 28342/95, § 61, ECHR 1999 VII). ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გადანყვეტილების გადახედვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიოს საქმის ხელახლა მოსმენასა და ახალ გადანყვეტილებას. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გადახედვა არ უნდა იქცეს შენიღბულ აპელაციად და საკითხზე ორი შეხედულების არსებობა არ წარმოადგენს საქმის გადასინჯვის საფუძველს. ამ პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის აუცილებლობა გამოწვეულია არსებითი და გარდაუვალი ხასიათის გარემოებების წარმოშობით (იხ. Ryabykh, §52). საბოლოოდ გადანყვეტილი სამოქალაქო დავის განახლების პროცედურა კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებს ემსახურება, თუმცა იგი გამართლებულია, თუკი დადგინდება სწორად იქნა თუ არა პროცედურა განხორციელებული არსებული საქმის ფაქტებზე, ანუ სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ საქმის წარმოების განახლება არ ემსახურებოდა სხვა მიზნებს, გარდა იმისა, რომლის გამოც იგი გადანყდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის დებულებებზე დაყრდნობით“ (იხ. ECHR: „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“ განაცხადი №18156/05, 27.05.2010წ.).

ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება: პირველი – სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან; მეორე – იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს, ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადანყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 1030-31, §58; „მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. „ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ“, 1989 წლის 24 მაისის გადანყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; „დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ“, №42095/98, §30, ECHR 2000-X).

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკითხი სამართლიანი სასამართლოს პრინციპს შეეხება და მხარე ეჭვს გამოთქვამს საქმის

მიუკერძოებლად განხილვაზე, მიუხედავად განცხადების წინაპირობების უსაფუძვლობისა, პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწის ქორწინებაში ყოფნა ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელთან, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტურ ეჭვს აღძრავდეს საშუალო წინადახედულობის მქონე ადამიანში მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც მხოლოდ ფორმალურად იზიარებს განმცხადებლის ამ არგუმენტს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით აბათილებს 2017 წლის 23 ივნისის განჩინებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილი-სა და 431-ე მუხლის თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო პალატამ 2017 წლის 23 ივნისის განჩინება ცნო ბათილად, საქმის წარმოება უნდა განახლდეს საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის ეტაპიდან, ამასთანავე, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, საკასაციო საჩივრები განხილოს მხარეთა დასწრებით და ამ მიზნით სხდომის დროის შესახებ დამატებით აცნობოს მხარეებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 403-ე, 408-ე, 430-ე, 431-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „რ-ის“ განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ივნისის განჩინება და შპს „რ-ისა“ და ზ. მ-ის საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის ეტაპიდან განახლდეს საქმის წარმოება.
3. საკასაციო საჩივრები განხილულ იქნას მხარეთა დასწრებით.
4. სასამართლო სხდომის თარიღი დამატებით ეცნობოთ მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) გათილად ცნობის შესახებ

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-687-687-2018

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გა-
თილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ბ-ამ (შემდგომში – „განმცხადებელი“) განცხადებით მიმარ-
თა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-
ლატას და მოითხოვა ამავე პალატის 2017 წლის 9 მარტის გადაწყ-
ვეტილების (საქმე №2ბ/4403-16) სარეზოლუციო ნაწილის 3.3.1 და
3.3.2 პუნქტების ბათილად ცნობა.

2. განცხადება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუ-
ციო ნაწილის 3.3.1 პუნქტით გადაწყდა თ. ა-ის (შემდგომში – „მო-
სარჩელე“ ან „კერძო საჩივრის ავტორი“) აღდგენა სსიპ „დ-ში“ (შემ-
დგომში – „მოპასუხე“ ან „ცენტრი“) ტოლფას – გ-ის მენეჯერის
თანამდებობაზე. ხოლო 3.3.2 პუნქტით ცენტრს დაეკისრა მოსარ-
ჩელის სასარგებლოდ, 2014 წლის 11 მარტიდან ტოლფას თანამდე-
ბობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღა-
ურება ყოველთვიური ხელფასის – 1500 ლარის გათვალისწინებით.

2.2. განმცხადებელი, 2017 წლის 9 იანვრიდან, ცენტრის დირექ-
ტორის 2017 წლის 5 იანვრის №10/კ ბრძანების საფუძველზე, მუ-
შაობს ცენტრის გ-ის სამმართველოს გ-ის პროგრამის მენეჯერის
თანამდებობაზე.

2.3. 2018 წლის 12 მარტს, ცენტრის დირექტორის №... წერილით
განმცხადებელს ეცნობა, რომ მოსალოდნელი იყო მისი თანამდე-
ბობიდან გათავისუფლება, რადგან იმავე თანამდებობაზე, სასა-
მართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, აღდგე-

ნილ იქნა მოსარჩელე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გაცემული იყო სააღსრულებო ფურცელი და მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება. აღნიშნულ წერილს განმცხადებელი გაცენო 13 მარტს.

2.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგინდა მოსარჩელის იმ თანამდებობაზე აღდგენა, რომელსაც იკავებს განმცხადებელი. ასეთი თანამდებობა არის მხოლოდ ერთი, შეუძლებელია პროგრამას ორი ხელმძღვანელი ჰყავდეს და შესაბამისად, ერთადერთი გზა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენისათვის არის განმცხადებლის თანამდებობიდან გათავისუფლება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუკი ის გულისხმობს თანამდებობიდან განმცხადებლის გათავისუფლებას, ახდენს უშუალო გავლენას განმცხადებლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებზე. თუმცა იმ საქმის წარმოების ფარგლებში, რომელიც დასრულებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით, განმცხადებლის რაიმე ფორმით მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი, რაც დაუშვებელი იყო. განმცხადებლისთვის ცნობილი არ არის, თუ რამდენად ინფორმირებული იყო სასამართლო იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული თანამდებობა არ იყო ვაკანტური, მაგრამ პროცესში განმცხადებლის მონაწილეობის შემთხვევაში, იგი შეძლებდა დაესაბუთებინა, რომ ამ თანამდებობაზე, როგორც ტოლფასზე (რომც იყოს ეს თანამდებობა ასეთი, თუმცა ეს გარემოებაც არ არის დაზუსტებით ცნობილი), მოსარჩელის აღდგენა იყო გაუმართლებელი და არსებითად არასწორი.

2.5. ცენტრს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაევალა მოსარჩელისათვის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის – 1500 ლარის ოდენობით მაშინ, როდესაც ცენტრის დირექტორის 2017 წლის №10/კ ბრძანების მიხედვით, იმ თანამდებობისთვის, რომელსაც განმცხადებელი იკავებს, თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1200 ლარის ოდენობით.

2.6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №ა-2032-ბ-9-2015 განჩინებაში გაკეთებული განმარტებიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძველი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების, განმცხადებლის მიერ გასაჩივრებულ ნაწილებში, ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლებისათვის.

3. განცხადებაზე მოსაზრება წარმოადგინა მოსარჩელემ, რომელიც არ დაეთანხმა განმცხადებლის მოთხოვნას და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებათა გამო:

3.1. არასწორია განმცხადებლის მიერ მოყვანილი ფაქტობრივი

გარემოება იმის შესახებ, რომ მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრის დირექტორმა გაუგზავნა შეტყობინება 2018 წლის 12 მარტს. აღნიშნული ვერ იქნება სიმართლე, რადგან სადავო სასამართლო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში შევიდა კანონიერ ძალაში და მას შემდგომ არაერთმა მედია საშუალებამ მოამზადა სიუჟეტი/სტატია/ნიუსი. შესაბამისად, ისეთი რეზონანსული საქმის შესახებ ინფორმაციის არარსებობა ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლისთვის, როგორც არის წინამდებარე საქმე, მითუმეტეს ცენტრის წინააღმდეგ, არის სრულიად წარმოუდგენელი ფაქტი. მოსარჩელის ინფორმაციით, განმცხადებელმა დაწინაურებამდე იცოდა, რომ ეს პოზიცია იყო სადავო, შესაბამისად მას უნდა ჰქონოდა საქმის ამგვარად განვითარების მოლოდინი და ბუნებრივია, რომ მიადევნებდა თვალს ამ პროცესს.

3.2. 2014 წლიდან 2017 წლის 5 იანვრამდე იმ პოზიციაზე, რომელზეც მოსარჩელე ითხოვდა სამსახურში აღდგენას, როგორც გათავისუფლებამდე არსებული პოზიციის ტოლფას პოზიციაზე, არავინ ყოფილა დანიშნული. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას ცენტრის წარმომადგენელს სასამართლომ არაერთხელ დაუსვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, გამოცხადებული იყო თუ არა კონკურსი და იყო თუ არა ვინმე დასაქმებული ამ პოზიციაზე. სწორედ ამ საკითხის დასაზუსტებლად გადაიდო ერთ-ერთი ზეპირი სხდომა. შემდგომ პროცესზე წარმომადგენელს არ წარმოუდგენია ამასთან დაკავშირებით დამატებითი ფაქტობრივი გარემოება და არც სათანადო მტკიცებულება. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებები და მტკიცებულებები გამოიკვლია სწორედ 2017 წლის 21 თებერვლის სხდომაზე, როდესაც, როგორც ახლა გაირკვა, განმცხადებელი თვენახევრის დაწინაურებული იყო სადავო პოზიციაზე. განმცხადებელი არ დაინიშნულა კონკურსის საფუძველზე, არამედ დაინიშნა დაწინაურების საფუძველით. ცენტრის მხრიდან აღნიშნული მოქმედების განხორციელება კი აშკარად მიმართულია იმისკენ, რომ სასამართლო დავის მოსარჩელის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ხელი შეშლოდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

3.3. სასამართლო გადაწყვეტილება, მოსარჩელის სამსახურში აღდგენის ნაწილში, თანხვედრაშია უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების მყარად დადგენილ პრაქტიკასთან. არც ერთ საქმეში, რომელშიც განიხილებოდა პირის სამსახურში აღდგენა იმავე ან ტოლფას პოზიციაზე, არ მოუწვევიათ და არც მიმდინარე საქმეებში ინვევენ აღსადგენ პოზიციაზე დავის პროცესში დასაქმებულ პირებს, რადგან უშუალოდ განსახილველი მოთხოვნებისა და და-

სადგენი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ვარგისი არგუმენტაციის წარმოდგენის შესაძლებლობას აღნიშნული პირები მოკლებულნი არიან. ამასთან, აღდგენის თვალსაზრისით, სასამართლოსთვის არ არის მნიშვნელოვანი იმ გარემოების დადგენა, დავის მიმდინარეობისას დანიშნულია თუ არა სხვა პირი სადავო პოზიციაზე, მითუმეტეს კერძო შრომით ურთიერთობებში (გ-ის მენეჯერი არ განიხილება საჯარო მოხელედ და მასზე მოქმედებს შრომის კოდექსი).

3.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. განმცხადებელს შეუძლებელია არ ჰქონოდა წინამდებარე საქმის შესახებ ინფორმაცია და იგი დაინტერესების შემთხვევაში ვალდებული იყო საქმის დასრულებამდე დაეყენებინა შუამდგომლობა, საქმეში მესამე პირად ჩართვასთან დაკავშირებით. თუმცა, სამართლებრივად, შრომითი კატეგორიის დავებში არ არის გათვალისწინებული მსგავსი საფუძვლით მესამე პირის ჩართვა, მით უფრო იმ ფონზე, რომ მისი ჩართვის შემთხვევაშიც არ იქნებოდა მიღებული განსხვავებული შედეგი.

3.5. მნიშვნელოვანია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებასა (საქმე №2ბ/4328-13) და იმავე სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაში (საქმე №2ბ/1100-15) სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები. 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 თებერვლის განჩინებით (საქმე №ას-940-890-2015) და სრულად არის გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ პირი თანამდებობაზე უნდა აღდგეს იმისგან დამოუკიდებლად, დავის მიმდინარეობისას სადავო პოზიცია დაკავებული აქვს თუ არა სხვა პირს.

3.6. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა, საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების სახით კონკურსის დროებით შეჩერების შესახებ, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ დაწესებულებაში რომც დაინიშნოს პირი, ეს არ შეუშლის ხელს მოსარჩელის სამსახურში აღდგენას იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება მოსარჩელის უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლება, სხვა პირის მიერ პოზიციის დაკავება ვერ იქნება ამ მოსარჩელის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის სა-

მართლებრივი საფუძველი. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის განჩინებაში (საქმე №3/3525-17) სასამართლომ სწორედ საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებთან მიმართებით განმარტა, რომ პირი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღდგეს სამსახურში, იმის მიუხედავად არის თუ არა პოზიცია კვლავ ვაკანტური.

3.7. ცენტრი უკანონოდ არიდებს თავს გადაწყვეტილების აღსრულებას, ხოლო მისი თანამშრომლის მხრიდან განცხადების შეტანა, ემსახურება ცენტრის (და არა ამ თანამშრომლის პირადი ინტერესების დაცვას) ერთადერთ მიზანს, გაჭიანურდეს აღსრულება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საქმის განახლების შემთხვევაშიც, არ შეიცვლება შედეგი, მხოლოდ გაჭიანურდება გადაწყვეტილების აღსრულება.

3.8. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მოსარჩელემ აწარმოა მოლაპარაკება და მორიგების თაობაზე სრული მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა ცენტრის შემოთავაზება მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას გულისხმობდა.

3.9. განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებამ და გადაწყვეტილების შეცვლამ შეიძლება შექმნას სახიფათო პრეცედენტი, რომელიც გაამარტივებს სამსახურიდან არასასურველი კადრების გათავისუფლებას და კანონდარღვევით გათავისუფლებულ დასაქმებულს არ დაუტოვებს საშუალებას აღადგინოს სამართლიანობა, რადგან დავის მოგების შემთხვევაშიც კი, ახლადდანიშნული პირის გათავისუფლებაზე უარის თქმის არგუმენტით იგი შეიძლება ვერ აღდგეს პოზიციაზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.3; 3.3.1 და 3.3.2 პუნქტები და დადგინდა, რომ ამ ნაწილში საქმე განხილულიყო თავიდან საერთო წესის დაცვით.

5. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 09 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების 3.3; 3.3.1 და 3.3.2 პუნქტების თანახმად, თ. ა-ის სარჩელი ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და გათავისუფლებიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწი-

ლობრივ, კერძოდ მოსარჩელე აღდგენილ იქნა ცენტრში ტოლფას – გ-ის მენეჯერის, თანამდებობაზე და ცენტრს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 11 მარტიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის – 1500 ლარის, გათვალისწინებით.

5.2. 2018 წლის 15 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. ბ-ამ, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 09 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.3.1 და 3.3.2 პუნქტების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ იგი, როგორც დაინტერესებული პირი, მიწვეული არ ყოფილა ამ დავის განხილვისას.

5.3. სააპელაციო ინსტანციაში საქმის (№2ბ/4403) არსებითი განხილვისას, კერძოდ 2017 წლის 5 იანვრიდან, განმცხადებელი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე დასაქმებული იყო ცენტრში იმ თანამდებობაზე, რომელზეც მოსარჩელე, მისი უკანონო გათავისუფლების გამო, აღდგენილი იქნა, როგორც ტოლფას თანამდებობაზე (ვინაიდან სტრუქტურული ცვლილებების გამო ცენტრში აღარ არსებობდა ის პირვანდელი თანამდებობა – პროექტების მენეჯერის თანამდებობა, საიდანაც გათავისუფლდა მოსარჩელე).

5.4. განმცხადებელი დავის განხილვისას მიწვეული არ ყოფილა და ასევე უდავოა, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება უშუალო გავლენას ახდენს მის უფლებებზე, რამდენადაც მოსარჩელის ამ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა განაპირობებს ამ თანამდებობიდან განმცხადებლის გათავისუფლებას.

6. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის განჩინებით, საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“.

7. სააპელაციო პალატის განმარტებით, იმ ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ აღდგენილა პირვანდელ თანამდებობაზე (პროექტების მენეჯერის თანამდებობა), არამედ იგი აღდგა ტოლფას თანამდებობაზე (რომელიც დავის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის მომენტიდან შესაბამისი საფუძველით დაკავებული ჰქონდა განმცხადებელს), განმცხადებელი მიჩნეულ უნდა იქნეს სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული მიზნებიდან გამომდინარე დაინტერესებულ პირად, რომელიც მოწვეული უნდა ყოფილიყო დავის გან-

ხილვისას და უნდა მიცემოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, ვინაიდან საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, უშუალოდ შეეხო მის უფლებებს.

8. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა განმცხადებლის პოზიციის საწინააღმდეგოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი მასზედ, რომ განმცხადებლისათვის არათუ 2018 წლის 12 მარტისთვის, არამედ გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო ცნობილი ამ დავის მიმდინარეობის და მასზე გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ, ვინაიდან არაერთი მედია საშუალების მიერ მომზადდა არაერთი სიუჟეტი/სტატია/ნიუსი ამ დავასთან დაკავშირებით. მოსარჩელის მტკიცებით, განმცხადებლისათვის ჯერ კიდევ 2017 წლის 5 იანვრამდე, ესე იგი განმცხადებლის ამ თანამდებობაზე დაწინაურებამდე, მისთვის ცნობილი იყო, რომ ეს თანამდებობა დავის საგანს წარმოადგენს და, რომ განმცხადებელს ამ თანამდებობაზე დაწინაურების შემდეგ უნდა ჰქონოდა მოვლენათა ამგვარი განვითარების მოლოდინი.

9. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის არ არსებობის გამო, მითითებული არგუმენტი, არც განცხადების ერთთვის ვადაში წარდგენის შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნის (სსკ-ის 426-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწ.) დაუცველობის თვალსაზრისით და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესის თვალსაზრისით, არ წარმოშობს გადაწყვეტილების ბათილობის შესახებ განმცხადებლის განცხადების დაკმაყოფილებისთვის დაბრკოლებას, ვინაიდან განცხადებაზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით დადასტურებულია, რომ განმცხადებელს მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შესახებ ეცნობა 2018 წლის 12 მარტის წერილით. შესაბამისად ის არგუმენტი, რომ განმცხადებელს შეეძლო დავის მიმდინარეობის მომენტშივე განეცხადებინა თავისი პრეტენზიის შესახებ, არაა დამაჯერებელია.

10. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 09 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ის ნაწილი (სარეზოლუციო ნაწილის 3.3.1.), რომლითაც დადგინდა მოსარჩელის აღდგენა ცენტრში ტოლფას – გ-ის მენეჯერის თანამდებობაზე. ამასთან სააპელაციო პალატამ დასძინა, რომ ვინაიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოსარჩელის ამ ძირითადი მოთხოვნიდან გამომდინარეობდა

მეორე მოთხოვნაც, გათავისუფლებიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაც, ამდენად, როგორც პირველი მოთხოვნის შემადგენელი, ამ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება (სარეზოლუციო ნაწილის 3.3.2) ექვემდებარებოდა გაბათილებას.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინებაზე მოსარჩელემ წარმოადგინა კერძო საჩივარი და ითხოვა სსენებული განჩინების გაუქმება, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ახალი განჩინების მიღება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

12. კერძო საჩივრის ავტორმა კერძო საჩივარში მითითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

12.1. მოცემული საქმის ფარგლებში სასამართლომ ორ საკვანძო კითხვას უნდა გასცეს პასუხი: 1. რა სტატუსით შეიძლება განმცხადებელი სააპელაციო წესით საქმის განხილვისას ყოფილიყო მოწვეული; 2. კონკრეტული სტატუსით განმცხადებლის საქმეში ჩართვის შემთხვევაში რამდენად ექნებოდა მას შესაძლებლობა წარმოედგინა სასამართლოსათვის ვარგისი არგუმენტაცია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით და ექნებოდა თუ არა მას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება.

12.2. განმცხადებელი საქმეში ჩართული ვერ იქნებოდა, როგორც მოპასუხე, იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელეს მის მიმართ რაიმე მოთხოვნა არ ჰქონია, მითუმეტეს, რომ განმცხადებელი პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას არც იყო დანიშნული მოსარჩელის პოზიციაზე. რადგან განმცხადებელს რაიმე დამატებითი მოთხოვნები ვერ ექნებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცენტრი დროულად წარმოადგენდა მის შესახებ ინფორმაციას, განმცხადებელი შესაძლოა მოწვეულიყო მხოლოდ, როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

12.3. უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით (საქმე №ზს-924-920(კს-17)), დადგენილია, რომ ამგვარი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აუცილებელი არაა სავალდებულოდ მოსაწვევი მესამე პირის ჩაბმა და მას ვერც გასაჩივრების უფლება ექნება. განსხვავებულია სიტუაცია, როდესაც პირი მონაწილეობას იღებდა კონკურსში და სწორედ კონკურსიდან გამომდინარე დაინიშნა. იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება კონკურსის შედეგების გასაჩივრებას, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კონკურსის შედეგად დანიშნული პირი სასამართლოს

მიერ საქმეში სავალდებულო მესამე პირად უნდა იქნეს ჩაბმული, რაც განპირობებულია იმით, რომ ის, როგორც კონკურსის მონაწილე და გამარჯვებული, იმ სამართალურიერთობის მონაწილეს წარმოადგენს, რომელზეც სასამართლოს მიერ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამასთან, მას მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ აქტთან პირდაპირი, უშუალო შემხებლობა აქვს.

12.4. სასამართლო გადაწყვეტილება მისი სამსახურში აღდგენის ნაწილში თანხვედრაშია უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების მყარად დადგენილ პრაქტიკასთან. არც ერთ საქმეში, რომელშიც განიხილებოდა პირის სამსახურში აღდგენა იმავე ან ტოლფას პოზიციაზე, არ მოუწვევიათ და არც მიმდინარე საქმეებში იწვევენ აღსადგენ პოზიციაზე დავის პროცესში დასაქმებულ პირებს, რადგან უშუალოდ განსახილველი მოთხოვნებისა და დასადგენი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ვარგისი არგუმენტაციის წარმოდგენის შესაძლებლობას აღნიშნული პირები მოკლებულნი არიან. ამასთან, აღდგენის თვალსაზრისით, სასამართლოსთვის არ არის მნიშვნელოვანი იმ გარემოების დადგენა დავის მიმდინარეობისას დანიშნულია თუ არა სხვა პირი სადავო პოზიციაზე, მითუმეტეს კერძო შრომით ურთიერთობებში (გ-ის მენეჯერი არ განიხილება საჯარო მოხელედ და მასზე მოქმედებს შრომის კოდექსი).

12.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. განმცხადებელს შეუძლებელია არ ჰქონოდა წინამდებარე საქმის შესახებ ინფორმაცია და იგი დაინტერესების შემთხვევაში ვალდებული იყო საქმის დასრულებაამდე დაეყენებინა შუამდგომლობა, საქმეში მესამე პირად ჩართვასთან დაკავშირებით. თუმცა, სამართლებრივად, შრომითი კატეგორიის დავებში არ არის გათვალისწინებული მსგავსი საფუძვლით მესამე პირის ჩართვა, მით უფრო იმ ფონზე, რომ მისი ჩართვის შემთხვევაშიც არ იქნებოდა მიღებული განსხვავებული შედეგი.

12.6. ამ საქმესთან დაკავშირებით, ყურადსაღებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებასა (საქმე №2ბ/4328-13) და იმავე სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაში (საქმე №2ბ/1100-15) სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები. 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 თებერვლის განჩინებით (საქმე №ას-940-890-2015) და სრუ-

ლად არის გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ პირი თანამდებობაზე უნდა აღდგეს იმისგან დამოუკიდებლად, დავის მიმდინარეობისას სადავო პოზიცია დაკავებული აქვს თუ არა სხვა პირს.

12.7. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების სახით კონკურსის დროებით შეჩერების შესახებ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ დანესებულებაში რომც დაინიშნოს პირი, ეს არ შეუშლის ხელს მოსარჩელის სამსახურში აღდგენას იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება მოსარჩელის უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლება, სხვა პირის მიერ პოზიციის დაკავება ვერ იქნება ამ მოსარჩელის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 17 მაისის განჩინებაში (საქმე №3/3525-17) სასამართლომ სწორედ საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებთან მიმართებით განმარტა, რომ პირი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღდგეს სამსახურში, იმის მიუხედავად არის თუ არა პოზიცია კვლავ ვაკანტური.

12.8. ცენტრი უკანონოდ არიდებს თავს გადაწყვეტილების აღსრულებას, ხოლო მისი თანამშრომლის მხრიდან განცხადების შეტანა, ემსახურება ცენტრის (და არა ამ თანამშრომლის პირადი ინტერესების დაცვას) ერთადერთ მიზანს, გაჭიანურდეს აღსრულება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საქმის განახლების შემთხვევაშიც, არ შეიცვლება შედეგი, მხოლოდ გაჭიანურდება გადანყვეტილების აღსრულება.

12.9. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში კერძო საჩივრის ავტორმა აწარმოა მოლაპარაკება და მორიგების თაობაზე სრული მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა ცენტრის შემოთავაზება მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას გულისხმობდა.

12.10. განმცხადებლის განცხადების დაკმაყოფილებამ და გადაწყვეტილების შეცვლამ შეიძლება შექმნას სახიფათო პრეცედენტი, რომელიც გაამარტივებს სამსახურიდან არასასურველი კადრების გათავისუფლებას და კანონდარღვევით გათავისუფლებულ დასაქმებულს არ დაუტოვებს საშუალებას აღადგინოს სამართლიანობა, რადგან დავის მოგების შემთხვევაშიც კი, ახლადდანიშნული პირის გათავისუფლებაზე უარის თქმის არგუმენტით იგი შეიძლება ვერ აღდგეს პოზიციაზე.

13. კერძო საჩივარზე მოსაზრება წარმოადგინა განმცხადებელმა და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებათა გამო:

13.1. სამოქალაქო საპოცესო კოდექსის 91-ე მუხლი, მესამე პი-

რებს, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, ანიჭებს მხარეთა გარკვეულ საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს. შესაბამისად, დავის მიმდინარეობის პროცესში განმცხადებელს ექნებოდა სრული უფლება, სასამართლოში წარედგინა მტკიცებულებები, დაეყენებინა შუამდგომლობები, გაესაჩივრებინა სასამართლოს განჩინებები და ამგვარად დაეცვა თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები, რის გამოც განმცხადებელი ვარაუდობს, რომ საქმისწარმოების პროცესში მისი ჩართულობის შემთხვევაში, შესაძლოა დავა სხვაგვარი შედეგით დასრულებულიყო.

13.2. დავის განხილვაში განმცხადებლის ჩართულობის შემთხვევაში, იგი სადავოს გახდის მოსარჩელის ყოფილი თანამდებობის, „პროექტების მენეჯერისა“, და „გ-ის პროგრამის მენეჯერის“ თანამდებობების ტოლფასობის საკითხს. ასევე იდავებს იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოსარჩელე გ-ის პროგრამის მენეჯერი-სათვის დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის განჩინებით მოსარჩელის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

15. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონით მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

17. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების

ბათილად ცნობის (სსსკ 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (სსსკ 432-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

18. აღნიშნული ნორმის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

19. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე.

20. განმცხადებელმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

21. განმცხადებელმა მიუთითა და სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა, რომ წინამდებარე შრომით დავაში მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება სამსახურიდან მის გათავისუფლებას იწვევს. შესაბამისად, ის მონვეული უნდა ყოფილიყო საქმის განხილვაზე.

22. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების შესახებ დაუსაბუთებელია და იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ განმცხადებელი არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს.

23. სსსკ 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შესამოწმებლად მნიშვნელოვანია განიმარტოს ვინ არის ამ ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის უფლების მქონე სუბიექტი, სხვაგვარად, ვის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს „ეხება უშუალოდ“ გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლება, და შესაბამისად, ვისი მოწვევა იყო აუცილებელი საქმის განხილვაზე.

24. ტერმინი „უშუალოდ ეხება“ მოცემულ ნორმაში მიუთითებს მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველზე, რომელიც ახასიათებს პროცესუალურ ტერმინს „მხარე“, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება „უშუალოდ ეხება“ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის თანახმად გააჩნიათ მოთხოვნის უფლება (მოსარჩელე), ეკისრებათ პასუხისმგებლობა (მოპასუხე) ან აქვთ დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

25. შესაბამისად, სსსკ 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებამ მხარედ აქცია, რადგან გადაწყვეტილება უშუალოდ შეხო მის რეალურ, ფაქტობრივად არსებულ და კანონით დაცულ ინტერესს. ასეთი პირები არიან პოტენციური მოსარჩელე, მოპასუხე ან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი.

26. აღნიშნული დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს ხანგრძლივი პრაქტიკით, რომლის ანალიზითაც ცალსახად ჩანს, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობით დაინტერესებული პირი, როგორც წესი, ან პოტენციური მოპასუხე ან აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე (იხ. სუსგ №ას-409-409-2018, 2018 წლის 18 მაისი; №ას-269-269-2018, 2018 წლის 20 მარტი; № ას-88-88-2018, 2018 წლის 27 თებერვალი; №ას-1450-1370-2017, 2018 წლის 6 თებერვალი; №ა-3937-ბ-15-2013, 2016 წლის 13 მაისი; №ას-1098-1034-2015, 2015 წლის 22 დეკემბერი; №ას-756-716-2015, 2015 წლის 11 სექტემბერი; №ას-808-759-2015, 2015 წლის 8 სექტემბერი; №ას-1073-1024-2013, 2015 წლის 10 მარტი; №ას-1237-1385-2014, 2015 წლის 2 მარტი; სუსგ №ას-187-180-2012, 2012 წლის 29 მარტი; №ას-1371-1293-2012, 2012 წლის 24 დეკემბერი). თვით განმცხადებლის მიერ ციტირებულ საქმეშიც (საქმე №ა-2032-ბ-9-2015) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის მქონე პირი დავაში, რომელიც მემკვიდრეობის უფლებას ეხებოდა, დამოუკიდებელ პრეტენზიას აცხადებდა სამკვიდროზე, ანუ საქმის განახლების შემთხვევაში უნდა ჩართული ყოფილიყო, როგორც მესამე პირი.

რი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (იხ. სუსგ №ა-2032-ბ-9-2015, 2015 წლის 26 ნოემბერი).

27. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მათ დავის საგანთან მიმართებაში დამოუკიდებელი მოთხოვნა არ გააჩნიათ და არც პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ამიტომ ასეთ პირებს სასამართლოს გადაწყვეტილება „უშუალოდ“ ვერ შეეხება. ესენი არიან პირები, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებზეც ერთ-ერთი მხარის მიმართ, შესაძლებელია შემდგომში გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებამ. თუმცა ის სავარაუდო გავლენა, რომელიც მათ უფლებებსა და მოვალეობებზე შეიძლება გადაწყვეტილებამ მოახდინოს, თავისი სამართლებრივი შინაარსით არ უთანაბრდება გავლენას, რომელიც იგულისხმება სსსკ 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტერმინში „უშუალოდ ეხება“. სწორედ ამიტომ, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეზღუდულად სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით. მათ არ შეუძლიათ გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი ან მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (იხ. სსსკ 91-ე მუხლი) და, რაც მთავარია, მათ არ შეუძლიათ სააპელაციო ან საკასაციო წესით გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები (იხ. სსსკ 364-ე და 391-ე მუხლები). მათ უფლება აქვთ, საკუთარი ან რომელიმე მხარის ინიციატივით ჩაერთონ საქმეში, მაგრამ არ წარმოადგენენ პროცესის სავალდებულო მონაწილეს. საქმეში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეს მესამე პირად მათი დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო, თუმცა აღნიშნული პირების საქმეში ჩართვა სასამართლოს საკუთარი ინიციატივით არ შეუძლია (იხ. სსსკ 89-ე და 90-ე მუხლები).

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტში იგულისხმება არა ის პირი, რომელიც შესაძლებელია საქმეში ჩაბმული ყოფილიყო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, არამედ პირი, რომელიც არის პოტენციური მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (იხ. კვლავ სუსგ №ა-2032-ბ-9-2015, 2015 წლის 26 ნოემბერი; №ას-187-180-2012, 2012 წლის 29 მარტი; №ას-1371-1293-2012, 2012 წლის 24 დეკემბერი).

29. აღნიშნული ნორმის ასეთ განმარტებას მნიშვნელობა აქვს

სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველყოფად, რადგან თუკი დავუშვებთ, რომ პირი, რომელსაც დამოუკიდებელი მოთხოვნა არ გააჩნია და სასამართლოს გადანყვეტილებების გასაჩივრების უფლება არა აქვს, უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული გადანყვეტილებების ბათილად ცნობა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება იმ პირთა უფლება, ვისაც უშუალოდ ეხება ეს გადანყვეტილება. ამით საფრთხე შეექმნება გადანყვეტილების საიმედოობას, რადგან ასეთი მესამე პირები აღიჭურვებიან მხარის ყველა საპროცესო უფლებით. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია სამართლის თეორიაში აღიარებული სამართლის ნორმის განმარტების „მთ უფრო მეტის“ ლოგიკური პრინციპი, რომლის თანახმად, თუ მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არ შეუძლია გადანყვეტილების (განჩინების) გასაჩივრება, მაშინ მას მით უმეტეს არ შეუძლია მისი ბათილად ცნობის მოთხოვნა.

30. ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლო გადანყვეტილებაში საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“, აღნიშნავს, რომ „საბოლოო გადანყვეტილების გაბათილების უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე რომ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნეს დაცული სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა ინტერესებს შორის“ (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეორე სექცია, საქმე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №18156/05, სტრასბურგი, 2010 წლის 27 მაისი, საბოლოო გახდა 2010 წლის 27 აგვისტოს, § 58).

31. მოცემულ შემთხვევაში განსახილველი ურთიერთობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ განმცხადებელი წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც დამქირავებელი თანამდებობიდან ათავისუფლებს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით ამ თანამდებობაზე სხვა პირის აღდგენის გამო.

32. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დადგინდეს უნდა მიეღო თუ არა მას მოცემულ დავაში მონაწილეობა და რა პროცესუალური სტატუსით.

33. შრომითი სამართლებრივი დავა, რომელიც სამსახურიდან პირის უკანონო გათავისუფლებას ეხება (გარდა, ზოგიერთი გამოწინააღმდეგობის) არის ორ მხარეს – დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დავა. შესაბამისად, გამცხადებელი აღნიშნული დავაში, მონაწილეობას ვერ მიიღებდა თანამოპასუხის სტატუსით. აღნიშნული ტიპის დავებში არის მხოლოდ ერთი მოპასუხე – დამსაქმებელი.

34. განმცხადებელს არ გააჩნია არც დამოუკიდებელი მოთხოვნა

ნა დავის საგანზე. თავად განმცხადებელი მიუთითებს, რომ იგი საქმის განხილვაში მონაწილე უნდა ყოფილიყო, როგორც მესამე პირი, რომელსაც არა აქვს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა. შესაბამისად, თუკი მივიჩნევთ, რომ მას ჰქონდა საქმეში მონაწილეობის უფლება, ის შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, რომელიც საქმეში ერთვება მხოლოდ საკუთარი ან რომელიმე მხარის ინიციატივით და არ გააჩნია გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის პროცესუალური უფლება. [ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, აგრეთვე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის პრაქტიკა, რომელიც შრომით-სამართლებრივ დავებში მარტივი და სავალდებულო ფორმით ჩაბმული მესამე პირების საპროცესო უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას შორის განსხვავებას ეხება, და ამ განსხვავებას აფუძნებს სწორედ გავლენის სხვადასხვა სამართლებრივ შინაარსზე, რაც მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებამ მოახდინოს (იხ. სუსგ ბს-924-920 (კს-17), 2017 წლის 18 დეკემბერი)].

35. აღნიშნული უკვე წარმოადგენს საფუძველს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თვით განცხადების და სააპელაციო სასამართლოს განჩინების სამართლებრივი დასაბუთება მოცემულ საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სტატუსით განმცხადებლის შესაძლო მონაწილეობას ეფუძნება, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტება გააკეთოს წინამდებარე დავაში თუნდაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სტატუსით განმცხადებლის დაშვების მართებულობის საკითხზე.

36. შრომით-სამართლებრივ დავაში, რომელიც სამსახურიდან პირის უკანონო გათავისუფლებას ეხება, როგორც წესი, მონაწილეობს ორი მხარე – დასაქმებული და დამსაქმებელი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ პირი უკანონოდ იქნა გათავისუფლებული, იგი, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ექვემდებარება პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენას. ხოლო, თუ აღნიშნული შეუძლებელია, დამსაქმებელს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს იგი ტოლფასი სამუშაოთი ან გადაუხადოს კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

37. პირვანდელ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის აღდგენის შეუძლებლობისას სასამართლო იკვლევს შეუძლია თუ არა დამსაქ-

მებელს უზრუნველყოს დასაქმებული ტოლფასი სამუშაოთი, რისთვისაც იკვლევს არსებობს თუ არა შესაბამის დაწესებულებაში/ორგანიზაციაში ვაკანტური ტოლფასი თანამდებობა.

38. აღნიშნული გარემოების – ვაკანტური ტოლფასი თანამდებობის არსებობის – მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელეს, ხოლო მოპასუხის ვალდებულებაა გააბათილოს მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები (იხ. სსსკ 102-ე მუხლი). დამსაქმებლის ვალდებულებაა მიუთითოს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული თანამდებობა მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი არ არის, ან თუ ტოლფასია, არ არის ვაკანტური. ამ გარემოების დასადაგენად საქმის განხილვაში ტოლფას თანამდებობაზე დასაქმებული პირის ჩაბმის საჭიროება არ არსებობს, რადგან საკმარისია, დამსაქმებლის მიერ მტკიცებულების წარდგენა, რომ ადგილი ვაკანტური არ არის (ტოლფასი თანამდებობის არსებობის მტკიცების ტვირთზე და სასამართლოს მიერ ტოლფასი თანამდებობის არსებობის კვლევის სტანდარტზე იხ. სუსგ №ას-902-864-2014, 2015 წლის 30 მარტი; №ას-475-456-2016, 2016 წლის 24 ივნისი; №ას-761-712-2017, 2017 წლის 10 ივლისი).

39. მოცემულ შემთხვევაში, განმხადებლის მითითებით საქმეში მესამე პირად ჩაბმის შემთხვევაში იგი შეძლებდა დაესაბუთებინა, რომ ამ თანამდებობაზე, როგორც ტოლფასზე მოსარჩელის აღდგენა იყო გაუმართლებელი და არსებითად არასწორი. იგი სადავოს გახდიდა მოსარჩელის ყოფილი თანამდებობის, „პროექტების მენეჯერისა“, და „გ-ის პროგრამის მენეჯერის“ თანამდებობების ტოლფასოვნების საკითხს. ასევე იდავებდა იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოსარჩელე გ-ის პროგრამის მენეჯერისათვის დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

40. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, დასახელებული გარემოებების (თანამდებობა არ არის ტოლფასი, არ არის ვაკანტური, ან მოსარჩელე ვერ აკმაყოფილებს თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს) მითითება და, საჭიროებისამებრ, მტკიცებულებებით დადასტურება მოპასუხის/დამსაქმებლის პროცესუალური ვალდებულებაა და არა მესამე პირის.

41. საქმის მასალების შესწავლით ჩანს, რომ მოცემული საქმის არსებითი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ დეტალურად გამოიკვლია შესაბამის დაწესებულებაში კონკრეტული ტოლფასი თანამდებობის არსებობის საკითხი, რის თაობაზეც საკუთარი პოზიცია წარადგინა დამსაქმებელმა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც განმცხადებელი უთითებს, იგი სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას (2017 წლის 5 იანვარს) დანიშნაურდა სადავო თა-

ნამდებობაზე, დამსაქმებელს სააპელაციო სასამართლოს მიერ შე-
საბამისი გარემოებების კვლევისას არ მიუთითებია, რომ თანამ-
დებობას, რომელიც სასამართლომ ტოლფასად მიიჩნია, უკვე იკა-
ვებდა სხვა პირი და ის ვაკანტური არ იყო. დამსაქმებელს არც სა-
კასაციო საჩივარში მიუთითებია იმის შესახებ, რომ სააპელაციო
სასამართლომ აღნიშნული გარემოება არ გამოიკვლია.

42. ამრიგად, სასამართლომ ტოლფას თანამდებობაზე მოსარ-
ჩელის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნული თა-
ნამდებობის ტოლფას თანამდებობად მიჩნევისა და მისი ვაკანტურ-
რობის ფაქტის სათანადო კვლევით. თუ დამსაქმებელმა რაიმე მი-
ზეზის გამო საქმის განხილვისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა
გარემოებაზე არ მიუთითა, ეს წარმოადგენს დამსაქმებლის რისკს,
რადგან სამოქალაქო პროცესში არსებული შეჯიბრებითობის პრინ-
ციპის შესაბამისად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომე-
ლი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს [ან შესა-
გებელს] და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურე-
ბული ეს ფაქტები (იხ. სსსკ მე-4 მუხლი). მათ საშუალება აქვთ მის-
ცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წა-
რადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქ-
მის განხილვის დროს წარმოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე
მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები და ისარ-
გებლონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მათთვის მინიჭებუ-
ლი ყველა უფლებით (იხ. სსსკ 83-ე მუხლი).

43. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კა-
ნონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი არის სა-
მართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც
სასამართლო თუ გადაწყვეტს საკითხს, მისი განჩინება არ უნდა
დადგეს ეჭვქვეშ (იხ. *Brumarescu v. Romania* [GC], no.28342/95, § 61,
ECHR 1999-VII). ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არცერთ მხარეს არ უნდა
ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გადაწყვეტილების გადა-
ხედვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიოს საქ-
მის ხელახლა მოსმენასა და ახალ გადაწყვეტილებას. უმაღლესი
ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გადახედვა არ უნდა იქ-
ცეს ნიღბიან აპელაციად და საკითხზე ორი შეხედულების არსებო-
ბა არ წარმოადგენს საქმის გადასინჯვის საფუძველს. ამ პრინცი-
პიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის
აუცილებლობა გამოწვეულია არსებითი და გარდაუვალი ხასიათის
გარემოებების წარმოშობით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლო, მეორე სექცია, საქმე „ჭიჭინაძე საქართველოს წინა-
აღმდეგ“, განაცხადი №18156/05, სტრასბურგი, 2010 წლის 27 მაი-
სი, საბოლოო გახდა 2010 წლის 27 აგვისტოს, § 53).

44. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს რაიმე არსებითი და გარდაუვალი ხასიათის გარემოება, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას გაამართლებდა. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ტოლფას თანამდებობაზე პირის აღდგენის შესახებ, რომელიც ეფუძნება სასამართლო კვლევის შედეგად დადგენილ ფაქტს, რომ აღნიშნული თანამდებობა ვაკანტურია, არ წარმოადგენს ამ თანამდებობიდან სხვა პირის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველს, რადგან გადაწყვეტილება მიღებულია იმ დაშვებით, რომ აღსადგენ თანამდებობაზე არავინ იყო დასაქმებული. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს დამსაქმებლის მიმართ ვაკანტურ თანამდებობაზე დასაქმებული პირის უფლებებსა და მოვალეობებზე.

45. მესამე პირად საქმეში მონაწილეობის უფლება არ გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ვისაც სუბიექტური ინტერესი აქვს ჩაებას საქმეში, უნდა ჩამბულ იქნას მესამე პირად (იხ. გაბელაია ქ., თ. ლილუაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ. 2003, გვ. 256), არამედ ისეთი, რომლის კანონით განსაზღვრულ უფლება – ვალდებულებებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლო გადაწყვეტილება (იხ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1 ნაწილი, თბ. 2014, გვ. 157).

46. შესაბამისად, არ არსებობს განმცხადებლის საქმეში მესამე პირად დაშვების საფუძველი.

47. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობასა და დასკვნებს და მიაჩნია, რომ განჩინება სამართლებრივად არსებითად დაუსაბუთებელია. ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს, ხოლო განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ა-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინება კანონიერ და

ლაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ;

3. მ. ბ-ას განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

განჩინება საქართველოს სასახლით

№ა-3540-ა-8-2018

26 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. ო-მა (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ თ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „განმცხადებელი“) მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 აპრილის გა-

დაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ო-ის სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად საკასაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო.

7. 2018 წლის 20 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მოპასუხის წარმომადგენელმა კ. გ-ამ და მოითხოვა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

7.1. არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასკვნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 30 აპრილს, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო მომზადებული კანონით დადგენილ ვადაში ანუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა;

7.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინების მიღების შემდეგ, 2018 წლის 17 ივლისს მოპასუხემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების თარიღის თაობაზე ინფორმაციის გაცემა;

7.3. 2018 წლის 18 ივლისს მოპასუხეს ჩაბარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა დაგვიანებით, 2018 წლის 4 ივნისს, რის გამოც აპელანტს – სსიპ თ-ს აღნიშნული გადაწყვეტილება გაეგზავნა 2018 წლის 4 ივნისს;

7.4. ზემოაღნიშნული აქტი, რომლითაც დასტურდება გადაწყვეტილების დაგვიანებით მომზადების ფაქტი, არ ერთვოდა საქმის

მასალებს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ ჰქონდა მასზე წვდომა, რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და, შესაბამისად, არასწორი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანა;

7.5. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს დასაბუთებული გადაწყვეტილება გაუგზავნა ფოსტით 2018 წლის 4 ივნისს, რომელიც მას ჩაბარდა მეორე დღეს, 2018 წლის 5 ივნისს, ხოლო მოპასუხემ საკასაციო საჩივარი შეიტანა 2018 წლის 25 ივნისს, კანონით დადგენილი 21-დღიანი ვადის დაცვით;

7.6. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მატერიალური სახით არარსებობის გამო განმცხადებელი მას ვერ ჩაიბარებდა და, შესაბამისად, ვერც გაასაჩივრებდა. მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში ცარიელი საკასაციო საჩივრის შეტანა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ასეთი მსჯელობის დაშვების შემთხვევაში, მხარეს ერთმევა კანონით გარანტირებული უფლება, რომ თავდაპირველად გაეცნოს სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, გაასაჩივროს თუ არა იგი;

7.7. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ განმცხადებელმა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს მიმართა ჯერ კიდევ საკასაციო წესით გასაჩივრების კანონით დადგენილ ვადაში, 2018 წლის 15 მაისს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო ვალდებული იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მოპასუხისთვის ჩაებარებინა 3 დღის ვადაში, თუმცა, განმცხადებელს გადაწყვეტილება გაეგზავნა 2018 წლის 4 ივნისს, მისი მოთხოვნიდან 20 დღეში, რაც დამატებით მოწმობს იმას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ხსენებული დროისათვის მომზადებული არ ყოფილა;

7.8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი;

7.9. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებს რომ დართოდა სააპელაციო სასამართლოს აქტი დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების თარიღის შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო განუხილველად არ დატოვებდა კასატორის საკასაციო საჩივარს. სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების მოუმზადებლობისა და აქტის შეუდგენლობის გამო არ უნდა შეიღახოს მხარის კანონით გარანტირებული

საპროცესო და მატერიალური უფლებები.

8. განმცხადებელმა წარმოადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ 2018 წლის 18 ივლისს მომზადებული აქტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა დაგვიანებით 2018 წლის 4 ივნისს, რის გამოც აპელანტი – სსიპ თ-ს აღნიშნული გადაწყვეტილება გაეგზავნა 2018 წლის 4 ივნისს საქმეში არსებულ მისამართზე, ხოლო მონინალმდეგე მხარე – ზ. ო-ს ჩაბარდა ხელზე სასამართლოს შენობაში.

9. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 2018 წლის 18 ივლისს აღნიშნული აქტი საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეზე დასართავად გადმოგზავნა ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით სსიპ თ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლომ შეამოწმა წარმოდგენილი განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და მიიჩნევს, რომ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინების გაუქმების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და სსიპ თ-ის საკასაციო საჩივარზე განხლდეს საქმის წარმოება.

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრება.

13. განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი მოითხოვს საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 9 ივლისის განჩინების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7-მე-8 პუნქტები).

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ

ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღნიშნული საფუძვლით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

15. ამდენად, კანონმდებელი ახლად აღმოჩენილად არ განიხილავს იმ გარემოებებს, რომლებიც ცნობილი იყო მხარისათვის გადაწყვეტილების გამოტანამდე ან, რომლებზე მითითების შესაძლებლობაც მხარეს გააჩნდა საქმის წარმოების დასრულებამდე (იხ. სუსგ №ა-4178-ა-17-2015; 2015 წლის 28 დეკემბერი).

16. დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის №ას-957-2018 განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად საკასაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო. დადგენილია, რომ კასატორის წარმომადგენელი ესწრებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. კასატორს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 (2018 წლის 19 აპრილი) და არაუგვიანეს 30 (2018 წლის 29 აპრილი) დღისა, სასამართლოსათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით არ მიუმართავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღიდან – 2018 წლის 30 აპრილს, რომელიც ამოიწურა 2018 წლის 21 მაისს (20 მაისი არასამუშაო დღე იყო). ვინაიდან საკასაციო საჩივარი წარდგენილია 2018 წლის 25 ივნისს, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო გასაჩივრების კანონით დადგენილი 21-დღიანი ვადა.

17. განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას დაურთო 2018 წლის 18 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ გაცემული აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარ-

ტის დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში არ იყო მომზადებული, იგი მომზადდა დაგვიანებით 2018 წლის 4 ივნისს, ხოლო მოპასუხეს აღნიშნული გადაწყვეტილება გაეგზავნა 2018 წლის 4 ივნისს საქმეში არსებულ მისამართზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალებში არსებული უკუგზავნილით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების ასლი მოპასუხეს ჩაბარდა 2018 წლის 5 ივნისს.

18. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში ზემოაღნიშნული აქტით დასტურდება, რომ დარღვეულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მომზადების კანონით დადგენილ ვადა. ამასთან, მართალია, განმცხადებელისთვის ცნობილი იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის ფაქტი, თუმცა ის გარემოება, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა აღნიშნული, მისთვის ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინების ჩაბარების შემდეგ ანუ მოცემული საქმის ნარმოების დასრულების შემდეგ.

19. გარდა ზემოაღნიშნულისა, განმცხადებელი ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზეც, რომ მან 2018 წლის 15 მაისს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილ 21-დღიან ვადაში მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლით დადგენილი, მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების 3-დღიანი ვადის დარღვევით, 2018 წლის 4 ივნისს, გაუგზავნა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი.

20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის (*Liakopoulou v. Greece*, 20627/04, §17, 2006, ECHR). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სა-

მართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. საქმეში „გიორგი ნიკოლაევიჩ მიხაილოვი რუსეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლომ ვადის შემზღუდველი პროცედურული ნორმა ისეთნაირად განმარტა, რომ ხელი შეუშალა მომჩივნის საჩივრის გამოკვევას, რის შედეგადაც ამ უკანასკნელის სასამართლოს ეფექტური დაცვის უფლება დაირღვა“ (Georgiy Nikolayevich Mikhayliv v. Russia, 4543/04, §57, 2010, ECHR). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ ადგილი ჰქონდა პროცედურული მოთხოვნის არაგონივრულ კონსტრუქციას, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (Mirigall Escolano and Others v. Spain, 38366/97, §33, 2000, ECHR) (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1161-1106-2014).

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის აქტით დადასტურებული გარემოების გათვალისწინება, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა დაგვიანებით, სასარგებლო გავლენას იქონიებდა საკასაციო საჩივრის სამართლებრივ ბედზე და მის განუხილველად დატოვებას არ გამოიწვევდა. შესაბამისად, არასწორია გასაჩივრების ვადის ათვლის სანყისად 2018 წლის 30 აპრილის მიჩნევა. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილება მომზადდა დაგვიანებით 2018 წლის 4 ივნისს, რომელიც მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 5 ივნისს, კანონით დადგენილი გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2018 წლის 6 ივნისს, რომელიც ამო-

ინურა 2018 წლის 26 ივნისს. დადგენილია, რომ საკასაციო საჩივარი წარდგენილია 2018 წლის 25 ივნისს. შესაბამისად, განმცხადებელს არ დაურღვევია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული ვადა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების განახლების საფუძველია.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძველიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

23. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ თ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს და განახლდეს საქმის წარმოება საკასაციო საჩივრის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე, 430-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ თ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის განჩინება და განახლდეს საქმის წარმოება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბანცხადების შეტანის ვადა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1273-1193-2017

17 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების
გაყოფა, თანხის დაკისრება (სარჩელი); ქორწინების შეწყვეტა, ალი-
მენტის დაკისრება (შეგებებული სარჩელი)

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ჟ-ის (შემდგე-
ში: თავდაპირველი მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპასუ-
ხე, აპელანტი ან კერძო საჩივრის ავტორი) სარჩელი თ. თ-ის მი-
მართ (შემდგეში: თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე, შეგებებუ-
ლი მოსარჩელე) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ასევე, ნაწილობრივ
დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელიც, კერძოდ:

1.1. თავდაპირველი მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის სახელ-
ზე რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილისში, მ-ის
ქ. №4, ბინა №12. საკადასტრო კოდი №0.. 1/3-ის მესაკუთრედ, შე-
საბამისად, უნდა მოხდეს მითითებული უძრავი ქონების საჯარო
რეესტრში აღიცხვა;

1.2. თავდაპირველი სარჩელის მოპასუხეს, მოსარჩელის სასარ-
გებლოდ, დაეკისრა 9000 (ცხრა ათასი) ლარისა და 3000 (სამი ათას)
ევროს გადახდა;

1.3. მოპასუხის შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყო-
ფილების გზით მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შენ-
ყდა;

1.4. მოსარჩელეს შეგებებული სარჩელის ავტორის სასარგებ-
ლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრის მომენტიდან არასრულწლოვა-
ნი შვილის – ა. ჟ-ის /დაბადებული 2014 წლის 25 სექტემბერს; შემ-
დგეში: ბავშვი ან არასრულწლოვანი/ სრულწლოვანებამდე ყოველ-
თვიურად ალიმენტის – 300 (სამასი) ლარის გადახდა, რომლის გა-
დახდევინება უნდა დაიწყოს სარჩელის აღძვრის დღიდან – 2015

წლის 19 მარტიდან (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება).

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა:

2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, წინამდებარე განჩინების 1.1. ქვეპუნქტში მითითებული ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრში აღიწესვა;

2.2. მოპასუხის სახელზე სს „პ-ში“ გახსნილი ანაბრის – 10000 (ათი ათასი) ევროსა და, შესაბამისად, მიღებული სარგებლის 1350 (ათას სამასი) ევროს $\frac{1}{2}$ ნაწილიდან დაკისრებული 3000 (სამი ათასი) ევროს ნაცვლად, სულ 5675 (ხუთი ათას ექვსას სამოცდათხუთმეტი) ევროს დაკისრება მოპასუხისათვის;

2.3. მოპასუხის სახელზე სს „პ-ში“ გახსნილი ანაბრის – 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარისა და, შესაბამისად, მიღებული სარგებლის 561 (ხუთას სამოცდაერთი) აშშ დოლარის $\frac{1}{2}$ ნაწილის, სულ 2280 (ორი ათას ორას ოთხმოცი) აშშ დოლარის დაკისრება მოპასუხისათვის;

2.4. მოპასუხის სახელზე სს „ლ-ში“ გახსნილი ანაბრის – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარისა და, შესაბამისად, მიღებული სარგებლის 4385 (ოთხი ათას სამას ოთხმოცდახუთი) ლარის $\frac{1}{2}$ ნაწილიდან მოპასუხისათვის დაკისრებული 9000 (ცხრა ათასი) ლარის ნაცვლად, სულ 14 692 (თოთხმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი) ლარის დაკისრება მოპასუხისათვის.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა სააპელაციო გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის გაშვების გამო (იხ. განჩინება).

3.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე აპელანტმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება (იხ. კერძო საჩივარი).

3.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინებით აპელანტის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება.

4. აპელანტმა (თავდაპირველმა მოსარჩელემ) 2016 წლის 7 ნოემბერს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება (იხ. განცხადება).

4.1. განმცხადებელმა განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 2 ნოემბერს მიღებული განჩინებით შეიტყო, რომ სასამართლომ მხარის მიერ დასაბუთებული განჩინების თარიღად მიიჩნია 2016 წლის 18 ივლისი (რეალურად კი ამ დღეს მოსარჩელეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩაჰბარდა) და, შესაბამისად, კანონიერად მიიჩნია, ვადის დარღვევის გამო, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, მხარემ 2016 წლის 4 ნოემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სადავო გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარების თარიღის დაზუსტების მიზნით;

4.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის 2016 წლის 7 ნოემბრის წერილობითი პასუხით განმცხადებელს ეცნობა, რომ მან 2016 წლის 18 ივლისს ჩაიბარა არა საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილება, არამედ – აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. შესაბამისად, დასტურდებოდა თავდაპირველი მოსარჩელის პოზიცია, რომ მან სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში წარადგინა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდა (იხ. განჩინება) გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება და თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა.

5.1. საპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო საქმის წარმოების განახლების საფუძველს წარმოადგენდა ახალი მტკიცებულება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწის 2016 წლის 7 ნოემბრის განცხადების პასუხი, რომლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი კანონით დადგენილ სამდღიან ვადაში მომზადდა და გადაეცა მხარეს, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება გადაეცა 2016 წლის 4 აგვისტოს. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქმის წარმოების განახლების თაობაზე აპელანტის მიერ წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

6. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საჩივარი და მისი გაუქმება მოითხოვა შემდეგი არგუმენტაციით:

6.1. განმცხადებელი (მოსარჩელე) მის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების 2016 წლის 4 აგვისტოს ჩაბარების თაობაზე უთითებდა 2016 წლის 5 ოქტომბერს უზენაეს სასამართლოში წარდგენილ კერძო საჩივარშიც და ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებაც (ხელწერილი), მისი განმარტებით, საქმეში იდო. ამრიგად, რომც ჩაითვალოს, რომ გამოვლინდა ახლად აღმოჩენილი გარემოება, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება სსსკ-ის 423-ე მუხლით დადგენილი ვადის დარღვევითაა შეტანილი, რადგან 2016 წლის 5 ოქტომბერს მხარისთვის უკვე ცნობილი იყო აღნიშნული გარემოება, ხოლო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილია ამ საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ – 7 ნოემბერს.

7. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით (იხ. განჩინება) თავდაპირველი სარჩელის მოპასუხის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინება და საქმე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების ხელახლა განსახილველად, დაუბრუნდა იმავე სასამართლოს;

7.1. საკასაციო სასამართლომ განჩინების მოტივაციისას მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში უდავოდ იყო დადგენილი, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებაზე აპელანტმა იმავე წლის 5 ოქტომბერს წარადგინა კერძო საჩივარი, რომელშიც მიუთითებდა გასაჩივრებული განჩინების უსაფუძვლობასა და მის მიერ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების სათანადოობაზე, რომლითაც, მისი მოსაზრებით, დასტურდებოდა სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენა. ხოლო მას შემდეგ, რაც შეიტყო უზენაესი სასამართლოს მიერ მისთვის არასასურველი განჩინების შესახებ, განჩინების გამოტანიდან რამდენიმე დღეში (2016 წლის 4 ნოემბერს) მიმართა საქალაქო სასამართლოს და გამოითხოვა ინფორმაცია მის მიერ საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ, რაც საფუძვლად დაუდო კიდევ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებას;

7.2. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ყოველივე ზემოაღ-

ნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია, რომ აპელანტმა დარღვეული უფლების თაობაზე შეიტყო 2016 წლის 15 სექტემბერს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი ვადის დარღვევით წარდგენის გამო დატოვა განუხილველად, ხოლო განმცხადებელმა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ მის კერძო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების (2016 წლის 2 ნოემბრის) შემდეგ, 2016 წლის 7 ნოემბერს მოიპოვა მისთვის სასარგებლო ინფორმაციის შემცველი მტკიცებულება და მიმართა სასამართლოს ამ მტკიცებულების საფუძველზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განცხადების განხილვისას უნდა ემსჯელა არა მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტის სათანადოობაზე – მისი საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე წარდგენით იქნებოდა თუ არა შესაძლებელი აპელანტისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება, არამედ უნდა შეემოწმებინა სახეზე იყო თუ არა სსსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნა – განმცხადებლის არაბრალებულობა ამ მტკიცებულების მანამდე მოპოვების შეუძლებლობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო აქვე შენიშნავს, რომ თავად განცხადების ავტორს საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებაში არ მიუთითებია, თუ რამ შეუშალა ხელი საქმის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს წარედგინა ზემოაღნიშნული მტკიცებულება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელის (აპელანტის) 2016 წლის 7 ნოემბრის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

8.1. განჩინების სამართლებრივი მოტივაციისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა: დადასტურებული იყო, რომ აპელანტმა დარღვეული უფლების თაობაზე შეიტყო 2016 წლის 15 სექტემბერს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი ვადის დარღვევით წარდგენის გამო დატოვა განუხილველად, ხოლო განმცხადებელმა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ მის კერძო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების (2016 წლის 2 ნოემბრის) შემდეგ, 2016 წლის 7 ნოემბერს მოიპოვა მისთვის სასარგებლო ინფორმაციის შემცველი მტკიცებულება და მიმართა სასამართლოს ამ მტკიცებულების საფუძველზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლოს განჩინება-

ში მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე განჩინების 7.1-7.2 ქვეპუნქტები), სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სსსკ-ის 426-ე მუხლის თანახმად, განცხადება გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა;

8.2. აპელანტმა დარღვეული უფლების თაობაზე შეიტყო 2016 წლის 15 სექტემბერს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი ვადის დარღვევით წარდგენის გამო დატოვა განუხილველად, ხოლო განმცხადებელმა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ მის კერძო საჩივარზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების (2016 წლის 2 ნოემბრის) შემდეგ, იმავე წლის 7 ნოემბერს მოიპოვა მისთვის სასარგებლო ინფორმაციის შემცველი მტკიცებულება და მიმართა სასამართლოს ამ მტკიცებულების საფუძველზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლისთვის ცნობილი იყო აღნიშნული გარემოება იმაზე ადრე, ვიდრე მან მოახდინა რეაგირება. შესაბამისად, გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობის შეტყობიდან, სასამართლოსათვის საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით განცხადებით მიმართვამდე, აპელანტის მხრიდან დარღვეული იქნა განცხადების შეტანის ერთთვის ვადა. ამასთან, განმცხადებელმა ვერ წარადგინა საფუძვლიანი არგუმენტაცია ან მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავდა მის ბრალეულობას 2016 წლის 7 ნოემბერს მოპოვებული მტკიცებულების მანამდე მოპოვებისა და სასამართლოსათვის წარდგენის შეუძლებლობის კუთხით. აღნიშნული ფაქტი კი წარმოადგენდა განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს, მისი დაუშვებლობის გამო.

9. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარმოადგინა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და განმცხადებლის მიერ 2016 წლის 7 ნოემბერს წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილება, რომლითაც მხარემ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, ან საქმის ხელახლა განახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის;

9.1. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა წინამდებარე განჩინების 4.1-4.2 ქვეპუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინების (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი) გასაჩივრებისათვის დადგენილი 12-დღიანი ვადის გათვალისწინებით, აპელანტმა ისარგებლა ამ უფლებით და 2016 წლის 5 ოქტომბერს გაასაჩივრა იგი, რა დროსაც საკუთარ კერძო საჩივარს დაურთო 2016 წლის 18 ივლისს მისთვის გადაცემული, 3 ფურცლად აკინძული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და 2016 წლის 5 ივლისს მოსარჩელის (აპელანტის) წარმომადგენლისათვის გადაცემული დასაბუთებული გადაწყვეტილება – აკინძული 23 ფურცლად. ამის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინებით (იხ. ამ განჩინების 3.2 ქვეპუნქტი) არ დაკმაყოფილდა აპელანტის კერძო საჩივარი, რადგან საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარემ საკმარისი არგუმენტების წარდგენა ვერ შეძლო საკუთარი პოზიციის – სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის – დასადასტურებლად;

9.2. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, გამოიკვეთა, ასევე, საქალაქო სასამართლოს თანამშრომელთა დაუდევარი, გულგრილი და ბრალეული დამოკიდებულება და სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, კერძოდ, მათ შეგნებულად თუ შეუგნებლად არ დაურთეს საქმის მასალებს აპელანტის წარმომადგენლის ხელწერილი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ამ უკანასკნელმა საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაიბარა 2016 წლის 4 აგვისტოს, ასევე, საქმეს არ დაურთეს მხარის წარმომადგენლის 2016 წლის 8 აგვისტოს განცხადება საქმის გაცნობის შესახებ, რომლის საფუძველზე მას არ გააცნეს საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი აღმოაჩენდა ამ ხარვეზს და გამოასწორებდა;

9.3. საკასაციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინების გამოტანის შემდეგ, იმავე წლის 4 ნოემბერს კერძო საჩივრის ავტორმა მიმართა განცხადებით საქალაქო სასამართლოს (იხ. ამ განჩინების 4.2 ქვეპუნქტი) მისთვის წერილობითი სახით მიეცათ ცნობა, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღის შესახებ, რადგან მხარეს არც კი დაუშვია, რომ მისი განმარტება და წარდგენილი მტკიცებულებები არ აღმოჩნდებოდა საკმარისი და სარწმუნო იმის დასამტკიცებლად, რომ მხარემ კანონით დადგენილ ვადაში შეიტანა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში. საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის შემდეგ, აპელანტმა მიმართა სააპელაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ

გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ და მოითხოვა იმავე სასამართლოს 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, რაც სამართლიანად დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ (იხ. ამ განჩინების 5.1 ქვეპუნქტი), თუმცა, სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებაზე პროცესუალური მოწინააღმდეგის ანუ მოპასუხის მიერ წარდგენილი კერძო საჩივრის საფუძველზე გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 მარტის განჩინებით საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი);

9.4. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 23 მარტის განჩინებით პრაქტიკულად დადასტურდა მისი (აპელანტის) პოზიციის სისწორე, რომ მას არ გაუშვია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, თუმცა, საკასაციო სასამართლომ ამ შემთხვევაში მიუთითა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების 1-თვიანი ვადის გაშვების საფუძველზე და მოპასუხის კერძო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს კონკრეტულ დასკვნებზე მითითებით (იხ. ამ განჩინების 7.1-7.2 ქვეპუნქტები), რომლებიც უსამართლო და უკანონოა, მათი გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2017 წლის 17 ივლისს მიღებული განჩინებით კი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა, მისი დაუშვებლობის გამო;

9.5. კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ საქმის მასალებში, ჯერ კიდევ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინების მიღებამდე, მხარის მიერ წარდგენილია საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ აპელანტს არ გაუშვია სააპელაციო წესით გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, ხოლო საკასაციო სასამართლოს მიერ 2017 წლის წლის 2 ნოემბრის განჩინების გამოტანის შემდეგ, მხარემ დამატებით ცნობაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოდან, რაც 7 ნოემბერს მიიღო კიდევ და კიდევ ერთხელ დადასტურდა მისი პოზიციის მართებულობა. სწორედ ზემოხსენებული გარემოებები წარმოადგენს კერძო საჩივრის მოთხოვნის (იხ. მე-9 პუნქტი) საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნ-

ნეეს, რომ კერძო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოტივაციით:

10. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

11. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს დარღვეულია თუ არა მოსარჩელის (კერძო საჩივრის ავტორის) მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წარდგენის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ერთთვიანი ვადა, რადგან სწორედ აღნიშნული გარემოება დაედო საფუძვლად, მხარის 2016 წლის 7 ნოემბრის განცხადების განუხილველად დატოვებას, რომლითაც მოთხოვნილი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

12. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 17 ივლისის გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული მსჯელობა და დასკვნები (იხ. წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტი და 8.1-8.2 ქვეპუნქტები), უნდა შეფასდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიების დასაბუთებულობის თვალსაზრისით.

13. საკასაციო სასამართლო უწინარესად იმას აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ეფუძნება ყოველი პირისათვის უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფის პრინციპს, რაც კანონისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე უნდა იქნეს რეალიზებული მართლმსაჯულების განხორციელებისას (სსსკ-ის მე-2, მე-4, მე-5 მუხლები). საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული.

14. განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიის გაზიარება განპირობებულია იმ მტკიცებულებებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ მოსარჩელეს არ დაურღვევია სსსკ-ით დადგენილი 426-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ვადა (ნორმის

დეფინიცია იხ. 8.1 ქვეპუნქტში) და მას არც სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა გაუშვია, რაც უტყუარად და სარწმუნოდ დასტურდება კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით. მხარის მიერ სსსკ-ის 426-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადის დაცვა უნდა შეფასდეს იმ გარემოებებთან და მტკიცებულებებთან ერთობლივად, რომელთა შესახებ მსჯელობის გარეშე, შეუძლებელია დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება აპელანტის მიერ წარმოდგენილ კერძო საჩივარზე.

14.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2016 წლის 5 ივლისს გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა როგორც მოსარჩელის, ისე – შეგებებული მოსარჩელის (მოპასუხის) სასარჩელო მოთხოვნები; პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი – ს. ლ-ე (იხ. სხდომის ოქმი). სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტით განიმარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარის მიერ გასაჩივრებისა და ვადის ათვლის წესები, რაც სსსკ-ის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს ეფუძნება: „1. თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია“. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ „მითითებული ნორმა, ერთი მხრივ, ადგენს მხარის ვალდებულებას, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გამოწვევებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას ამ ვადაში, ეს გარემოება მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება და ვადის ათვლა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაიწყება“ (იხ. სუსგ: №ას-

1424-1344-2017, 16.01.2018წ; შდრ. სუსგ-ებს: №ას-1371-1291-2017, 12.01.2017წ; №ას-1061-981-2017, 07.12.2017წ; №ას-1243-1163-2017, 06.12.2017წ; №ას-978-910-2017, 01.12.2017წ; №ას-1021-941-2017, 14.11.2017წ; №ას-1288-1208-2017, 23.10.2017წ.)

14.2. საქმის მასალებშია 2016 წლის 18 ივლისით დათარიღებული ხელწერილი, რომელსაც ხელს აწერს თავად მოსარჩელე და უთითებს, რომ ჩაიბარა გადაწყვეტილება საქმეზე №2/16523-14, ასევე, საქალაქო სასამართლოდან საქმეზე დასართავად 2016 წლის 29 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოსათვის გადაგზავნილი და იმავე დღეს სააპელაციო სასამართლოში დარეგისტრირებული მოსარჩელის წარმომადგენლის – ს. ლ-ის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელმაც 2016 წლის 4 აგვისტოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება მოსთხოვა საქალაქო სასამართლოს, რაც იმავე დღეს ჩაბარდა მხარის წარმომადგენელს; საქმის მასალებშია საქალაქო სასამართლოდან საქმეზე დასართავად 2016 წლის 30 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოსათვის გადაგზავნილი და იმავე დღეს სააპელაციო სასამართლოში დარეგისტრირებული განცხადება, რომლითაც 2016 წლის 8 აგვისტოს საქმის მასალებისა და საჭიროების შემთხვევაში ასლების გადაღების თხოვნით მიმართა საქალაქო სასამართლოს მოსარჩელის წარმომადგენელმა – ს. ლ-ემ;

14.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის 2016 წლის 5 ოქტომბერს წარდგენილ კერძო საჩივარში მოსარჩელე (აპელანტი) სწორედ 14.2 ქვეპუნქტში მითითებულ განცხადებებსა და მათ პასუხად მიღებულ დოკუმენტებზე უთითებს იმის დასამტკიცებლად, რომ მოსარჩელემ, როგორც გასაჩივრების მსურველმა მხარემ, ჯერ გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების 3 ფურცლად აკინძული სარეზოლუციო ნაწილი ჩაიბარა, ხოლო შემდეგ – მისმა წარმომადგენელმა, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, სსსკ-ის 259¹-ე მუხლით დადგენილ ვადაში – 2016 წლის 4 აგვისტოს მოითხოვა საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, რაც იმავე დღეს მიიღო 23 ფურცლად აკინძული სახით და, შესაბამისად, კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში წარადგინა სააპელაციო საჩივარი 2016 წლის 16 აგვისტოს (იხ. სააპელაციო საჩივარი), შესაბამისად, არ არსებობდა მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

15. საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ მტკიცებულებებზე, რომელიც საქმის მასალებშია მოთავსებული, ყურადღებას ამახვილებს, რათა დადგინდეს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიის დასაბუთებულობა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებით, მივიდა დასკვნამდე, რომ

გადანყვეტილების გასაჩივრების მსურველმა მხარემ ანუ მოსარჩელემ საქალაქო სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოცხადების – 2016 წლის 5 ივლისის შემდეგ მე-13 დღეს მიმართა სასამართლოს და, როგორც კერძო საჩივრის ავტორი მართებულად აღნიშნავს, ჩაიბარა გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი – აკინძული 3 ფურცლად. მხარის ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ არ მეტყველებს საქმის მასალებში (იხ. 14.2 ქვეპუნქტი) მოთავსებული მოსარჩელის ხელწერილი მხოლოდ იმის გამო, რომ მასში მითითებულია გადანყვეტილების და არა – მისი სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარება, რადგან სსსკ-ის 259¹-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილების მომზადება ევალება გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 დღისა და არა უგვიანეს – 30 დღისა, რაც იმას ნიშნავს, რომ გასაჩივრების მსურველ მხარეს კანონმდებელი ავალდებულებს სწორედ ამ პერიოდში, ანუ ყველაზე ადრე – გადანყვეტილების გამოცხადებიდან 20 დღის შემდეგ მიმართოს სასამართლოს და ყველაზე გვიან – 30-ე დღეს, რადგან აღნიშნული მაქსიმალური ვადის გასვლის მეორე დღიდანვე აითვლება შესაბამის სასამართლო ინსტანციაში საპროცესო კოდექსით დადგენილი გასაჩივრების ვადა.

15.1. საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ დასკვნამდე მივიდა კანონმდებლობის მოთხოვნის იმპერატიული დანაწესის გონივრული განმარტებით, რადგან სწორედ კანონმდებლის ნებაა, რომ დასაბუთებული გადანყვეტილების მომზადებისათვის ყველაზე ადრეულ ვადად დაანესა გადანყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 დღე. ამ ნორმის სხვაგვარად განმარტება საზიანოა თვით სასამართლოსთვისაც, რადგან თუკი მიუხედავად 20-დღიანი ე.წ. „ადრეული“ ვადის დაწესებისა, მაინც მოეთხოვება სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილების მომზადება, მაშინ, 20 დღეზე ადრე სასამართლოსათვის გასასაჩივრებელი გადანყვეტილების დასაბუთებული ასლის მხარის მიერ მოთხოვნა, მიჩნეულ უნდა იქნეს სსსკ-ის 259¹-ე მუხლის საფუძველზე, მართებულად წარდგენილ მოთხოვნად და ნებისმიერ შემთხვევაში, თვით გადანყვეტილების გამოცხადების დღესაც კი, მხარის მიერ შეტანილი განცხადება, ჩაითვლება კანონით დადგენილ ვადაში წარდგენილად. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სასამართლომ მის მიერ წარდგენილი განცხადება, რომლითაც დასაბუთებული გადანყვეტილების ჩაბარებას ითხოვდა, რეაგირების გარეშე დატოვა და ამასთან, არ შეატყობინა დასაბუთებული გადანყვეტილების მზაობისა და მისი სასამართლოში გამოცხადების გზით ჩაბარების შესახებ, უსაფუძვლოა. საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ

აღნიშნული განცხადებით მ. ბ-მ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს 2012 წლის 3 მაისს, ვადაზე ადრე მიმართა და ამ დროისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ იყო. კანონით განსაზღვრულია რა მხარის ვალდებულება სასამართლოში გამოცხადების გზით გადაწყვეტილების ჩაბარებისა, ივარაუდება, რომ სასამართლოს ამ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად მზად აქვს და ამისათვის სასამართლოს მხრიდან მხარისათვის დამატებით ინფორმაციის მიწოდების საჭიროება არ არსებობს. რაც შეეხება, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მისთვის უნდა განემარტათ კანონით დადგენილი სასამართლოში გამოცხადების სავალდებულოება, სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების დროს მხარეს განუმარტავს გასაჩივრების წესს, რომელიც მოიცავს გადაწყვეტილების ჩაბარების წესსაც“ (იხ. სუსგ №ას-1268-1197-2012, 29.10.2012წ.).

15.2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადებს, რისი შეცვლაც არც მხარეებს და არც სასამართლოს არ შეუძლია. „დიდი პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა აწესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი აწესრიგებს იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი... დიდი პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით განსაზღვრულ გასაჩივრების წესს საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების ჩაბარების ინსტიტუტი, კერძოდ, სასამართლო შეტყობინების (უწყების) ჩაბარების მსგავსად, გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაში იგულისხმება როგორც უშუალოდ ამ მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ჩაბარება, ასევე ამ გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმფცია, რომელიც მიუთითებს, რომ გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ ჩაიბარა გადაწყვეტილება... შესაბამისად, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ინსტიტუტი მოიცავს, როგორც უშუალოდ დაინტერესებული მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ასლის

ჩაბარებას, ასევე ამ ჩაბარების ფაქტის არსებობის პრეზუმფციასაც, რაზეც ვრცელდება საპროცესო ვადის გამოთვლის ერთიანი საპროცესო წესი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი)“ – იხ. სუსგ №ას-1161-1106-2014, 30.12.2014 წ.

15.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-13 დღეს მხარის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომ მან ჩაიბარა გადაწყვეტილება და მას აქედან უნდა აეთვალოს გასაჩივრების ვადა, არ ქმნის მხარის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმირებულ ფაქტად მიჩნევის საფუძველს. ამავ ე კონტექსტში საკასაციო სასამართლო დამატებით იმასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ საქმის მასალებშია მოსარჩელისათვის მისი მოთხოვნის საფუძველზე ჩაბარებული და მის მიერვე 2016 წლის 5 ოქტომბერს კერძო საჩივრის შეტანის დროს დანართის სახით წარდგენილი: გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ორიგინალი – 3 ფურცლად, ასევე – გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების ორიგინალიც, რომელიც მხარემ 23 ფურცლად აკინძული ჩაიბარა. ცხადია, რომ თუკი საქმეში მითითებული ხელწერილის საფუძველზე დაფუძვებით ვარაუდს, რომ მოსარჩელემ 2016 წლის 18 ივლისს, გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-13 დღეს ჩაიბარა გადაწყვეტილება სრული, ანუ დასაბუთებული სახით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ მას ცალკე სარეზოლუციო ნაწილიც მოეთხოვა.

15.4. მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადების – ახლად აღმორჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე – საფუძველებზე მსჯელობა, მანამდე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და მათ საფუძველზე აღძრული მოთხოვნის დასაბუთებულობის კვლევისა და შემოწმების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა, საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის კერძო საჩივარი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება დარჩა უცვლელად, მოსარჩელემ, 2016 წლის 7 ნოემბერს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რასაც საფუძველად დაედო საქალაქო სასამართლოდან მიღებული ცნობა (იხ. ამ განჩინების 4.1-4.2 ქვეპუნქტები), რომლის შემოწმების შედეგად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის (აპელანტის) კერძო საჩივარი, ახლად აღმორჩენილი გარემოების საფუძველზე, განახლდა საქმის წარმო-

ება და გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება, განახლდა საქმის წარმოება მოსარჩელის სააპელაციო საჩივარზე.

16. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით მოსარჩელის პროცესუალური მოწინააღმდეგის (მოპასუხის) კერძო საჩივრის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო წინამდებარე განჩინების 7.1-7.2 ქვეპუნქტებში ასახული მსჯელობა და დასკვნები.

16.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინებით, სსსკ-ის 426-ე მუხლის საფუძველზე, განუხილველი დარჩა მოსარჩელის 2016 წლის 7 ნოემბრის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, დაუშვებლობის გამო (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი და 8.1-8.2 ქვეპუნქტები).

17. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები, შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებს წინამდებარე განჩინების 15.3-16.2 ქვეპუნქტებში განვითარებულ მსჯელობასა და დასკვნებზე და განმარტავს, რომ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მან კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში წარადგინა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლების შესახებ, რადგან მხარის მიერ სასამართლოდან მიღებული ყველა მტკიცებულებისა და მოპოვებული განცხადებების ერთობლივად გაანალიზება-შეჯერებისა და შეფასების გარეშე იქნა მიღებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება;

17.1. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების მიუღებლობის გამო, მხარემ გამოიყენა კანონით მინიჭებული კიდე ერთი შესაძლებლობა, რათა უშუალოდ სასამართლოსაგან მოეპოვებინა მის მიერ გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისა და მისი დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღების შესახებ ინფორმაცია, ამდენად, მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სასამართლოს მიერ გაუზიარებლობის საფუძვლის შეტყობისთანავე, მან საქალაქო სასამართლოდან მოიპოვა ის მტკიცებულება, რომლითაც კიდე ერთხელ, უტყუარად დაადასტურა საკუთარი მტკიცების მართებულობა, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი საპროცესო ვადის დაცვით წარადგინა სასამართლოში.

17.2. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სა-აპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული დასკვნა, რომ მხარემ ჯერ კიდევ 2016 წლის 15 სექტემბერს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი, ვადის დარღვევით წარდგენის გამო, დატოვა განუხილველად, ხოლო განმცხადებელმა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ მის კერძო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების (2016 წლის 2 ნოემბრის) შემდეგ, იმავე წლის 7 ნოემბერს მოიპოვა მისთვის სასარგებლო ინფორმაციის შემცველი მტკიცებულება და მიმართა სასამართლოს ამ მტკიცებულების საფუძველზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით (იხ. ამ განჩინების 8.1-8.2 ქვეპუნქტები), მხარეს ბრალეულად ჰქონდა გაშვებული განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადა.

17.3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის პრეტენზიები დასაბუთებულია, შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა და გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის განჩინება და მოსარჩელის (აპელანტის) 2016 წლის 7 ნოემბრის განცხადების საფუძველზე უნდა განახლდეს საქმის წარმოება.

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც მხარეს აღძრული აქვს პრეტენზია, რათა მას არ შეეზღუდოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის, როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლება.

18.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას, გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტიანად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

19. კერძო საჩივრის ავტორს დაუბრუნდება მის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (იხ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. გ. ჟ-ის კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის განჩინება და გ. ჟ-ის 2016 წლის 7 ნოემბრის განცხადების საფუძველზე განახლდეს საქმის წარმოება;
3. გ. ჟ-ს (პ/ნ 0-) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი (საგადასახადო დავალება №0, გადახდის თარიღი 2017 წლის 29 სექტემბერი);
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge